



აზიის განვითარების ბანკის
მხარდაჭერით

კილომეტრი კვლევა გენდერულად
დიფერენცირებული მონაცემების
შეგროვებაზე აქტივების ფლობასა
და შენარჩუნებაზე

საქართველო

თბილისი, 2018

© აზიის განვითარების ბანკი. 2018 (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია (Measuring Asset Ownership and Entrepreneurship from a Gender Perspective: Methodology and Results of Pilot Surveys in Georgia, Mongolia, and the Philippines). გამოყენებულია ნებართვის საფუძველზე.

„აზიის განვითარების ბანკი არის მის მიერ წინამდებარე დოკუმენტის შექმნაზე ან ხელშეწყობაზე გაწეული სამუშაოს საავტორო უფლებების ერთადერთი მფლობელი. აზიის განვითარების ბანკმა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიანიჭა შესაბამისი მასალის გამოყენების უფლება შესაბამისი საავტორო უფლებების მითითების პირობით“.

წინამდებარე გამოცემაში მოყვანილი მოსაზრებები წარმოადგენს ავტორების ანალიზს და ყოველთვის არ ასახავს აზიის განვითარების ბანკის, მისი მმართველი საბჭოს ან ბანკის მიერ წარმოდგენილი მთავრობების ხედვებს და პოლიტიკას. აზიის განვითარების ბანკი არ იძლევა ამ გამოცემაში მოყვანილი მონაცემების სიზუსტის გარანტიას და არ არის პასუხისმგებელი მონაცემების გამოყენების შედეგებზე.

ამ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის ან გეოგრაფიული არეალის მითითებით, ასევე ტერმინის „ქვეყანა“ გამოყენებით, აზიის განვითარების ბანკი არ ახდენს შესაბამისი ერთეულის სამართლებრივი ან რაიმე სხვა სახის სტატუსის შეფასებას.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
შემაჯამებელი ანგარიში	7
EDGE პილოტური კვლევის მოკლე მიმოხილვა და ძირითადი კონცეფცია	7
პილოტური კვლევის მთავარი მიგნებები	8
დასკვნები	10
თავი 1: შესავალი.....	11
1.1 აქტივების ფლობის მონაცემთა საჭიროება	14
1.2 კვლევის დიზაინი	15
1.3 კვლევის განხორციელება	18
თავი 2: ცნებები და მეთოდოლოგია	20
2.1 ძირითადი ცნებები	20
2.1.1 მეთოდოლოგიური ჩარჩო	20
2.1.2 პილოტური კვლევის მასშტაბი	23
2.1.3 აქტივების განმარტება.....	26
2.1.4 კვლევაში ჩართული აქტივები	26
2.1.5 მფლობელობის უფლებათა ნაკრები.....	30
2.1.6 მფლობელობის ფორმები.....	31
2.1.7 აქტივების მიღების მეთოდი	32
2.1.8 გაუმჟღავნებელი აქტივები.....	33
2.1.9 აქტივების შეფასება.....	36
2.2 სამიზნე რესპონდენტები და გამოკითხვის ოქმი	37
2.2.1 სამიზნე რესპონდენტების დადგენა	37
2.2.2 შესაფერისი რესპონდენტს დადგენა	38
2.2.3 რესპონდენტების შერჩევა.....	39
2.3 კითხვარის დიზაინი და გაზომვის მეთოდები.....	40
2.3.1 კვლევის ინსტრუმენტარი	40
2.3.2 ძირითადი ცნებების ჩამოყალიბება კითხვარში	42
2.3.3 მონაცემთა ანალიზის მეთოდები.....	44
2.4 მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	49

თავი 3: შედეგების ანალიზი	51
3.1 რესპონდენტების მახასიათებლები	51
3.2 მფლობელობის გავრცელების მაჩვენებლები	54
3.3 მფლობელობის ფორმები.....	62
3.4 გასხვისების უფლება	63
3.5 მიღების მეთოდი.....	65
3.6 ნებისმიერი რესპონდენტის მიერ თვით-განცხადებული და ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მეთოდების შედარება.....	66
3.7 მატერიალური კეთილდღეობის განაწილება: საცხოვრისი	67
3.8 საწარმოები	68
თავი 4: პილოტური კვლევის მონაცემთა ხარისხის ანალიზი.....	74
4.1 ხარისხის კონტროლი კვლევის სავსე სამუშაოების დაწყებამდე	74
4.1.1 კითხვარის დიზაინი.....	74
4.1.2 ტრენინგი და სავსე სამუშაოები.....	76
4.2 ხარისხის კონტროლი კვლევის სავსე სამუშაოების მსვლელობის დროს.....	77
4.2.1 სავსე სამუშაოები.....	77
4.2.2 შერჩევის დიზაინი	78
4.3 ხარისხის კონტროლი კვლევის სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ	80
4.3.1 მონაცემთა დამუშავება	80
4.3.2 წონების გაანგარიშება.....	82
4.4 მონაცემების სისწორე და სიზუსტე	90
თავი 5: კვლევის შეფასება, გამოცდილება და სამომავლო გეგმები	100
5.1 კვლევის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება.....	100
5.1.1 სავსე სამუშაოების დაწყებამდე მიღებული გამოცდილება და ძირითადი მიგნებები.....	100
5.1.2 სავსე სამუშაოების დროს და მათი დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილებები და ძირითადი მიგნებები.....	102
5.2 კვლევასთან დაკავშირებული სხვა შეფასებები.....	105
5.2.1 კვლევის კითხვარის თვისებრივი შეფასება	105
5.2.2 კვლევის კითხვარის რაოდენობრივი შეფასება	108
5.2.3 გაუმჟღავნებელი აქტივების შეფასება.....	111
5.2.4 შინამეურნეობის ინტერვიუსთვის შერჩეული წევრების გამოკითხვის შეფასება	111
5.3 სამომავლო გეგმები.....	112
ბიბლიოგრაფია.....	113

წინასიტყვაობა

სხვადასხვა საკითხებს შორის, რომლებიც ქალთა შესაძლებლობების ზრდისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელის შეშლელ ფაქტორებად გვევლინება, აქტივების ფლობა და განკარგვა უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს მრავალ ქვეყანაში. მსოფლიო მასშტაბით, სხვადასხვა კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი აქტივების ფლობასა და ინდივიდუალურ კეთილდღეობას შორის. ანალოგიურად, კვლევებიდან ჩანს, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალები ხშირად არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან აქტივების ფლობის, მათი გამოყენებისა და განკარგვის თვალსაზრისით. ეს გავლენას ახდენს ქალების მდგომარეობაზე შინამეურნეობაში და მათ კეთილდღეობაზე.

გენდერული თანასწორობის საკითხები ისეთ სფეროებში, როგორცაა დასაქმება, ხელფასები, სიღარიბე, აქტივების ფლობა და მეწარმეობა, ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს ქართული საზოგადოებისათვის. გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით, 1994 წელს პარლამენტმა მოახდინა გაერთიანებული ერების „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) კონვენციის რატიფიცირება. ამას მოჰყვა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება და საკანონმდებლო აქტების მიღება, მათ შორის 2010 წლის გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება.

გენდერული საკითხების მიმართ მზარდი ინტერესი და აქტივებზე ქალების ხელმისაწვდომობის ეფექტური ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება, მოითხოვს გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოში, შინამეურნეობის კვლევებში მსგავსი მონაცემების შეგროვება უმეტესწილად ხორციელდება მხოლოდ შინამეურნეობის დონეზე, რაც არ გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ინდივიდუალური მონაცემები შინამეურნეობაში აქტივების განაწილებასა და მათი განკარგვის უფლებაზე. თუმცა, „მდგრადი განვითარების მიზნების“ (Sustainable Development Goals - SDG) მე-5 მიზანი, კერძოდ კი - ამოცანა 5.ა, ემსახურება ქალებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭებას შემდგომი აქტივების ფლობისა და განკარგვაზე: ეკონომიკური რესურსები, მიწა და სხვა ქონება, ფინანსური სერვისები, მემკვიდრეობა და ბუნებრივი რესურსები. ამოცანაში 5.ა გენდერული თანასწორობის გაზომვა ხორციელდება ორი ინდიკატორის საშუალებით - ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც აქვს საკუთრება ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე (სქესის მიხედვით) და ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი (საკუთრების ფორმის მიხედვით).

გენდერულ ჭრილში აქტივების ფლობისა და მეწარმეობის გაზომვის მზარდი საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა (საქსტატი) მიიღო აზიის განვითარების ბანკის (Asian Development Bank - ADB) წინადადება, ჩაეტარებინა პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებისთვის, რომელიც წარმოადგენდა გაეროს სტატისტიკის განყოფილების (United Nations Statistics Division - UNSD)

პროექტის „მტკიცებულებები და მონაცემები გედერული თანასწორობისთვის“ (Evidence and Data for Gender Equality - EDGE) ერთ-ერთ კომპონენტს. კერძოდ, საქსტატმა ჩაატარა შინამეურნეობების კვლევა აზიის განვითარების ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, რომელიც განხორციელდა "რეგიონული შესაძლებლობების განვითარების ტექნიკური მხარდაჭერა (R-CDTA) 8243: სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარება სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის" პროგრამის ფარგლებში. შინამეურნეობების კვლევა ჩატარდა ინდივიდუალურ მონაცემთა შეგროვების მიზნით შემდეგი აქტივების შესახებ: (i) საცხოვრისი, (ii) სასოფლო-სამეურნეო მიწა, (iii) პირუტყვი, (iv) მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, (v) არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები, (vi) სხვა უძრავი ქონება, (vii) ხანგრძლივი მოხმარების საგნები, (viii) ფინანსური აქტივები, (ix) ვალდებულებები, და (x) ძვირფასეულობა.

წინამდებარე ანგარიშში მოყვანილია კვლევის დიზაინის, მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის, ძირითადი მიგნებებისა და სხვა საკითხების დეტალური მიმოხილვა.

ანგარიში მომზადდა საქსტატის შემდეგი თანამშრომლების მიერ: თენგიზ ცეკვავა, გიორგი კალაკაშვილი, თამარ გულუა, თეიმურაზ პაქსაშვილი და სალომე თვალომე.

საქსტატი მადლობას უხდის აზიის განვითარების ბანკის პროექტის ჯგუფს კაუშალ ჯოშის ხელმძღვანელობით, რომელშიც აგრეთვე შედიოდნენ არტურო მარტინეს-უმეროსი, ლაკშმან ნაგრაჯ რაო, კრისელდა დე დიოსი, მელისა პასკუა, ბიმალ გირი, ჰემა სვამინათანი, მილდრედ ადაუე, კლემენს კრუზი, მარია ლაარნი რევილა და ქრისტიან ფლორა სოკო. საქსტატი მადლიერებით აღნიშნავს საპილოტე კვლევაში გაეროს სტატისტიკის განყოფილების წარმომადგენლების წვლილს და მადლობას უხდის ჰაოი ჩენს, ფრანჩესკა გრუმს და ლორენ პანდოლფელის. პროექტის ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო ბორის (ბათუ) ეზუგბაიას მიერ.

მოხარულნი ვართ, რომ საქსტატის და აზიის განვითარების ბანკის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ჩატარებულმა პილოტურმა კვლევამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გენდერული ჭრილში გაეროს გზამკვლევის განვითარებაში აქტივების ფლობაზე სტატისტიკის წარმოების შესახებ, რომლის ავტორია გაეროს სტატისტიკის განყოფილება. წარმოგიდგინებ წინამდებარე ანგარიშს, როგორც ეროვნული სტატისტიკური სისტემების შესაძლებლობების გაუმჯობესების ინსტრუმენტს, უტყუარი და სანდო სტატისტიკის წარმოებისთვის აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე გენდერულ ჭრილში.

თენგიზ ცეკვავა

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, საქსტატი

შემაჯამებელი ანგარიში

EDGE პილოტური კვლევის მოკლე მიმოხილვა და ძირითადი კონცეფცია

გენდერული თანასწორობის საკითხების შეფასებისა და გადაჭრის, ასევე 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის მონიტორინგის მიზნებისათვის არსებობს დიდი მოთხოვნა გენდერულად დიფერენცირებულ ინდივიდუალურ მონაცემებზე, რომელიც ეხება აქტივების ფლობას. ამასთან, ამგვარი მონაცემების არსებობა მთელს მსოფლიოში მწირია, რადგანაც აქტივების შესახებ მონაცემები, ჩვეულებრივ, კვლევებში შინამეურნეობის დონეზე გროვდება.

გაეროს სტატისტიკის განყოფილებისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ინიციატივა „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის“ (EDGE) მიზნად ისახავდა სწორედ ამ მიმართულებით არსებული მონაცემებისა და მეთოდოლოგიური ხარვეზების შევსებას.

აქტივების ფლობას, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში, შეუძლია ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ გაძლიერებას და შინამეურნეობის კეთილდღეობას. კერძოდ, ქალთა მიერ აქტივების ფლობა განაპირობებს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების ტენდენციას, მათი როლის ზრდას შინამეურნეობის გადაწყვეტილებების მიღებაში და მათი შვილებისათვის უკეთესი განათლების და საჭირო უნარ-ჩვენების ჩამოყალიბების უზრუნველყოფაში.

EDGE მსოფლიო ინიციატივის მხარდასაჭერად, აზიის განვითარების ბანკმა დახმარება გაუწია საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების სტატისტიკურ სამსახურებს გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის და მეწარმეობის პილოტური კვლევის ჩატარებაში.

კვლევამ მოიცვა 2,783 შინამეურნეობისაგან (1,495 ქალაქად და 1,288 სოფლად) შემდგარი ქვეყნის დონეზე რეპრეზენტატული შერჩევა, ორსაფეხურიანი შერჩევის დიზაინის გამოყენებით. თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში განცალკევებით და ერთდროულად მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი გამოიკითხა, მათ და მათი ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული აქტივების დადგენის მიზნით.

EDGE პროექტში მფლობელობა განისაზღვრება როგორც უფლებათა ნაკრები. ამ უფლებათა ნაკრების მიხედვით, პირი, შესაძლოა იყოს **განცხადებული მფლობელი და დოკუმენტირებული მფლობელი** ან ჰქონდეს გასხვისების უფლებები აქტივებზე, რაც გულისხმობს **გაყიდვის უფლებასა და ანდერძით გადაცემის უფლებას**. მფლობელობის ტიპების გარდა, არსებობს **მფლობელობის სხვადასხვა ფორმაც**, რადგან აქტივების ფლობა შესაძლებელია როგორც ერთპიროვნულად, ისე ერთობლივად.

განცხადებულ მფლობელად ითვლება პირი, ვისაც შინამეურნეობის ერთი რესპონდენტი მაინც დაასახელებს კონკრეტული აქტივის მფლობელად, ხოლო დოკუმენტირებულ მფლობელად კი ის პირი, ვისი სახელი, რესპონდენტების ზეპირი გამოკითხვების საფუძველზე, შეტანილია

კონკრეტული აქტივის საკუთრების დამადასტურებელ საბუთში. ამასთან პიროვნება ჩაითვლება გასხვისების უფლების მქონედ, თუ მას აქვს უფლება გაყიდოს ან/და ანდერძით გადასცეს კონკრეტული აქტივი.

ამ კვლევისას გამოყენებული იქნა ორი მონაცემთა ანალიზის მეთოდი: ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობა და თვით-განცხადებული მფლობელობა. ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის შემთხვევაში (რაც ასევე მოიცავს სხვა პირზე განცხადებულ ინფორმაციას) ცალკეული პირი ითვლება მფლობელად თუ გამოკითხული შინამეურნეობის ერთ-ერთი წევრი მაინც დაასახელებს მას კონკრეტული აქტივის მფლობელად. თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომის მიხედვით კი მფლობელად ითვლება პირი, თუ ის საკუთარ თავს ასახელებს მფლობელად.

აქტივი არის ყველა ის საგანი, რომელსაც მფლობელისთვის მოაქვს ეკონომიკური სარგებელი მისი ფლობის ან საქონლის/მომსახურების წარმოების მიზნით გამოყენების გზით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პილოტურმა კვლევამ მოიცვა როგორც ფინანსური, ასევე არა-ფინანსური აქტივები, კერძოდ, (i) საცხოვრისი, (ii) სასოფლო-სამეურნეო მიწა, (iii) პირუტყვი, (iv) მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, (v) შინამეურნეობის წევრების მფლობელობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები, (vi) სხვა უძრავი ქონება, (vii) ხანგრძლივი მოხმარების საგნები, (viii) ფინანსური აქტივები, (ix) ვალდებულებები და (x) ძვირფასეულობა **შეირჩა კვლევის ობიექტად.**

პილოტური კვლევის მთავარი მიგნებები

განცხადებული და დოკუმენტირებული მფლობელობის წილი აჩვენებს, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ფლობენ აქტივებს, ვიდრე ქალები. კონკრეტულად,

- ძირითად აქტივებს შორის საცხოვრისის მფლობელობის წილი ყველაზე მაღალია. საცხოვრისთან დაკავშირებული უთანასწორობა უფრო აშკარაა დოკუმენტირებულ მფლობელობაში (დაახლოებით 13 პროცენტული პუნქტი), ვიდრე განცხადებულში (დაახლოებით 5 პროცენტული პუნქტი).
- გენდერული განსხვავებები სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობაში დასტურდება იმ ფაქტით, რომ მამაკაცები 2-ჯერ უფრო ხშირად არიან დოკუმენტირებული მფლობელები, ვიდრე ქალები. 14 პროცენტული პუნქტის ტოლი გენდერული განსხვავება დაფიქსირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის განცხადებულ მფლობელობაში.
- უძრავი ქონების მფლობელობის შედარებამ სოფლად და ქალაქად არ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები საცხოვრისების და სხვა უძრავ ქონების შემთხვევაში. მთლიანობაში, გენდერული უთანასწორობა უძრავი ქონების ფლობაში უფრო შესამჩნევია სოფლად.

- პირუტყვის მფლობელობის წილი მამაკაცებში 41.6%-ია, ხოლო ქალებში - 38.6%. გენდერული განსხვავებები შედარებით ნაკლებია, რადგან შინამეურნეობებში პირუტყვი უფრო მეტად განიხილება როგორც შინამეურნეობის საკუთრება.
- ხანგრძლივი მოხმარების საგნების მფლობელობის წილი ყველაზე მაღალი და თითქმის თანაბარია ქალებსა და მამაკაცებს შორის (მამაკაცებში - 98.3%, ხოლო ქალებში - 98.4%).
- ყველა აქტივს შორის ფინანსური აქტივების განცხადებული წილი ყველაზე დაბალი აღმოჩნდა: რესპონდენტებისათვის არ იყო კომფორტული საკუთარ ფინანსურ აქტივებსა და მვირფასეულობაზე საუბარი.

გასხვისების უფლებების ანალიზმა, ანუ აქტივების გაყიდვაზე ან ანდერძით გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებმა, გამოაშკარავა გენდერული უთანასწორობის რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი:

- აქტივების გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის ექსკლუზიური უფლება მამაკაცებში უფრო ხშირი აღმოჩნდა, ვიდრე ქალ მფლობელებში აქტივების ყველა კატეგორიისათვის.
- სასოფლო-სამეურნეო მიწის, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობებისა და სხვა უძრავი ქონების გასხვისების უფლების საკითხში მამაკაცების სასარგებლოდ გამოიკვეთა გენდერული განსხვავებები, რომელთა რაოდენობრივი სიდიდე 10 პროცენტულ პუნქტს აღემატება.
- მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტი ქალი აცხადებდა საკუთარი აქტივების გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის უფლების არქონის შესახებ.
- მიუხედავად იმისა, რომ ქალები მოიაზრებიან მფლობელებად, მათ მაინც აქვთ შეზღუდული გავლენა აქტივების გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის გადაწყვეტილებაზე.

პილოტურ კვლევაში განხორციელდა მცდელობა, შეფასებულიყო გენდერული უთანასწორობები კეთილდღეობის გადანაწილებასთან მიმართებით. რიგი შეზღუდვის გამო ანალიზი შემოიფარგლა მხოლოდ საცხოვრისებით. დადგინდა, რომ საცხოვრისების ღირებულების უფრო დიდ ნაწილს მამაკაცები ფლობდნენ: განცხადებულ მფლობელობაში მთლიანი ღირებულების 51.5% ეკუთვნოდა მამაკაცებს და 48.5% - ქალებს, ხოლო დოკუმენტირებულ მფლობელობაში კი მამაკაცების მფლობელობაში არსებული ღირებულება საცხოვრისების სახით 65.0%-ის, ხოლო ქალების - 35.0%-ის დონეზე აღმოჩნდა. კეთილდღეობის გადანაწილება განსხვავებულია სოფლად: განცხადებულ მფლობელობაში საცხოვრისების მთლიანი ღირებულების 59.1% ეკუთვნოდათ მამაკაცებს, ხოლო დოკუმენტირებულ მფლობელობაში განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში უფრო არსებითი იყო, რაზეც მეტყველებს მამაკაცების წილი 73.9%-ის დონეზე.

დასკვნები

EDGE-ის დამოუკიდებელი კვლევებიდან მიღებული მონაცემები პირველი ნაბიჯი იყო მფლობელობის ინდივიდუალური მონაცემების შესაგროვებლად და სხვადასხვა ტიპის აქტივების ფლობის წილისა და გადანაწილების საბაზისო ინდიკატორების შესაფასებლად. EDGE-ის ინიციატივის წყალობით მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები საქსტატს დაეხმარება აქტივების ფლობისა და გენდერული ინდიკატორების სამომავლო აქტივობების დაგეგმვაში. პილოტური კვლევებიდან მიღებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გაეროს მეთოდოლოგიური მითითებების შემუშავებაში, რომელიც აქტივების ფლობის გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების წარმოებას ეხება. გაეროს მეთოდოლოგიური მითითებები უზრუნველყოფს სტანდარტიზებული ჩარჩოს არსებობას, ამ სფეროში შედარებადი სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად.

თავი 1: შესავალი

გენდერის საკითხი საქართველოში დისკუსიების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენს. ზოგადად, გენდერული თანასწორობა, კონკრეტულად კი გენდერული საკითხები, რომელიც უკავშირდება დასაქმებას, ხელფასებს, სიღარიბეს, ოჯახურ ძალადობას და ქალთა უფლებამოსილების გაძლიერებას, ყოველდღიურად განიხილება ტელევიზიასა და სხვა მედია საშუალებებში. ასევე, ქვეყანაში იზრდება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა (NGOs) და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

მთავრობაში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც პარლამენტმა მოახდინა გაერთიანებული ერების „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) კონვენციის რატიფიცირება. ამას მოჰყვა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირება და საკანონმდებლო აქტების მიღება, მათ შორის 2010 წლის კანონის მიღება გენდერული თანასწორობის შესახებ.

ქართულ საზოგადოებაში გენდერული საკითხების მიმართ მაღალმა ინტერესმა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებამ, განაპირობა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების საჭიროება. ხშირ შემთხვევაში, შეზღუდული რესურსები არ იძლევა ყველი მონაცემის გენდერულად დიფერენცირებულ ჭრილში წარმოების საშუალებას. შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) დაუყოვნებლივ მიიღო აზიის განვითარების ბანკის წინადადება, ჩაეტარებინა პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობის შესახებ, გაეროს სტატისტიკის განყოფილების ფართომასშტაბიანი პროექტის „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის (EDGE)“ ფარგლებში.

EDGE ინიციატივა მიზნად ისახავს გენდერულად დიფერენცირებული სტატისტიკის რეგულარულ დამუშავებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის. ეს ინიციატივა შეიმუშავა გაეროს სტატისტიკის განყოფილებამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) სტატისტიკის ეროვნულ სამსახურებთან, აზიის განვითარების ბანკთან, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (Food and Agriculture Organization - FAO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა (Organization for Economic Cooperation and Development - OECD) და მსოფლიო ბანკთან (World Bank) თანამშრომლობით. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებდა EDGE პილოტური კვლევების ჩატარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა შორის აზიის განვითარების ბანკმა ითავა სამი ქვეყნის - საქართველო, მონღოლეთი და ფილიპინები - ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

მრავალი კვლევის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკის შემუშავებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერულად დიფერენცირებული მონაცემები აქტივების ფლობის შესახებ. ეს კვლევები გვაჩვენებს თუ რამდენად მჭიდროა კავშირი აქტივების ფლობასა და ინდივიდუალურ კეთილდღეობას შორის. ასევე, აქტივების ფლობის ანალიზი უკეთესი მაჩვენებელია

ინდივიდუალური უფლებების შესაფასებლად შემოსავალთან შედარებით, ვინაიდან შემოსავლების შესახებ მონაცემების შეგროვება შესაძლოა უფრო მარტივი იყოს, თუმცა გამოყენება გაცილებით უფრო რთულია მათი მუდმივი ცვალებადობის გამო. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალები, არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან აქტივების ფლობის მხრივ. იმის გათვალისწინებით, რომ აქტივები შეიძლება გამოყენებული იქნას შემოსავლების მისაღებად და ეკონომიკური შოკის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ის ფაქტი, რომ აქტივი ხშირად წარმოადგენს საჭირო წინაპირობას სესხის მისაღებად, ქალებს შორის აქტივების ფლობის დაბალი მაჩვენებელი გულისხმობს სიღარიბის უფრო მაღალ დონეს, ნაკლებ დანახარჯებს ბავშვის განათლებაზე და ზოგადად, ქალთა უფლებების შესუსტებას.

ამჟამად, საქართველოში აქტივების ფლობაზე გენდერულად დიფერენცირებულ მონაცემთა დეფიციტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად არ ხდება ინდივიდუალურ დონეზე შესაბამისი მონაცემების წარმოება. ასეთი მონაცემების წარმოება არც ადმინისტრაციული წყაროებიდან არის შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი მსხვილი აქტივის (მაგ. უძრავი ქონება ან მიწა) არაფორმალური მფლობელობის დონე კვლავ მაღალია, და ასეთი მონაცემების ხელმისაწვდომობა ვერ უზრუნველყოფს მფლობელობის რეალურ გარანტიას - მრავალი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ აქტივების კანონიერი მფლობელობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ქალი მესაკუთრეები უგულვებელყოფილნი არიან აქტივების ფაქტობრივი გამოყენებისა და შემოსავლების განკარგვის დროს.

ამგვარად, EDGE პილოტურმა კვლევამ მოგვცა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობა აქტივების ფლობაზე, რაც უდიდეს საჭიროებას წარმოადგენდა საქართველოსთვის, ინდივიდუალურ დონეზე შესაბამისი ინფორმაციის არასებობის გამო. კვლევიდან მიღებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სამოქმედო არეალის განსაზღვრაში, ხოლო გენდერულ საკითხებზე მომუშავე მკვლევარებისა და ორგანიზაციებისთვის, ამგვარი მონაცემების არსებობა წარმოადგენს დამატებით საზომს. უფრო მეტიც, EDGE კვლევა ერთადერთი წყაროა, რომელიც გვაძლევს მთელი რიგი SDG-ს მაჩვენებლებს წარმოების საშუალებას. სწორედ ამ მიზნებისთვის, წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის ასახული პილოტური კვლევის მეთოდოლოგიური და რაოდენობრივი მიგნებები

ჩანართი 1.1: აქტივების ფლობა 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგში

გენდერული თანასწორობა აღიარებულია როგორც 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მთლიანობაში, დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას, რომლებიც 2030 წლამდე უნდა შესრულდეს. ამასთან, მე-5 მიზანი ემსახურება გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაძლიერებას.

მე-5 მიზნის ძირითადი ამოცანებია: ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ქალთა და გოგონათა მიმართ მავნე პრაქტიკისა და ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა, აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომა.

SDG-ის მე-5 მიზანში აქტივების ფლობაზე ხელმისაწვდომობა განიხილება, როგორც სქესთა შორის თანასწორი ეკონომიკური შესაძლებლობების მონიტორინგის ერთ-ერთი კომპონენტი.

SDG-ის მე-5 მიზანი აქტივების ფლობას განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით სქესთა შორის თანასწორობის მონიტორინგის ნაწილს. 5.ა-ს ფარგლებში, რომლის მიზანია: „რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, მოხდეს ქალებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭება ეკონომიკური რესურსების, მიწისა და სხვა ქონების, ფინანსური მომსახურების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე და განკარგვაზე“^ა. ამ ამოცანის მონიტორინგისთვის შექმნილია სამი ინდიკატორი:

- 5.ა.1 სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე
- 5.ა.1 (ბ) ქალთა წილი სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობაში
- 5.ა.2 იმ ქვეყნების პროპორციული რაოდენობა, რომლებშიც საკანონმდებლო ბაზა (მათ შორის ჩვეულებითი სამართალი) უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ უფლებებს მიწის ფლობაზე და/ან კონტროლზე

ამის მიუხედავად, ზემოხსენებული ინდიკატორების პროგრესის მონიტორინგი კვლავ გამოწვევების წინაშეა. აღსანიშნავია, რომ ეს ინდიკატორები კლასიფიცირებულია, როგორც მე-2^ბ დონის ინდიკატორები, რაც ნიშნავს, რომ (i) ჯერ კიდევ არ ხდება სხვადასხვა ქვეყნების მიერ შესაბამისი მონაცემების რეგულარული წარმოება და (ii) მონაცემთა შეგროვებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები დამუშავების პროცესშია.

^ა UNSDG SDG ინდიკატორების ოფიციალური სია: <https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/>.

^ბ SDG 5.ა.1 (ა) და 5.ა.1 (ბ) ინდიკატორები თავდაპირველად წამოადგენდა მე-3 დონის ინდიკატორებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ამჟამად არ არსებობს ინდიკატორების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია ან სტანდარტები, თუმცა მეთოდოლოგია/სტანდარტები დამუშავების ან ტესტირების პროცესშია“. 2017 წლის დეკემბერში, მდგრადი განვითარების მიზნების ექსპერტთა ჯგუფის (IAEG-SDGs) მიერ აღნიშნული ინდიკატორები განისაზღვრა, როგორც მე-2 დონის ინდიკატორები. ამავე დროს, პირველი დონის ინდიკატორები არის „კონცეპტუალურად ნათელი, აქვთ საერთაშორისოდ დამკვიდრებული მეთოდოლოგია და სტანდარტები, და ქვეყნების მინიმუმ 50%-ში მონაცემთა წარმოება ხდება რეგულარულად მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის რომლებსთვისაც ეს ინდიკატორები რელევანტურია“.

წყარო: UNSDG ვებგვერდი: <https://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/>; <https://unstats.un.org/sdgs/iaeg-sdgs/tier-classification/>.

1.1 აქტივების ფლობის მონაცემთა საჭიროება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში არ ჩატარებულა სრულმასშტაბიანი კვლევა ინდივიდუალურ დონეზე აქტივების ფლობის შესახებ. შინამეურნეობის არსებული კვლევების ძირითადი საკითხი, ჩვეულებრივ, არის მიმდინარე დანახარჯები და შემოსავლები, ხოლო აქტივების ფლობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შინამეურნეობის დონეზე ხორციელდება.

ინდივიდუალური მონაცემების ნაკლებობასთან ერთად, საკმაოდ მწირია შინამეურნეობის კვლევებიდან მიღებული აქტივების მონაცემებიც. კვლევები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას აქტივების შესახებ, ემსახურებიან სხვადასხვა მიზნებს. ასეთ კვლევებში ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ ხელმისაწვდომი აქტივების სია, მათი ღირებულების და მდგომარეობის/ფუნქციონირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გარეშე.¹ აქტივების მხოლოდ ზოგადი სიის არსებობის ძირითადი მიზეზი სწორედ მონაცემთა შეგროვების სირთულეა. შინამეურნეობის აქტივებზე დეტალური ინფორმაციის შეგროვება, პირველ რიგში უარყოფითად აისახება რესპონდენტებზე, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კვლევებიდან მიღებული ძირითადი მაჩვენებლების ხარისხს.

საქართველოში არსებული შინამეურნეობის რეგულარული კვლევები, წარმოადგენს არამარტო ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების (სიღარიბე, უმუშევრობა, ხარჯები და შემოსავლები და ა.შ.) წყაროს, არამედ ასეთი კვლევების მონაცემები გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორების გაანგარიშებისთვის, როგორცაა ეროვნული ანგარიშები ან ინფლაცია. შედეგად, კითხვარებში არ რჩება საკმარისი სივრცე აქტივების ფლობის ინდივიდუალური მაჩვენებლების შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისთვის.

ამგვარად, EDGE კვლევის ჩატარება საქართველოში სასარგებლო იყო მრავალი თვალსაზრისით. ძირითადი აქტივების დეტალური შესწავლის გარდა, კვლევა ეხმარება წინამდებარე ანგარიშის „შესავალში“ განხილულ მონაცემთა საჭიროების საკითხებს, შემდეგი მეთოდების გამოყენებით: (i) გამოკითხულ იქნა შინამეურნეობის რამდენიმე წევრი და არა მხოლოდ შინამეურნეობის უფროსი ან ყველაზე ინფორმირებულ წევრი; (ii) აქტივების გენდერული ასპექტების გასაანალიზებლად აქცენტი გაკეთდა „ძირითად წევრზე“ და (iii) მფლობელობის ცნება არ შემოიფარგლა მხოლოდ დოკუმენტირებული მფლობელობის ცნებით.

შედეგად, EDGE კვლევა დეტალურად აღწერს აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ მიმდინარე სიტუაციას ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სფეროზე მიღებული ინფორმაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი, შედეგებმა გვაჩვენა აქტივების ფლობის საერთო მასშტაბები, განაწილება და გენდერული განსხვავებები.

¹ ერთადერთი გამონაკლისია საცხოვრისი: სტანდარტული შინამეურნეობის კითხვარები მოიცავს დიდი რაოდენობის კითხვებს, რომლებიც უკავშირდება საცხოვრისის აგების პერიოდს, სამშენებლო მასალას, ღირებულებას და ა.შ.

1.2 კვლევის დიზაინი

ქვეყნის ზოგადი ინფორმაცია. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, კავკასიაში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 2016 წელს მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 3.72 მილიონ ადამიანს². საქართველოში, მოსახლეობის 57.2% ცხოვრობს ქალაქად, ხოლო სოფელად - 42.8%. ქვეყანაში ქართველები წარმოადგენენ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც მოსახლეობის 86.8%-ს შეადგენს. სიდიდით მომდევნო ორი ეთნიკური ჯგუფია აზერბაიჯანლები (6.3%) და სომხები (4.5%).

ქვეყნის ეროვნული ვალუტაა ლარი. ოფიციალური ენა - ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული და აფხაზური. 2016 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 3,852.50 დოლარს მიმდინარე გაცვლითი კურსით და 9,267.30 დოლარს - მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით. უმუშევრობის დონე 2016 წელს 11.8%-ს შეადგენდა.

რესპონდენტები. პილოტური კვლევისთვის შეირჩა ყოველი შინამეურნეობის მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი: ძირითადი რესპონდენტი, მისი მეუღლე და მესამე სრულწლოვანი წევრი. ძირითადი რესპონდენტი არის შინამეურნეობის ყველაზე ინფორმირებული სრულწლოვანი წევრი, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ ინფორმაციას კვლევის თემატიკასთან დაკავშირებით. იდეალურ შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო ძირითადი წყვილის - ძირითადი რესპონდენტის და მისი მეუღლის - გამოკითხვა. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე არ იყო ხელმისაწვდომი ინტერვიუსთვის, მოხდა ორი სრულწლოვანი წევრის შეირჩევა შემთხვევითი მეთოდის გამოყენებით. ყველა ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა განცალკევებით და მონაცემები ჩაიწერა დამოუკიდებელ კითხვარებში.

ინტერვიუს ჩატარების წესები. საველე სამუშაოების ინსტრუქციების შესაბამისად უნდა გამოკითხულიყო მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი ერთ შინამეურნეობაში. თითოეული მათგანის გამოკითხვა უნდა მომხდარიყო განცალკევებით, ერთდროული გამოკითხვის პრინციპის გამოყენებით. კითხვარის თანახმად, რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვებს როგორც მათ ექსკლუზიურ მფლობელობაში ან თანამფლობელობაში არსებულ აქტივებზე, ასევე გვაწვდიდნენ ინფორმაციას შინამეურნეობის სხვა წევრების მფლობელობაში არსებულ აქტივებზე. ინტერვიუები ჩატარდა საველე ინტერვიუერების გუნდისა და რეგიონული ზედამხედველების მიერ. ყველა აქტივისთვის, საკუთრების შესახებ მონაცემების შეგროვება მოხდა რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ზოგიერთი აქტივისთვის, როგორცაა საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა ან სხვა უძრავი ქონება, კითხვარი მოიცავდა კითხვებს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების არსებობის შესახებ.

² საქართველოს მთავრობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობა. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=151&lang=geo

კვლევის პერიოდი. EDGE კვლევის სავსე სამუშაოები ჩატარდა 2015 წლის 26 სექტემბრიდან 2015 წლის 20 ოქტომბრის პერიოდში.

საანგარიშო პერიოდი. საანგარიშო პერიოდი გულისხმობს დროის იმ პერიოდს, რომელთან მიმართებაში ხდება კონკრეტული ინფორმაციის შეგროვება რესპონდენტებისგან. აქტივების ფლობისა და შეფასების შესახებ კითხვების უმეტესობა ეხებოდა მდგომარეობას ინტერვიუს მომენტისათვის. ამასთან, პილოტური კვლევის გარკვეული კითხვებისთვის საანგარიშო პერიოდი განსხვავებულია; მაგ., გასული კვირა და გასული წელი დასაქმებასთან დაკავშირებული კითხვებისთვის, გასული კვარტალი შემოსავალთან ან საწარმოებთან დაკავშირებული კითხვებისთვის. შესაბამისი საანგარიშო პერიოდი თითოეული კითხვისთვის კითხვარში მითითებული იყო.

დაკვირვების ერთეული. პილოტური კვლევის დაკვირვების ერთეულს როგორც შინამეურნეობა, ისე შინამეურნეობის ცალკეული წევრი წარმოადგენს. კვლევის კითხვარები იყო განკუთვნილი როგორც შინამეურნეობისთვის, ასევე ინდივიდუალური წევრებისთვის. იდეალურ შემთხვევაში, შინამეურნეობის კითხვარის შესავსებად უნდა გამოკითხულიყო ძირითადი რესპონდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ძირითადი წყვილის მეორე წევრი (მეუღლე ან პარტნიორი). ინდივიდუალური კითხვარის ინფორმაცია აქტივების ფლობასთან დაკავშირებით, მიიღებოდა მაქსიმუმ სამ სრულწლოვან წევრთან ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარების გზით.

შერჩევის ჩარჩო. კვლევის შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები. მონაცემთა ბაზა გამოყენებულ იქნა სააღწერო უბნების, როგორც შერჩევის პირველადი ერთეულების (შპე), ხოლო შინამეურნეობების, როგორც შერჩევის მეორადი ერთეულების (შმე) შესარჩევად. შერჩევის დიზაინის შესახებ დეტალები მოცემულია ჩანართში 1.2.

ჩანართი 1.2: შერჩევის დიზაინი

საქართველოს პილოტურ კვლევისთვის გამოყენებული იქნა ორსაფეხურიანი სტრატეგიული შერჩევის დიზაინი. პირველ რიგში თითოეულ სტრატაში მოხდა სააღწერო უბნების შერჩევა (შერჩევის პირველადი ერთეულები - შპე). შემდეგ, მოხდა შინამეურნეობების (შერჩევის მეორად ერთეული - შმე) განსაზღვრული რაოდენობის შერჩევა თითოეულ შერჩეულ შპე-ში

მეორე დონის სტრატეგიცირება. კვლევის შერჩევის დიზაინში გათვალისწინებული იყო შინამეურნეობის სრულწლოვანის წევრების რაოდენობა თითოეულ შპე-ში, რათა მომხდარიყო ორი მეორე დონის სტრატის (მდს-1 და მდს-2) განსაზღვრა:

- i. მდს-1 - ყველა შინამეურნეობა სამი ან მეტი სრულწლოვანი (18 წლის და უფროსი ასაკის) წევრით;
- ii. მდს-2 - დანარჩენი შინამეურნეობები (2 ან ნაკლები სრულწლოვანი წევრით).

ერთეულების შერჩევა. თითოეულ რეგიონში შმე-ების შერჩევა მოხდა ზომის პროპორციული ალბათური შერჩევის მეთოდის გამოყენებით (probability proportional to size - PPS), ხოლო შმე-ები - სისტემატური შერჩევის მეთოდით, შემთხვევითი ათვლის წერტილის გამოყენებით. შმე-ის შერჩევა თითოეულ სტრატაში განხორციელდა დამოუკიდებელ ქვეშერჩევებად, რათა მიგვეღო დისპერსიის წაუნაცვლებელი შეფასებები შერჩევის დიზაინისგან მეთოდისაგან დამოუკიდებლად.

შერჩევის ზომა - შერჩევის პირველადი ერთეული. კვლევის ძირითადი ინდიკატორების, შერჩევის ზომის განსაზღვრისთვის საჭირო სხვა მონაცემებისა და ასევე, არსებული რესურსების გათვალისწინებით, შერჩევის პირველადი ერთეულების რაოდენობამ შეადგინა 158 შპე.

შერჩევის ზომა - შერჩევის მეორადი ერთეული. თითოეულ შპე-ში მოხდა შინამეურნეობების თანაბარი რაოდენობის შერჩევა. ამგვარად, თუ თითოეულ შპე-სთვის განსაზღვრული იყო 16 შინამეურნეობა, თითოეული მეორე დონის სტრატისთვის (მდს) შეირჩა 8 შინამეურნეობა. ამასთან, უარების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით მოხდა თითო შმე-ში 20 შინამეურნეობის შერჩევა. ამგვარად, ჯამში დაახლოებით 3,160 შინამეურნეობა იქნა შერჩეული (16 შინამეურნეობა თითო შმე-ში). შერჩევის ზომა განისაზღვრა იმ მიზნით, რომ გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა 2,783 ყოფილიყო.

მეორე დონის სტრატეგიცირებისთვის, საჭიროა შინამეურნეობების სია, სადაც მითითებულია სრულწლოვანი წევრების რაოდენობა თითოეულ შინამეურნეობაში. ამისთვის, სასურველია რომ ხელმისაწვდომი იყოს თითოეულ შერჩეულ შპე-ში შინამეურნეობების წევრების სია შერჩევის პერიოდისთვის ან მოხდეს მოძველებული სიების განახლება. თუმცა, ეს დაკავშირებულია დამატებით რესურსებთან. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2014 წელის ნოემბრის თვეში, კვლევის სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ინფორმაცია შინამეურნეობების სრულწლოვანი წევრების რაოდენობის შესახებ, მონაცემების განახლების გარეშე.

თითოეულ სტრატაში შინამეურნეობის სასურველი რაოდენობის შერჩევის მიზნით და შერჩეულ შინამეურნეობებში სრულწლოვანი წევრების რაოდენობის გათვალისწინებით, შერჩეული შპე-ები დაიყო მორე დონის ორ სტრატად (მდს-1 და მდს-2).

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

1.3 კვლევის განხორციელება

კვლევის ინსტრუმენტარი მომზადდა EDGE-ის საერთაშორისო ჯგუფის მიერ³. შემდგომში, აზიის განვითარების ბანკის და გაეროს სტატისტიკის განყოფილების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, საქსტატის გუნდმა მოახდინა ინსტრუმენტარის მორგება საქართველოს სპეციფიკაზე. განხორციელდა კვლევის ინსტრუმენტარის წინასწარი ტესტირება, რის შედეგადაც კითხვარში შევიდა მცირედი ცვლილებები. კითხვარების ადაპტირების დასრულების შემდეგ მოხდა მათი ქართულ ენაზე თარგმნა.

ტრენინგი. ტრენინგი განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპზე ტრენინგი ჩატარდა ტრენერებისთვის, ხოლო მეორე - საველე ინტერვიუერებისა და ზედამხედველებისთვის. ტრენინგების მსვლელობისას აზიის განვითარების ბანკის და გაეროს სტატისტიკის განყოფილების წარმომადგენლები კონსულტაციას უწევდნენ ტრენერებს მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ საკითხებში. ტრენინგები გრძელდებოდა 2-4 დღე და მოიცავდა ლექციებს, სიმულაციურ და საველე ინტერვიუებს.

საველე სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა. საველე სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველები ხელმძღვანელობდნენ და დამატებით ტრენინგებს უტარებდნენ ინტერვიუერებს, აძლევდნენ რჩევებს და წარმართავდნენ მათ საქმიანობას სააღწერო უბნებზე. გარდა ამისა, საველე სამუშაოების დაწყების შემდეგ, საქსტატის თანამშრომლები ესტუმრნენ რეგიონულ ცენტრებს და ინტერვიუებთან და ზედამხედველებთან ერთად განიხილეს შევსებულ კითხვარებში არსებული უზუსტობები.

ამასთან, საველე სამუშაოებს მონიტორინგს უწევდა საქსტატის შიდა აუდიტის სამმართველო, რაც მოიცავდა ინტერვიუერების გადამოწმებას შემთხვევით შერჩეულ მისამართებზე.

მონაცემთა ნაკადი, დოკუმენტაცია და მონაცემთა დამუშავება. ყველა რეგიონში მონაცემთა შეგროვება ხდებოდა ერთიანი სისტემის მიხედვით. ყოველი ინტერვიუს დასრულების შემდეგ, შინამეურნეობის დატოვებამდე, ინტერვიუერს უნდა შეემოწმებინა შევსებული კითხვარი და დარწმუნებულიყო, რომ თითოეულ კითხვარზე გაცემულია შესაბამისი პასუხი. შემდგომში, ხდებოდა კითხვარების მიწოდება რეგიონულ ზედამხედველთან, რომელიც ახორციელებდა კითხვარის მონაცემების სისრულის, შემადგენლობისა და სანდოობის შემოწმებას. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, კითხვარები შესასწორებლად უბრუნდებოდა ინტერვიუერს.

³ EDGE კვლევის ინსტრუმენტარი ეფუძნებოდა გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის გაზომვის მეთოდოლოგიური ექსპერიმენტს (MEXA). ექსპერიმენტი ჩატარდა EDGE გლობალური პროექტის თანამშრომლობით მსოფლიო ბანკის ცხოვრების დონის გაზომვის კვლევის (LSMS) პროგრამასთან, რათა მომხდარიყო კვლევის დიზაინის, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდების განსაზღვრა. ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა რესპონდენტის შერჩევის სხვადასხვა მეთოდის ტესტირებას აქტივების ფლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის ინდივიდუალურ დონეზე. აღნიშნული განხორციელდა უგანდის სტატისტიკის ბიუროსთან (UBoS) თანამშრომლობის გზით. მსოფლიო ბანკი. “Kilic, T., and Moylan, H. (2016). “Methodological experiment on measuring asset ownership from a gender perspective (MEXA): technical report.” Washington, DC: World Bank.

http://siteresources.worldbank.org/INTLSMS/Resources/3358986-1423600559701/MEXA_Technical_Report.pdf

საბოლოოდ, ხდებოდა შევსებული კითხვარების მიწოდება საქსტატის ცენტრალურ ოფისში, სადაც კითხვარების გადაეცემოდა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის ჯგუფს შემდგომი დამუშავებისთვის.

თავი 2: ცნებები და მეთოდოლოგია

მე-2 თავში განხილულია ცნებები და განმარტებები, როლებიც გამოყენებულია პილოტურ კვლევებში. ამასთან ერთად, აღწერილია მონაცემთა სახეები, რომლებიც აუცილებელია გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობისა და განკარგვის გაზომვისათვის. მიმდინარე თავში სხვა ძირითად ცნებებთან ერთად მოცემულია კვლევაში განხილული აქტივების ტიპების, მიღების მეთოდების, და მფლობელობის ფორმების დეტალები, ისევე როგორც მათი პრაქტიკული ასახვა პილოტურ კვლევაში. გარდა ამისა, განხილულია გენდერული უთანასწორობის შესწავლისათვის გამოყენებული სხვადასხვა ანალიტიკური საზომი და მონაცემთა დამუშავების სტადიაზე გამოვლენილი პრობლემები.

2.1 ძირითადი ცნებები

2.1.1 მეთოდოლოგიური ჩარჩო

მიზანშეწონილია, მიმდინარე თავი დავიწყოთ იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს განხილვით, რომელიც გამოყენებულია გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის გასაზომად. გრაფიკი 2.1 დაყოფილია სამ ნაწილად. აქტივების ფლობასა და განკარგვაზე მონაცემთა შეგროვება EDGE ინიციატივის ძირითადი საკითხია, რომელიც ავლენს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ შესაძლო მნიშვნელოვან უთანასწორობებს. გასათვალისწინებელია სამართლებრივი ბაზა, ნორმები და მათი გავლენა დაკვირვების შედეგებზე. ანალოგიურად, შეგროვებული მონაცემები შესაბამისობაში უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის საჭიროებებთან.

მფლობელობა, ზოგადად, დაკავშირებულია უფლებათა ნაკრებთან, რომელიც განსაზღვრავს მფლობელობის სხვადასხვა ტიპს. EDGE პროექტში მფლობელობა განისაზღვრება, როგორც უფლებათა ნაკრები, რადგან ეს უფლებები აღწერს დეტალურ სურათს იმისა, თუ როგორ იყენებენ აქტივებს შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრები (კვლევის მომენტისთვის 18 წლის და უფროსი ასაკის პირები). სხვადასხვა ტიპის მფლობელობის შესაბამისი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივებზე ხელმისაწვდომობასთან, მათ გამოყენებასთან და განკარგვის გადაწყვეტილების უფლებასთან, შესაძლოა, გადანაწილებული იყოს შინამეურნეობის სხვადასხვა წევრებზე. ამასთანავე, მფლობელობის ყველა უფლება, შესაძლოა, შინამეურნეობის ერთ ცალკეულ პირს არ ჰქონდეს მინიჭებული და განსხვავდებოდეს თავისი მასშტაბებით. მაგალითად, შინამეურნეობის კონკრეტულ წევრს შეიძლება ჰქონდეს აქტივის გამოყენების, მაგრამ არა მისი განკარგვის ან გაყიდვის უფლება. პირმა, ასევე, შესაძლოა, საკუთარი თავი დაასახელოს აქტივის მფლობელად, მაგრამ შესაბამისი იურიდიული დოკუმენტი შეიძლება არ ასახავდეს ამ ფაქტს ან ხსენებულ პირს არ გააჩნდეს აქტივის განკარგვის ფაქტიური უფლება.

ამ უფლებათა ნაკრების მიხედვით, პირი, შესაძლოა, იყოს **განცხადებული მფლობელი** (თუ შინამეურნეობის ერთი რესპონდენტი მაინც დაასახელებს მას კონკრეტული აქტივის მფლობელად), **დოკუმენტირებული მფლობელი** (თუ მისი სახელი რესპონდენტების ზეპირი გამოკითხვების საფუძველზე შეტანილია კონკრეტული აქტივის საკუთრების დამადასტურებელ საბუთში) ან ჰქონდეს **გასხვისების უფლებები აქტივებზე**, რაც გულისხმობს **გაყიდვის უფლებას** (თუ მას აქვს აქტივის გაყიდვის შესაძლებლობა ფულადი ან ნატურალური სახის სარგებლის სანაცვლოდ) და **ანდერძით გადაცემის უფლებას** (თუ მას აქვს აქტივის ზეპირი ან წერილობითი ანდერძით გადაცემის შესაძლებლობა).

მფლობელობის ტიპების გარდა, არსებობს **მფლობელობის სხვადასხვა ფორმაც**, რადგან აქტივების ფლობა, შესაძლებელია, როგორც ერთპიროვნულად, ისე ერთობლივად. პირი, შესაძლოა, იყოს **ერთპიროვნული** (თუ ის არის კონკრეტული აქტივის ერთადერთი მფლობელი) ან **თანამფლობელი** (თუ ის არის კონკრეტული აქტივის მფლობელი შინამეურნეობის წევრ(ებ)თან და არაწევრ პირ(ებ)თან ერთად). გრაფიკზე 2.1 ერთპიროვნული მფლობელობა გამოსახულია წრეების თანაუკვეთი ნაწილებით და შეესაბამება ქალისა და მამაკაცის აქტივებს, ხოლო ერთობლივი მფლობელობა გამოსახულია თანმკვეთი ნაწილებით.

არსებობს აქტივების მიღების მრავალი საშუალება, მათ შორის შესყიდვა, მემკვიდრეობით ან საჩუქრად მიღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ აქტივები არის დაზოგვის საშუალება, მათ, შესაძლოა, ფულადი ღირებულება მიენიჭოს და შემდგომ შესაძლებელია ამ აქტივების საფუძველზე მატერიალური კეთილდღეობის (სიმდიდრის) შეფასება, როგორც ცალკეული პირის, ისე შინამეურნეობისათვის. აუცილებელია ყურადღების მიქცევა აქტივების ფლობის ისეთ ასპექტებზე, როგორცაა ცალკეული პირების მიერ აქტივების მიღების საშუალებები ამ აღნიშნული აქტივების ღირებულების შეფასება, ვინაიდან ისინი შეიძლება ასახავდეს მამაკაცებსა და ქალებს შორის უთანასწორობებს აქტივების ფლობის თვალსაზრისით. მიღების მეთოდებთან დაკავშირებული სხვაობები შესაძლოა განპირობებული იყოს აქტივებზე განსხვავებული ხელმისაწვდომობით და მნიშვნელოვანი იყოს მემკვიდრეობით გადაცემის, საქორწინო რეჟიმისა და შესყიდვის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრისათვის. გენდერული უთანაბრობა მატერიალურ კეთილდღეობაში დამატებით განზომილებას სძენს აქტივების ფლობაში უთანაბრობის ანალიზისათვის, რადგან მიუთითებს განსხვავებებზე აქტივების ხარისხსა და რაოდენობაში.

როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩო გვიჩვენებს (გრაფიკი 2.1), არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აყალიბებს აქტივების ფლობის სტრუქტურას. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს ქვეყნის სპეციფიკა წარმოადგენს, რაც მოიცავს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზას - ჩვეულებით სამართალს, კანონმდებლობასა და საქორწინო რეჟიმს - და სოციალურ ნორმებს. მან, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ვინ იქნება მფლობელი, ვისთვის არის ხელმისაწვდომი და ვინ განკარგავს აქტივს. მაგალითად, კანონმდებლობით შეიძლება დადგენილი იყოს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება აქტივებზე ხელმისაწვდომობისა და მათი ფლობის თვალსაზრისით. თუმცა ზოგიერთი ტრადიცია, მაგალითად, როგორცაა უპირატესობის

მინიჭება მამრობითი სქესის შთამომავლობისათვის, გავლენას ახდენდეს ქალების მიერ აქტივების ფლობაზე ან მათ ხელმისაწვდომობაზე. ზოგ შემთხვევაში, ისეთი აქტივები, როგორცაა მიწა და საცხოვრისი, რომლებიც ძირითადად ძვირადღირებულ აქტივებად აღიქმება, ანდერძით გადაეცემათ ვაჟებს, რადგან ითვლება, რომ ისინი უკეთ შეძლებენ მათ განკარგვას. ამასთან, საქორწინო რეჟიმი ზოგიერთ ქვეყანაში აყალიბებს აქტივებთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ქალისა და მამაკაცის მიერ აქტივების ფლობასა და განკარგვაზე.


აქტივების ფლობის და ხელმისაწვდომობის პირობები გავლენას ახდენს ცალკეულ პირებზე, შინამეურნეობებზე და საზოგადოებაზე. არსებული პრობლემების განეიტრალება შესაძლებელია მოხერხდეს ქალთა გაძლიერების, მდგრადი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფისა და სიღარიბის შემცირების გზით.

აქტივების ფლობას, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში, შეუძლია ხელი შეუწყოს მათ გაძლიერებას და შინამეურნეობის კეთილდღეობას. კერძოდ, ქალთა მიერ აქტივების ფლობა განაპირობებს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების ტენდენციას, მათი როლის ზრდას შინამეურნეობის გადაწყვეტილებების მიღებაში და მათი შვილებისათვის უკეთესი განათლების და საჭირო უნარ-ჩვენების ჩამოყალიბების უზრუნველყოფაში.

აქტივების ფლობის შესახებ მონაცემები, შესაძლოა, დაგვეხმაროს სიღარიბის სხვადასხვა ასპექტის გამოვლენაში. მონეტარული სიღარიბის გარდა, გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა, ასევე, შესაძლოა გაითვალისწინონ აქტივებზე დაფუძნებული სიღარიბე. აქტივების ანალიზმა, შესაძლოა, სიღარიბის ნათელი სურათი წარმოგვიდგინოს სხვადასხვა შემოსავლის მქონე პირთათვის, ვინაიდან აქტივები ასახავს მათი მფლობელის ცხოვრების დონეს, დაგროვილ მატერიალურ სიმდიდრეს და როლს გადაწყვეტილებების მიღებაში. აქტივების ფლობა მნიშვნელოვანია საარსებო წყაროებისა და ფინანსური სტაბილურობის კუთხითაც. აქტივები შინამეურნეობებს ეხმარება მეწარმეობისათვის საჭირო კაპიტალის ხელმისაწვდომობასა და ნეგატიური ეკონომიკური შოკების შემსუბუქებაში.

აქტივების ფლობის შესახებ მონაცემთა შეგროვება გვეხმარება არა მხოლოდ გენდერული ანალიზის მნიშვნელობის გადმოსაცემად, არამედ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ისეთი პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც გავლენას მოახდენს ინდივიდუალურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ სამ სფეროში: ქალთა გაძლიერება, მდგრადი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და სიღარიბის შემცირება.

გრაფიკი 2.1: მეთოდოლოგიური ჩარჩო გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობასა და განკარგვაზე



წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, სტატისტიკის განყოფილება (მუშავდება). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთოდოლოგიური მითითებები გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის სტატისტიკის წარმოების შესახებ შინამეურნეობების კვლევების მეშვეობით. <https://unstats.un.org/edge/methodology/asset/>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პილოტური კვლევებიდან მიღებული მონაცემები და EDGE მეთოდოლოგიურ ჩარჩოში არსებული ცნებების გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ აუცილებელი მონაცემების მისაღებად, არამედ მეთოდოლოგიური მითითებების შემუშავებისა და განმარტებების სტანდარტიზებისთვის, აქტივების ფლობის შესახებ მონაცემების შეგროვების სრულყოფისთვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია EDGE მეთოდოლოგიურ ჩარჩოში არსებული ცნებების დეტალური განხილვა.

2.1.2 პილოტური კვლევის მასშტაბი

პილოტური კვლევა „გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე“ არის დამოუკიდებელი კვლევა, რომელიც 2015 წელს ჩატარდა სამ

ქვეყანაში: საქართველოში, მონღოლეთში და ფილიპინებში (კავიტეს პროვინცია). კვლევა ჩატარდა აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე ინდივიდუალური მონაცემების შეგროვების გზით, EDGE ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის ტესტირებისა და დახვეწის მიზნით. კვლევის შედეგები ასევე გამოყენებულ იქნა შემდეგი ელემენტების რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასებისთვის:

- (i) რამდენად უზრუნველყოფს EDGE მოდულების დიზაინი იმას, რომ კითხვები იყოს ნათელი და არაორაზროვანი, პასუხების კატეგორიები - ადეკვატური მთლიანი მოსახლეობისთვის, ხოლო რთული ან/და უსიამოვნო კითხვები არის იდენტიფიცირებული და შესაბამისი ცნებები ადეკვატურად არის გამოყენებული;
- (ii) რამდენად მოხერხებადია ინტერვიუსთვის შერჩეული შინამეურნეობის წევრების გამოკითხვა EDGE პროექტის სავსე ინსტრუქციების შესაბამისად;
- (iii) რამდენად თავსებადია EDGE პროექტის მიერ შემოთავაზებული გლობალური ინდიკატორები ქვეყნის სპეციფიკასთან.

კვლევების შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო ინდივიდუალურ დონეზე აქტივების ფლობის შესახებ სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული განმარტებების, მეთოდოლოგიური მითითებებისა და ინსტრუქციების სტანდარტიზაციას.

სამ პილოტურ ქვეყანაში განხორციელებული მონაცემთა შეგროვება მოხდა დამოუკიდებელი კვლევის მეშვეობით. EDGE პროექტის ფარგლებში, გამოკითხვის სხვა მეთოდების ტესტირება მოხდა ოთხ სხვა ქვეყანაში: მალდივები, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა და უგანდა. ამ ქვეყნებში მონაცემთა შეგროვების გამოყენებული სტრატეგიების შეჯამება მოცემულია ცხრილში 2.1.

**ცხრილი 2.1: „მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემები გენდერულ თანასწორობაზე“
პილოტური კვლევების მიმოხილვა**

ქვეყანა	მონაცემთა შეგროვების სტრატეგია	აქტივების მოცვა	შერჩევის ზომა	მონაცემთა შეგროვების პერიოდი
საქართველო ^ა	დამოუკიდებელი გამოკვლევა	ყველა აქტივი	3,160 შინამეურნეობა (რეპრეზენტატული ქვეყნის დონეზე)	სექტემბერი– ოქტომბერი 2015
მალდივები	HIES - ის დამატება	ყველა ძირითადი აქტივი + ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ^ბ	HIES-ის 285 შინამეურნეობის ქვე- შერჩევა სამ კუნძულზე	მაისი 2016
მექსიკა	ENH - ის დამატება	ყველა ძირითადი აქტივი + ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ^ბ	ENH-ის 8,204 შინამეურნეობის ქვე- შერჩევა	ივნისი – ოქტომბერი 2015
მონღოლეთი ^ა	დამოუკიდებელი გამოკვლევა	ყველა აქტივი	3,008 შინამეურნეობა (რეპრეზენტატული ქვეყნის დონეზე)	სექტემბერი– ნოემბერი 2015
ფილიპინები ^ა	დამოუკიდებელი გამოკვლევა	ყველა აქტივი	1,536 შინამეურნეობა (რეპრეზენტატული კავიტეს პროვინციის დონეზე)	სექტემბერი – ოქტომბერი 2015
სამხრეთ აფრიკა	დამოუკიდებელი გამოკვლევა	ყველა აქტივი (ძვირფასეულობის გარეშე) + შინამეურნეობის დონეზე გადაწყვეტილების მიმდების მოდული	1,946 შინამეურნეობა (რეპრეზენტატული კვაზულუ-ნატალის პროვინციის დონეზე)	აგვისტო – სექტემბერი 2016
უგანდა	დამოუკიდებელი გამოკვლევა	ყველა აქტივი	2,720 შინამეურნეობა (რეპრეზენტატული ქვეყნის დონეზე)	ივნისი- აგვისტო 2014

HIES - შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, ENH - შინამეურნეობების ეროვნული გამოკვლევა

^ა საპილოტე ქვეყნები, რომლებსაც აზიის განვითარების ბანკმა გაუწია ტექნიკური დახმარება

^ბ ძირითადი აქტივები მოიცავდა საცხოვრისს, სასოფლო-სამეურნეო მიწისა და სხვა უძრავის ქონებას

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, სტატისტიკის განყოფილება (მუშავდება). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთოდოლოგიური მითითებები გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის სტატისტიკის წარმოების შესახებ შინამეურნეობების კვლევების მეშვეობით.

2.1.3 აქტივების განმარტება

აქტივი არის ყველა ის საგანი, რომელსაც მფლობელისთვის მოაქვს ეკონომიკური სარგებელი მისი ფლობის ან საქონლის/მომსახურების წარმოების მიზნით გამოყენების გზით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეკონომიკური სარგებელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემოსავლის მიღების ან აქტივის ღირებულების ზრდის სახით⁴. თუმცა, აქტივების გაუფასურებამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს დანაკარგი.

აქტივს აქვს სამი მახასიათებელი: (i) შესაძლებელია მისი საკუთრების უფლების გამოყენება; (ii) შესაძლებელია მისი გამოყენება საქონლის/მომსახურების წარმოების, კაპიტალის შექმნის ან ღირებულების შენარჩუნების მიზნით; და (iii) მისი გამოყენება ჩვეულებრივ 1 წელზე მეტ დროის განმავლობაში ხორციელდება. ფართო გაგებით, აქტივად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს სოციალური და ადამიანური კაპიტალი (როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და უნარები), თუმცა პილოტური კვლევის მასშტაბი შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ და ფინანსური აქტივებით.

რადგან კვლევის მიზანია ინდივიდუალურ დონეზე აქტივების ფლობის გაზომვა, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხება აქტივებს, რომელთაც ფლობს შინამეურნეობის სრულწლოვანი მამაკაცი ან ქალი ინდივიდუალურად ან რომლებიც ეკუთვნის არაიურიდიულ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომელთაც მართავს შინამეურნეობა. კვლევაში აქტივის განმარტება შეესაბამება ეროვნული ანგარიშების სისტემის (ეას)⁵ აქტივის განმარტებას. ამასთან, კვლევა მოიცავდა ისეთ განმარტებებსაც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული 2008 წლის ეას-ში, როგორცაა ხანგრძლივი მოხმარების საგნები და მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ხანგრძლივი მოხმარების საგნები შინამეურნეობის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილია და შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ქალთა საარსებო წყაროსთვის.

2.1.4 კვლევაში ჩართული აქტივები

პილოტური კვლევა მოიცავდა როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ აქტივებს. ფინანსურ აქტივებში შედის მოთხოვნები, აქციები და კორპორაციების სხვა სახის ფასიანი ქაღალდები, კერძოდ, დეპოზიტები, აქციები, გაცემული სესხები (გასესხებული ფული). არა-ფინანსური აქტივები მოიცავს საცხოვრისს, პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობებს, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და საწარმოს აქტივებს, სხვა უძრავ ქონებას, ძვირფასეულობასა და სასოფლო-სამეურნეო მიწას. თუმცა, ზოგიერთი აქტივი, რომელიც არ შედის 2008 წლის ეას-ის საზღვრებში, როგორცაა ხანგრძლივი მოხმარების საგნები და მცირე

⁴ სარგებელი, რომელიც მიიღება აქტივის ფლობის შედეგად, ჩვეულებრივ აქტივის ღირებულების ზრდის მიზეზით.

⁵ ეროვნული ანგარიშების სისტემა (ეას) არის საერთაშორისოდ აღიარებული რეკომენდაციების სტანდარტული ნუსხა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური აქტივობის შესახებ მონაცემების დამუშავება.

<https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/sna.asp>

სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, შეტანილ იქნა კვლევაში, ვინაიდან ეს აქტივები შესაძლოა შინამეურნეობის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს, გამოიყენებოდეს შინამეურნეობების პროდუქტიულ საქმიანობებში და მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია შინამეურნეობებისა და ინდივიდუალურ დონეზე კეთილდღეობის გასაზომად.

საცხოვრისი. საცხოვრისში მოიაზრება ნაგებობა, რომელშიც ცხოვრობს შინამეურნეობა და ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეს ნაგებობა არის აშენებული. საცხოვრისი მთლიანად ან ძირითადად უნდა გამოიყენებოდეს როგორც საცხოვრებელი ადგილი, ნებისმიერი დაკავშირებული ნაგებობის ჩათვლით, მაგალითად ავტოფარეხი.

სხვა საცხოვრებელი შენობა/ნაგებობა, რომელიც არ გამოიყენება როგორც ძირითადი საცხოვრისი, შედის „სხვა უძრავი ქონების“ კატეგორიაში.

სასოფლო-სამეურნეო მიწა. სასოფლო-სამეურნეო მიწა მოიცავს მიწის ნაკვეთებს, რომლებსაც განკარგავს ან მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობს შინამეურნეობის წევრ(ებ)ი. ეს არის ნაკვეთები, რომლებიც ტიპის, ფორმისა და ზომის მიუხედავად, გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად.

პირუტყვი. პირუტყვი მოიცავს ნებისმიერ ცხოველს, ფრინველსა და მწერს - წყლის ცხოველების გარდა - რომლებიც ჰყავთ ან ამრავლებენ გარკვეული სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის⁶. შინაური ცხოველები (მაგ. კატები, ძაღვები) არ შედიან აღნიშნულ აქტივში, თუ მათი დანიშნულება არ არის დაკავშირებული საკვების ან სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის.

პირუტყვის სია განსხვავდება პილოტური ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე. ქვეყნებს მიეცათ შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინათ სია იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად თავიანთი ეკონომიკის და შინამეურნეობებისთვის.

მსხვილი და მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები. სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა არის ნებისმიერი მანქანა და მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც მსხვილი ან მცირე. მსხვილ მოწყობილობებთან ერთად, მცირე მოწყობილობების კითხვარში ჩართვა შესაძლოა სასარგებლო იყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის დინამიკის განსასაზღვრად, განსაკუთრებით, შედარებით ღარიბი შინამეურნეობისთვის, მეტადრე ქალებისთვის. საპილოტე ქვეყნებში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მიდგომა მსხვილი და მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების გამიჯვნისათვის (მაგ. ეფექტური სიმძლავრე⁷, ღირებულება, ზომა და სხვ.). ქვეყნებს შეეძლოთ უარი ეთქვათ კითხვარში წვრილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების შეტანაზე.

⁶ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განმარტების შესაბამისად.

⁷ მაგალითად, მრავალფუნქციური წვესაწურის კლასიფიკაცია დაფუძნებულია გამტარიანობაზე (შინამეურნეობაში გამოყენებისთვის/მცირე ზომის - გამტარიანობაა 15 კილოგრამი საათში; კომერციული მიზნებისთვის/დიდი ზომის - გამტარიანობა არის მეტი ვიდრე 40 კილოგრამი საათში).

პილოტურმა ქვეყნებმა კითხვარებში შეიტანეს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების სხვა სახეებიც. საქართველოს კითხვარში შეტანილ იქნა სხვადასხვა სახის ტრაქტორები: ხელის ტრაქტორი, მინი ტრაქტორი და ტრაქტორი უფრო დიდი სიმძლავრით. მონღოლეთში დაამატეს სხვა სახის მანქანა-დანადგარებით (კომბაინები, ცხენსა და ტრაქტორზე მისაბმელი ფოცხი, ბალახის საჭრელი მოწყობილობა, სასუქის გამფანტველი, ირიგაციის სისტემები, ნიადაგის ფრეზი, თივის მოსაგროვებელი). რესპონდენტებს ჰქონდა საშუალება დაემატებინათ სხვა სახის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, რაც შეიძლება ჰქონოდათ. ორი ან მეტი, ერთნაირი ტიპის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის შერჩევასა, ჩამონათვალში უნდა ჩაწერილიყო წარმოების წლის მიხედვით, ახლიდან ძველისკენ.

კითხვარის შევსების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის ფოტოები, რათა მომხდარიყო ინტერვიუერისა და რესპონდენტის მხრიდან მსხვილი და მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების სწორი იდენტიფიცირება.

არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები. საწარმო არის ორგანიზაციული ერთეული, რომელიც ჩართულია საქონლისა და მომსახურების წარმოებაში ან გადანაწილებაში შემოსავლის მიღების მიზნით (ნაწილობრივ ან მთლიანად), განურჩევლად პროდუქციის ზომისა და მასშტაბისა.

განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე ინკორპორირებული და არაინკორპორირებული საწარმოები. სასოფლო-სამეურნეო საწარმო აწარმოებს ან ყიდის გადაუმუშავებელ სასოფლო-სამეურნეო საქონელს, როგორებიცაა ხილი, რძე, ბოსტნეული და მატყლი. საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ დამუშავებულ პროდუქტს (მაგ. პური, ყველი და ტექსტილი) ან ყიდიან ისეთ საქონელს, როგორიცაა შეშა ან ნახშირი, შედიან არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. მაგალითად, თუ შინამეურნეობის წევრს მოჰყავს და ყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, მაგ. ყურძენს, ეს ჩაითვლება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად. მაგრამ, თუ შინამეურნეობის წევრი ყიდის ღვინოს, რომელსაც აწარმოებს სახლში მოყვანილი ყურძნისგან, აღნიშნული კლასიფიცირდება როგორც არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

ინკორპორირებული საწარმო არის იურიდიული პირი, რომლის მიზანია საქონლისა და მომსახურების წარმოება ბაზარზე გასაყიდად. ამ მომსახურებისა და საქონლის გაყიდვა შეიძლება მომგებიანი იყოს მფლობელისთვის ფინანსურად ან სხვა გზით. ასეთი საწარმოები არის ერთი ან მეტი მეწილის მფლობელობაში, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა დანიშნონ პირი, რომელიც მართავს საწარმოს. ამის საპირისპიროდ, *არაინკორპორირებული საწარმოები*, ჩვეულებრივ, გვხვდება შინამეურნეობების სექტორში და მათ ყოველთვის არ აქვთ იურიდიული სტატუსი. ამასთან, ისინი ჩართულნი არიან საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და გაყიდვაში.

კვლევამ მოიცვა მოქმედი, დროებით შეჩერებული ან სეზონურად მოქმედი არაინკორპორირებული არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ასეთი საწარმოები შესაძლოა იყოს ნებისმიერი ზომის, განთავსებული იყოს შინამეურნეობის საცხოვრისში ან სხვა ნებისმიერ ადგილას და იყოს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური. მაგალითად, ერთი პირის

საქმიანობა რომელიც უზრუნველყოფს საქონელს ან/და მომსახურებას სხვა, შინამეურნეობის არა-წევრი პირისთვის ან ჯგუფისთვის, განისაზღვრება როგორც საწარმო.

საწარმოს აქტივები არის ყველა ის აქტივი, რასაც ფლობს არასასოფლო-სამეურნეო საწარმო, როგორებიცაა მოწყობილობები, სამანქანო დანადგარები, ავეჯი ან მასალების მარაგები. არაინკორპორირებული საწარმოებისთვის, ის აქტივები, რომელთა კლასიფიცირება ვერ მოხერხდა მათი მრავალფუნქციური დანიშნულების გამო (როგორც საწარმოში, ასევე შინამეურნეობაში გამოყენებისთვის განკუთვნილი აქტივები), განისაზღვრა, როგორც შინამეურნეობის აქტივები.

სხვა უძრავი ქონება. საცხოვრისი (გარდა შინამეურნეობის მიერ გამოყენებადი ძირითადი საცხოვრისისა), არასაცხოვრებელი შენობები და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სოფლად ან ქალაქად) განეკუთვნებიან სხვა უძრავ ქონებას. მათ, შესაძლებელია, ერთი ან მეტი შინამეურნეობის წევრი იყენებდეს დანაზოგის საშუალებად ან იჯარით გაცემისათვის. ასევე, ამ კატეგორიაში შედის მშენებლობის პროცესში მყოფი საცხოვრისებიც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოადგენენ ძირითად საცხოვრისს, ისინი მაინც განიხილება აქტივად, ვინაიდან მფლობელი მესაკუთრედ ითვლება მიმდინარე მშენებლობის ან ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულების არსებობის გამო.

ხანგრძლივი მოხმარების საგნები. საქონელს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთი ან მეტი წლის განმავლობაში განმეორებითი ან უწყვეტი მოხმარებისთვის, ეწოდება ხანგრძლივი მოხმარების საგნები. ისეთი ნივთები, როგორიცაა ავტომობილი და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები, ავეჯი, სამზარეულო ტექნიკა და სამრეცხაო ხელსაწყოები განიხილება როგორც ხანგრძლივი მოხმარების საგნები. ხანგრძლივი მოხმარების საგანი, რომელიც არ არის ფუნქციონალურ მდგომარეობაში და არ არის დაგეგმილი მისი შეკეთება, არ უნდა იყოს შეტანილი მათ რიცხვში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ფინანსური აქტივები არის შინამეურნეობისა და ცალკეული პირების ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი. კვლევაში ჩართული ფინანსური აქტივების მაგალითებს წარმოადგენს შემნახველი საბანკო ანგარიშები, ობლიგაციები, კაპიტალი (აქციები და წილები), არაფორმალური დაზოგვის პროგრამები, სიცოცხლის დაზღვევა, მიკროსაფინანსო ანგარიშები და საპენსიო ფონდები. შინამეურნეობის ან შინამეურნეობის წევრების მიერ გაცემული სესხები ასევე მიეკუთვნება ფინანსურ აქტივებს.

გარდა ამისა, კვლევაში მონაცემების შეგროვება ფინანსური ვალდებულებების შესახებ, რაც მოიცავს კერძო პირებისა და საწარმოებისგან ფულის სესხებას.

ძვირფასეულობა. ძვირფასეულობა არის არაფინანსური ხასიათის ნივთები, რომლებიც ინახება როგორც დანაზოგის საშუალება და არ გამოიყენება წარმოების მიზნით. ძვირფასეულობის რეალური ღირებულება, როგორც წესი, იმატებს ან, სულ ცოტა, იგივე რჩება დროთა განმავლობაში. ძვირფასეულობა შესაძლებელია ჩაითვალოს ინვესტიციის ალტერნატიულ ფორმად და გამოყენებულ იქნას როგორც გირაო ან გაიყიდოს ფულადი სარგებლის სანაცვლოდ.

ძვირფასეულობას მიეკუთვნება ძვირფასი ლითონები და ქვები, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაკეთობები და საკოლექციო ნივთები (წიგნები, ბარათები და მარკები). ასეთ ნივთებს მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში უპირატესობა ენიჭება ქალის სამკაულის ფლობას.

2.1.5 მფლობელობის უფლებათა ნაკრები

პილოტურ კითხვარში მფლობელობა მოიაზრება, როგორც უფლებათა ნაკრები მფლობელობის ტიპების მიხედვით. ამ მიდგომით, განსაზღვრულია მფლობელობის ორი ტიპი - განცხადებული და დოკუმენტირებული, ხოლო დანარჩენი ორი მოიაზრება, როგორც გასხვისების - გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის უფლებები. წინამდებარე მფლობელობის ტიპები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- **განცხადებული მფლობელობა.** ამ ტიპის მფლობელობას ვხვდებით, როცა ცალკეული პირი ან პირები თავს აქტივების მფლობელებად მიიჩნევენ ან მფლობელებად არიან დასახელებული დამატებითი რესპონდენტის მიერ, განურჩევლად იმისა, არსებობს თუ არა მფლობელობის შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი. აქედან გამომდინარე, ამგვარი მფლობელობა სრულიად ეფუძნება რესპონდენტის აღქმას. განცხადებული მფლობელობის შესწავლა საინტერესოა, რადგანაც შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც აქტივების მფლობელობის გაძლიერების მაჩვენებელი. ზოგიერთ შემთხვევაში, განცხადებული მფლობელობა შესაძლოა იყოს პიროვნების მფლობელობის სტატუსის ერთადერთი მაჩვენებელი (ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში, როდესაც მფლობელობის დოკუმენტი არაა ხელმისაწვდომი ან როდესაც საკუთრების უფლებები არაა დადგენილი).
- **დოკუმენტირებული მფლობელობა.** ცალკეული პიროვნება აქტივის დოკუმენტირებული მფლობელია იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სახელი მითითებულია ამ აქტივის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებში. ცალკეული პირები, რომლებსაც დოკუმენტირებული მფლობელობა აქვთ, სარგებლობენ უფლებით, განაცხადონ თავისი უფლებების შესახებ ან განახორციელონ საკუთარი კანონიერი უფლებების შესაბამისი ქმედება. ჩვეულებრივ, განსხვავებით იმ მფლობელებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთრების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი, ისინი უფრო მეტად არიან დაცული კანონის მიერ. აქტივების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, ჩვეულებრივ, მოიცავს: ოფიციალურ ოქმს ან საკუთრების უფლებას, შესყიდვის ხელშეკრულებას და ჩვეულებითი მესაკუთრეობის სერტიფიკატს. დოკუმენტები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. კვლევაში დოკუმენტირებული მფლობელის შესახებ ინფორმაცია შეგროვებული იყო რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დოკუმენტის გადამოწმების გარეშე.

- **გაყიდვის უფლება.** მოიაზრება, როგორც ცალკეული პირის უფლება, სამუდამოდ გაასხვისოს აქტივი, ნაღდი ფულის ან ნატურალური სახით მიღებული გადახდის/სარგებელის სანაცვლოდ. გაყიდვის უფლება არის გასხვისების უფლება და ძირითადად საკუთრებას უკავშირდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქტივი, ხშირ შემთხვევაში მიწა, არ შეიძლება გასხვისდეს კანონის ან სოციალური ნორმების გამო. ეს შესაძლოა ეხებოდეს ქვეყნებს, სადაც სახელმწიფო ფლობს მიწას.⁸ მონაცემები შეგროვდა რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- **ანდერძით გადაცემის უფლება.** პირი, რომელსაც აქვს აქტივის ანდერძით გადაცემის უფლება, უფლებამოსილია მოახდინოს წერილობითი ან სიტყვიერი ანდერძით აქტივის ჩუქება სხვა პირისთვის, სიკვდილის შემდეგ. ანდერძით გადაცემის უფლება ასევე არის გასხვისების უფლება, თუმცა იგი უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, ვიდრე გაყიდვის უფლება, რადგანაც ზოგიერთი აქტივი შესაძლოა გადაიცეს ანდერძით, მაგრამ იმავე პირს შესაძლოა არ ჰქონდეს გაყიდვის უფლება. კვლევაში მონაცემები შეგროვდა რესპონდენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

მფლობელობის და უფლებების აღნიშნული ტიპები შეიძლება განსხვავდებოდეს ცალკეული პირისათვის. მაგალითად, პირი შესაძლებელია იყოს საცხოვრისის განცხადებული, მაგრამ არა დოკუმენტირებული მფლობელი. რაც გულისხმობს, რომ ცალკეული პირი მოიაზრებს საკუთარ თავს მფლობელად, მაგრამ მას არ გააჩნია საჭირო უფლებამოსილება განახორციელოს კანონიერი გარიგება საცხოვრისის გასაყიდად, რადგანაც აღნიშნული გარიგება მესაკუთრეობის დოკუმენტს საჭიროებს. ანალოგიურად, აქტივების კანონიერად მფლობელ ცალკეულ პირებს შინამეურნეობაში შესაძლოა არ ჰქონდეს ფაქტობრივი უფლებამოსილება განახორციელოს კანონიერი გაყიდვა შინამეურნეობის უფროსის (ხშირად მამრობითი სქესის წევრის) თანხმობის გარეშე, არსებული კულტურული თუ სოციალური ნორმების გამო. მაშასადამე, აქტივების განკარგვის ხარისხი განსხვავებული იქნება ქვეყნების მიხედვით და შესაძლოა გამყარებული ან შემსუბუქებული იყოს ქვეყნის კანონების, ჩვეულებითი სამართალის, სოციალური ნორმებისა და არსებული გენდერული უთანასწორობის გამო.

2.1.6 მფლობელობის ფორმები

აქტივები შესაძლებელია იყოს ერთპიროვნულ ან ერთობლივ საკუთრებაში. ერთპიროვნული საკუთრების შემთხვევაში, კონკრეტული აქტივი ეკუთვნის მხოლოდ ერთ პირს, ხოლო თანამფლობელობის/ერთობლივი მფლობელობის შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს ერთად.

⁸ მაგალითად ნიგერიაში მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს და რეგიონის გუბერნატორი იძლევა მისი განკარგვის იურიდიულ უფლებას. მფლობელს არ აქვს უფლება გაყიდოს, იჯარით გასცეს ან გაასხვისოს მიწა გუბერნატორის ნებართვის გარეშე. ამგვარი ქმედება განიხილება როგორც „საზოგადოებრივი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე“ (International Centre for Nigerian Law. 1990. *Land Use Act*. <http://www.nigeria-law.org/Land%20Use%20Act.htm> [2017 წლის 8 ივნისის მდგომარეობით])

აღნიშნული ფორმების მიხედვით მფლობელებს შესაძლებელია განსხვავებული უფლებები და სარგებელი ჰქონდეთ. ერთპიროვნული მფლობელობის შემთხვევაში მფლობელს, როგორც წესი, უფრო მეტი უფლება აქვს. თანამფლობელობის შემთხვევაში თითოეული მფლობელის უფლებები შესაძლებელია განსხვავდებოდეს. მაგალითად, კონკრეტული აქტივის განსხვავებული მოხმარების უფლება. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მფლობელობის ფორმებისა და ტიპის დადგენა.

შინამეურნეობებში, თანამფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის თანამფლობელობა სრულწლოვან დაქორწინებულებს ან პარტნიორებს შორის. გარდა ამისა, ასეთ წყვილებს შორის მიღებული მფლობელობის ფორმა შესაძლებელია ქორწინებაში საკუთრების მფლობელობის შესახებ არსებული კანონმდებლობის გავლენა იყოს. ჩვეულებრივ არსებობს სამი საქორწინო რეჟიმი - საერთო საკუთრება, ნაწილობრივი საერთო საკუთრება და საკუთრების გაყოფა. საერთო საკუთრების რეჟიმის შემთხვევაში, წყვილის თითოეული წევრის კუთვნილი ქონება ითვლება ერთობლივ საკუთრებად. ნაწილობრივ საერთო საკუთრების რეჟიმის შემთხვევაში, ქორწინებამდე მეუღლის საკუთრებაში არსებული ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება ითვლება პირად საკუთრებად, ხოლო ქორწინებაში ყოფნის პერიოდში შეძენილი ნებისმიერი აქტივი - ერთობლივ საკუთრებად. საკუთრების გაყოფის რეჟიმის შემთხვევაში, ნებისმიერი სახის ქონება ითვლება ერთპიროვნულ საკუთრებად და ქორწინება არ იძლევა მეუღლის ქონებაზე რაიმე უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული რეჟიმები, ქორწინებისას წყვილს შეუძლია აირჩიოს თავისი რეჟიმი. ქორწინების ტიპებს - სამოქალაქო, ჩვეულებითი ან რელიგიური ქორწინება, შესაძლოა ახლდეს შესაბამისი ქონებრივი შეთანხმებები.

მიუხედავად იმისა, რომ თანამფლობელობა, უფრო ხშირად გვხვდება წყვილების შემთხვევაში, აქტივი ასევე შესაძლებელია თანამფლობელობაში იყოს მშობლებთან, სრულწლოვან შვილებთან, ნათესავებთან ან არა-ნათესავებთან ერთად.

2.1.7 აქტივების მიღების მეთოდი

აქტივების მიღების მრავალი მეთოდი არსებობს. მონაცემების ანალიზმა ინდივიდუალურ დონეზე აქტივების მიღების მეთოდის შესახებ შესაძლოა გამოავლინოს ქალისა და მამაკაცისთვის დამახასიათებელი აქტივების მიღების გზები ან სხვაობები მათ შორის. ქალისა და მამაკაცის მიერ აქტივების მიღებაში სხვაობაზე გავლენას ახდენს ნორმატივებსა და კანონმდებლობაში არსებული ზოგიერთი საკითხი. მაგალითად, თუ მამაკაცი უფრო ხშირად იღებს აქტივებს მემკვიდრეობით, შესაძლოა ეს მიუთითებდეს ვაჟიშვილების უპირატესობაზე აქტივების მემკვიდრეობით მიღებისას, ან კანონების ან წესების არსებობაზე, რომელიც მამაკაცს ანიჭებს უპირატესობას აქტივების მემკვიდრეობის საკითხში.

პილოტურ კვლევაში, აქტივების მიღების შვიდი ძირითადი მეთოდი შევიდა: (i) შესყიდვა (ii) მემკვიდრეობით (დაბადებით ან ქორწინებით ოჯახის წევრისგან) (iii) ქორწინებით (iv) წილის ან

საჩუქრის სახით (შინამეურნეობის წევრისა თუ შინამეურნეობის არაწევრისაგან) (v) სამთავრობო პროგრამით (vi) მითვისებისა და (vii) სხვა გზით, იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი ჩამოთვლილი მეთოდებისაგან განსხვავებულ პასუხს იძლევა. არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოდულში მესაკუთრე(ებ)ს ჰქონდათ საშუალება მიეთითებინათ პასუხი „დაფუძნებულია“.

2.1.8 გაუმჟღავნებელი აქტივები

აქტივების ფლობის კიდევ ერთ სფეროს "გაუმჟღავნებელი აქტივები" წარმოადგენს. ეს არის სრულწლოვანი ოჯახის ნებისმიერი წევრის საკუთრებაში არსებული აქტივები, რომლებიც დამალულია ოჯახის ერთი ან მეტი წევრისგან. გაუმჟღავნებელი აქტივების მონაცემების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ, ვინ მალავს აქტივებს უფრო ხშირად, რა ტიპის აქტივებია ესენი და ვისგან ხდება მათი დამალვა. გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ მონაცემების შეგროვება ასევე იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს რა ალბათობით დამალავს მფლობელი კონკრეტული ტიპის აქტივს თვისი შინამეურნეობის წევრებისგან.

გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ ინფორმაციის შეგროვება შეიძლება სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ვინაიდან კვლევების უმეტესობა ტარდება შინამეურნეობის დონეზე, ხოლო შინამეურნეობების კვლევებში ინფორმაციის მიღება ძირითადად ყველაზე ინფორმირებული წევრისგან ხდება. ეს კი გულისხმობს იმას, რომ რესპონდენტი ასევე შინამეურნეობის სხვა წევრებზეც გვაწვდის ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუ ტარდება ინდივიდუალურად, რესპონდენტმა შეიძლება თავი შეიკავოს დამალული აქტივების შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისგან, ვინაიდან მისთვის არასასიამოვნო იყოს სიმართლის გამჟღავნება. იმის გათვალისწინებით, რომ გაუმჟღავნებელ აქტივებს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ცალკეული პირების კეთილდღეობაზე, ადრინდელ კვლევებში გამოყენებული იყო სხვა მეთოდები ამ მაჩვენებლის გავრცელების დასადგენად. ჩანართში 2.1 განხილულია აღნიშნულ კვლევებში გაუმჟღავნებელი აქტივების მონაცემების შეგროვების მეთოდები.

ჩანართი 2.1: გაუმჟღავნებელი აქტივების ასახვა: გამოცდილება პროექტიდან „გენდერული განსხვავებები აქტივების ფლობაში“ და "მეთოდოლოგიური ექსპერიმენტი აქტივების ფლობასა და მეწარმეობის გასაზომად გენდერულ ჭრილში“

გაუმჟღავნებელი აქტივები პროექტიდან გენდერული განსხვავება აქტივების ფლობაში

აქტივების ფლობაში გენდერული განსხვავების პროექტი (GAGP) არის მონაცემთა შეგროვების ინიციატივა, რომელიც ჩატარდა ეკვატორში, განასა და კარნატაკას შტატში (ინდოეთი). პროექტის ფარგლებში შინამეურნეობების კვლევის მეშვეობით მოხდა ინფორმაციის შეგროვება საკუთრების (მფლობელობის), ხელმისაწვდომობისა და აქტივების განკარგვის შესახებ, ინდივიდუალურ დონეზე⁹.

კერძოდ, კვლევაში, რომელიც ჩატარდა კარნატაკას შტატში (ინდოეთი), კითხვარი არ შეიცავდა პირდაპირ შეკითხვას გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ. სანაცვლოდ, თითოეული შინამეურნეობის წევრის მფლობელობაში არსებული აქტივების ჩამონათვალი დამატებულ იქნა შინამეურნეობის

კითხვარში. ამგვარად, დადგინდა შინამეურნეობის ყოველი წევრის მფლობელობაში არსებული აქტივების საერთო ჩამონათვალი შემდეგი კითხვის მეშვეობით:

“ფლობს თუ არა ვინმე ამ შინამეურნეობაში [აქტივის ტიპი]?”

შემდეგ, ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარების დროს შინამეურნეობის აქტივების ჩამონათვალი გამოყენებული იყო თითოეული აქტივის მფლობელის იდენტიფიცირებისთვის. გარდა ამისა, ყოველი რესპონდენტისთვის დამატებით დაისვა კითხვა სურდა თუ არა დაემატებინა სხვა აქტივ(ებ)ი შემდეგი კითხვის მეშვეობით:

“გარდა ნახსენები [აქტივისა], ფლობს თუ არა ვინმე თქვენს შინამეურნეობაში რაიმე სხვა [აქტივის ტიპი]?”

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომით თავს ვარიდებთ გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ პირდაპირს კითხვის დასმას, მაინც ასეთი მიდგომა შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. შესაძლოა რესპონდენტებმა იცოდნენ მხოლოდ იმ დამატებითი აქტივების შესახებ, რომლების მფლობელები თვითონ არიან და არ ჰქონდეთ ინფორმაცია შინამეურნეობის სხვა წევრების შესახებ. შესაძლოა, რესპონდენტების ნაწილს არ ჰქონდეს სურვილი (თავი შეიკავოს), წინასწარ მომზადებული შინამეურნეობის აქტივების ჩამონათვალს დაამატოს აქტივები. ვინაიდან, ორივე ინტერვიუ (როგორც შინამეურნეობის, ასევე ინდივიდუალური), საკმაოდ ხანგრძლივი იყო და როგორც ინტერვიუერის, ასევე რესპონდენტის გადაღლილობის გამო შესაძლოა გამორჩენილი იყოს ზოგიერთი აქტივი. ამას მიუთითებს გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის გაზომვის მეთოდოლოგიური ექსპერიმენტის (MEXA) ტექნიკური ანგარიში სადაც აღნიშნულია, რომ GAGP-ის გამოკვლევიდან მიღებული შედეგები გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ პრაქტიკულად უმნიშვნელო იყო^b.

გაუმჟღავნებელი აქტივები მეთოდოლოგიურ ექსპერიმენტში აქტივების ფლობასა და მეწარმეობის გასაზომად გენდერულ ჭრილში

MEXA-ში გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ მონაცემების შეგროვდება მოხდა პირდაპირი კითხვის დასმის გზით. აქტივების მფლობელები პასუხობდნენ სამ შეკითხვას. MEXA-ს ერთ-ერთი კომპონენტის დროს, რომლის დროსაც აქტივების შესახებ მონაცემების შეგროვება მოხდა ინდივიდუალურად ზრდასრული რესპონდენტებისგან, დაისვა შემდეგი კითხვები:

„შინამეურნეობის 18 წლისა და უფროსი ასაკის რომელმა წევრმა არ იცის თქვენს მიერ [აქტივის] ფლობის შესახებ?“

„შინამეურნეობის 18 წლისა და უფროსი ასაკის წევრებიდან თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც იცის თქვენს მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ?“

შინამეურნეობის 18 წლისა და უფროსი ასაკის „რომელმა წევრმა არ იცის თქვენს მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ?“

ექსპერიმენტი არა მხოლოდ ცდილობს გამოავლინოს გაუმჟღავნებელი აქტივები, არამედ მიზნად ისახავს გაარკვიოს შინამეურნეობაში მყოფი სამი წევრიდან ვისგან არის დაფარული ეს აქტივები. GAGP-ის მსგავსად, გამოწვევები გამოპასუხებაში (მაგ. უარი რთულ/უსიამოვნო კითხვებზე, რესპონდენტის და ინტერვიუერის გადაღლა) ასევე დამახასიათებელია ამ მეთოდისთვისაც. MEXA-დან მიღებული

მონაცემებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფინანსური აქტივების გარდა, განცხადებული არაფინანსური აქტივების რაოდენობაც დაბალი იყო.

ჩანართის ცხრილი 2.1. გაუმჟღავნებელი აქტივების შედეგები - მეთოდოლოგიური ექსპერიმენტი აქტივების ფლობის გასაზომად გენდერულ ჭრილში

მოდული	აქტივების მფლობელი რესპონდენტები			მფლობელები, რომლებმაც განაცხადეს გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ			
	სულ (n)	მამაკაცი (%)	ქალი (%)	სულ (n)	მამაკაცი (%)	ქალი (%)	ქალი (%)
ნაკვეთი	833	62.3	37.7	25	3.0		
მსხვილფეხა საქონელი	1,014	53.5	46.5	49	4.8		
მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა	102	66.7	33.3	0	0.0		
არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები	536	42.5	57.5	1	0.2		
სხვა უძრავი ქონება	154	67.1	32.9	4	2.6		
ფინანსური აქტივები (ანგარიშები)	795	46.9	53.1	111	14.0	16.4	12.8
ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები)	287	56.4	43.6	78	27.2	25.3	29.6
ვალდებულებები	410	51.1	48.9	93	22.7	24.6	17.7

წყარო: ცხრილი 24 (გვ. 73). T. Kilic, T. & and H. Moylan, H. (2016). Methodological Experiment on Measuring Asset Ownership from a Gender Perspective (MEXA) Technical Report.

http://siteresources.worldbank.org/INTLSMS/Resources/3358986-1423600559701/MEXA_Technical_Report.pdf

^a In Her Name: Measuring the Gender Asset Gap a Pilot Study to Collect Sex-Disaggregated Asset Data in Ecuador, Ghana, and India. Indian Institute of Management. Bangalore. <http://www.iimb.ac.in/node/12755>

^b T. Kilic, T. & and H. Moylan, H. (2016). Methodological Experiment on Measuring Asset Ownership from a Gender Perspective (MEXA)—Technical Report. World Bank.

MEXA-ს მიდგომის სხვადასხვა ქვეყნის სპეციფიკასთან შესაბამისობის გამოსაცდელად, EDGE პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი პილოტური კვლევა გაუმჟღავნებელი აქტივების მონაცემების შესაგროვებლად, შემდეგი ორი კითხვის გამოყენებით:

„შინამეურნეობის 18 წლისა და უფროსი ასაკის რომელმა წევრმა არ იცის თქვენ მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ?“

„შინამეურნეობის 18 წლისა და უფროსი ასაკის წევრებიდან თქვენ ერთადერთი ხართ ვინც იცის თქვენ მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ?“

აღნიშნული კითხვები შეტანილ იქნა შემდეგ მოდულებში: სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები, სხვა უძრავი ქონება და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

პილოტური კვლევის შედეგებმა მოგვცა იგივე სურათი, რაც MEXA-მ. ზოგადად, დამალული აქტივების მაჩვენებლები დაბალია, დამალული ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების გარდა, რაც შესაძლებელია თვითონ აქტივის ხასიათიდან გამომდინარეობდეს: მათი დამალვა უფრო ადვილია ან მათ შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული განზრახვის გარეშე, არ ზიარდება შინამეურნეობის სხვა წევრებთან, როგორც ეს საცხოვრისის ან სასოფლო-სამეურნეო მიწის აქტივის შემთხვევაში ხდება.

შესაბამისი შედეგები განხილულია დეტალურად მე-3 თავში.

2.1.9 აქტივების შეფასება

ვინაიდან აქტივს აქვს ეკონომიკური ღირებულება, შესაძლებელია ამ უკანასკნელის ფულად ექვივალენტში გამოსახვა, რაც შესაძლებელს ხდის მატერიალური მდგომარეობის შეფასებას შინამეურნეობის ან ინდივიდუალურ დონეზე. ინფორმაციის მიღება აქტივების ღირებულების შესახებ მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ასახავს აქტივის მთელ რიგ თვისებას, როგორცაა ადგილმდებარეობა, ხარისხი ან ზომა. ამასთანავე, აქტივების ღირებულების მონაცემებმა შეიძლება გამოავლინოს გენდერული განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში და შესაბამისად უთანასწორობის კიდევ ერთი წყარო, განსაკუთრებით, ქალსა და მამაკაცს შორის ფინანსურ შესაძლებლობებში და ეკონომიკური შესაძლებლობების განხორციელებაში.

ამასთან, რესპონდენტების ფულადი აქტივების ღირებულების გაანგარიშება შეიძლება რთული იყოს მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. რესპონდენტი შეიძლება არ ფლობდეს საკმარის ინფორმაციას აქტივის ღირებულების ან მსგავსი აქტივის შესახებ, რასაც მოჰყვება გაუთვალისწინებელი მეტობა ან ნაკლებობა რესპონდენტის მიერ განცხადებულ აქტივებში.

შეიძლება მათ არ გააჩნდეთ ინფორმაციის გამჟღავნების სურვილი ან უარი თქვან ღირებულების განცხადებაზე. ასევე სავარაუდოა, რომ ზოგიერთ ადგილას არ არსებობს გარკვეული აქტივების გაყიდვის ან იჯარით გაცემის ბაზარი. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების უმუალო გამოკითხვა აქტივების ღირებულების შეფასების შესახებ ყველაზე ცალსახა მიდგომას წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება კვლევებში. პილოტური კვლევის დროს მიღებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება იმის შესწავლა, რამდენად შესაძლებელია ამგვარი ინფორმაციის მიღება კვლევის მეშვეობით.

პილოტური კვლევის დროს, საბაზრო ღირებულებით აქტივებსა და ვალდებულებებზე მონაცემები შეგროვდა 2008 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) და ეუთო-ს შინამეურნეობის კეთილდღეობის მიკრომონაცემთა სტატისტიკის შესახებ გაიდლაინების გათვალისწინებით. საბაზრო ფასები წარმოადგენს ღირებულებას, რომლითაც ხდება აქტივების (შესაძლო) გაცვლა ფაქტიურ გარიგებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ფულადი თანხა, რომლის გადახდა სურს მყიდველს გამყიდველისაგან გარკვეული საქონლის/მომსახურების შესაძენად⁹. გარდა ამისა, აქტივები და ვალდებულებები ასახულია მიმდინარე საბაზრო

⁹ გაერო. 2009. *ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008*. ნიუ-იორკი. პარაგრაფები 3.118 და 3.119.

ღირებულებით, კვლევის ჩატარების დროს არსებული ფასით და არა აქტივის შეძენის დროს თავდაპირველი ღირებულების მიხედვით.

EDGE პილოტური კვლევების ფარგლებში აქტივების ღირებულების შეფასება მოხდა რესპონდენტების გამოკითხვიდან, თუ რა ეღირებოდა აქტივი ადგილობრივ ვალუტაში, თუკი მისი გაყიდვა მოხდებოდა გამოკითხვის დროს. ასევე დაემატა ზოგიერთი კითხვა აქტივების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, საცხოვრისების შეფასების კითხვა, სადაც იგულისხმება როგორც საცხოვრებელი ნაგებობა, ასევე მიწის ნაკვეთი¹⁰. საბოლოო ჯამში, მოხდა კონკრეტული ტიპის აქტივების კატეგორიებში შემავალი პროდუქტების ღირებულების შეფასება.

2.2 სამიზნე რესპონდენტები და გამოკითხვის ოქმი

2.2.1 სამიზნე რესპონდენტების დადგენა

კვლევის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა სამიზნე რესპონდენტის იდენტიფიცირება. შესაბამისი ინსტრუქციების შექმნის მიზნით EDGE პროექტმა მსოფლიო ბანკის კვლევით ჯგუფთან თანამშრომლობით ჩაატარა მეთოდოლოგიური კვლევა, რომელსაც უგანდის სტატისტიკის ბიურო მასპინძლობდა. როგორც ექსპერიმენტის ნაწილი, ტესტირებული იქნა ხუთი ინტერვიუს სახეობა (Treatment Arms - TA)¹¹.

2014¹² წლის დეკემბრის, EDGE პროექტის შუალედურ შეხვედრაზე განხილულ იქნა კვლევის შედეგები, სადაც დადგინდა, რომ აქტივების ფლობისა და განკარგვის შესახებ ინდივიდუალურ დონეზე ინფორმაციის მისაღებად ერთზე მეტი შინამეურნეობის წევრის გამოკითხვა კვლევას მეტად ღირებულს ხდიდა. აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი სამი ქვეყნის სტატისტიკური სამსახურები შეთანხმდნენ მეთოდოლოგიური კვლევის ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით ჩაეტარებინათ დამოუკიდებელი პილოტური კვლევა, რომლის სამიზნე რესპონდენტები იქნებოდნენ ძირითადი წყვილი და შინამეურნეობის დამატებითი სრულწლოვანი წევრები. თითოეულ ქვეყანაში ძირითად წყვილთან ერთად გამოსაკითხი სრულწლოვანი წევრის რაოდენობა დამოკიდებული იქნებოდა შინამეურნეობის მოსახლეობის დინამიკაზე, კერძოდ, შინამეურნეობის სრულწლოვან წევრების საშუალო რაოდენობაზე.

¹⁰ საცხოვრისის შესახებ კითხვა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: *საცხოვრისი და მიწის ნაკვეთი რომელზეც საცხოვრისი მდებარეობს დღეს რომ გაიყიდოს, რა თანხის მიღება იქნება შესაძლებელი?*

¹¹ TA-1: ყველაზე ინფორმირებული სრულწლოვანი წევრი; TA-2: ძირითადი წყვილის შემთხვევით შერჩეული წევრი; TA-3: ერთად გამოკითხული ძირითადი წყვილი; TA-4: ძირითადი წყვილი + 2 სრულწლოვანი წევრი (გამოკითხვა თითოეული სრულწლოვანი წევრის აქტივების შესახებ); და TA-5: ძირითადი წყვილი + 2 სრულწლოვანი წევრი (გამოკითხვა ინდივიდუალურ ან ერთობლივ საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ).

¹² გაეროს სტატისტიკის განყოფილებამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, (UN Women) აზიელ ქალთა კიტაკიუმუს ფორუმთან (Kitakyushu Forum on Asian Women) თანამშრომლობით, ორგანიზება გაუწიეს EDGE ინიციატივის შუალედურ შეხვედრას, რომელიც 2014 წელს, 3-5 დეკემბერს გაიმართა იაპონიის ქალაქ კიტაკიუმუსში. შეხვედრაზე განხილულ იქნა EDGE ინიციატივის მიერ მიღწეული შედეგები 2013 წელს მისი დასაწყისიდან დღემდე.

შესაბამისად, თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაზე მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრის გამოკითხვა გადაწყდა.

MEXA-ს ექსპერიმენტის ინტერვიუს მეოთხე სახეობის (TA-4) მიხედვით, ყოველი რესპონდენტი გამოკითხული იქნება მის და შინამეურნეობის სხვა წევრების ინდივიდუალურ მფლობელობაში არსებული აქტივების შესახებ. ასეთმა მიდგომამ გაამარტივა როგორც რესპონდენტის ინდივიდუალურ აქტივებზე თვით-განცხადებული მონაცემების, ასევე შინამეურნეობის სხვა სრულწლოვანი წევრების კუთვნილი და მათ მიერ განკარგავადი აქტივების შესახებ დამატებითი მონაცემების მიღება.

2.2.2 შესაფერისი რესპონდენტს დადგენა

შერჩევის პირველად ერთეულში (შპე) შერჩეული შინამეურნეობიდან მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი რესპონდენტი შეირჩა ინდივიდუალური გამოკითხვისთვის. რესპონდენტი უნდა ყოფილიყო შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრი, რომლის ასაკიც კვლევის პერიოდისთვის არანაკლებ 18 წელს შეადგენდა¹³.

ძირითადი რესპონდენტი არის შინამეურნეობის მდედრობითი ან მამრობითი სქესის სრულწლოვანი წევრი, რომელიც ყველაზე მეტად ინფორმირებულია შინამეურნეობის წევრების აქტივების შესახებ. ძირითადი რესპონდენტი არ უნდა ყოფილიყო აუცილებლად შინამეურნეობის უფროსი და მას შეიძლება ჰყავდეს ან არ ჰყავდეს მეუღლე ან პარტნიორი.

მეუღლე. შინამეურნეობის წევრებთან კონსულტირების შედეგად ძირითადი რესპონდენტის დადგენის შემდეგ, მისი მეუღლე/პარტნიორი გამოიკითხება მეორე რესპონდენტად, თუ ძირითადი რესპონდენტი არის დაქორწინებული ან ცხოვრობს პარტნიორთან ერთად.

ძირითადი წყვილი. ძირითადი რესპონდენტი და მისი მეუღლე განიხილება როგორც ძირითადი წყვილი. ძირითადი წყვილი შესაძლებელია იყოს დაქორწინებული, ქვეყანაში გავრცელებული ნებისმიერი ქორწინების ფორმით, ან ცხოვრობდეს ქორწინების გარეშე.

შემთხვევითად შერჩეული შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრი. თუ შინამეურნეობაში სამზე მეტი სრულწლოვანია, მათ შორის მესამე რესპონდენტის შერჩევა უნდა მოხდეს შემთხვევითი შერჩევით. შინამეურნეობებში, სადაც ძირითადი რესპონდენტს არ ჰყავს მეუღლე, მეორე სრულწლოვანი წევრიც შემთხვევითი წესით შეირჩევა.

¹³ ასაკობრივი მოთხოვნა უქმდება იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრები დაასახელებენ 18 წელზე ნაკლები ასაკის პირს ყველაზე ინფორმირებულად ან როდესაც შინამეურნეობაში არ ცხოვრობს სრულწლოვანი პირი.

სამივე პილოტურმა ქვეყანამ, არაძირითადი წყვილის შემთხვევითი შერჩევითვის უახლოესი დაბადების დღის მეთოდი¹⁴ გამოიყენა.

2.2.3 რესპონდენტების შერჩევა.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობა შინამეურნეობაში დამოკიდებულია მასში სრულწლოვანთა სავარაუდო რაოდენობაზე. სამივე პილოტურ ქვეყანაში ეს რიცხვი დაახლოებით სამს უდრიდა. შინამეურნეობის სრულწლოვანის წევრის რაოდენობა გახდა მოსახლეობის მეორე დონის სტრატეზად დაყოფის საფუძველი. შინამეურნეობა სამი ან მეტი სრულწლოვანი წევრით მიეკუთვნება მეორე დონის სტრატა 1-ს (მდს-1), ხოლო დანარჩენი (შინამეურნეობები ორი ან ნაკლები სრულწლოვანი წევრით) მიეკუთვნება მეორე დონის სტრატა 2-ს (მდს-2).

შინამეურნეობების სამიზნე რაოდენობა შპე-ის დონეზე, რომელიც შეესაბამებოდა სააღწერო უბანს, თანაბრად განაწილდა ორ სტრატას შორის. მაგალითად, თუ შპე-ში სამიზნე რაოდენობა არის 20 შინამეურნეობა, მდს-1 და მდს-2-დან შეირჩა ათ-ათი შინამეურნეობა. შედეგად, საქართველოში, მონღოლეთსა და ფილიპინებში (კავიტეს პროვინცია) პილოტური კვლევების შერჩევის ზომამ შეადგინა შესაბამისად 3160, 3008 და 1536 შინამეურნეობა.

მდს-1: შინამეურნეობა სამი ან მეტი სრულწლოვანი წევრით. თუ შინამეურნეობაში ზუსტად სამი სრულწლოვანი წევრი იყო, თითოეული მათგანი იქნა გამოკითხული. ოთხი ან მეტი სრულწლოვანი წევრის შემცველ შინამეურნეობებში მესამე რესპონდენტი შეირჩა შემთხვევითი შერჩევის გზით. გარდა ამისა, მხედველობაში არის მიღებული ის შემთხვევებიც, როცა შინამეურნეობაში არის ძირითადი წყვილი.

- a. შინამეურნეობაში ძირითადი წყვილით გამოკითხა წყვილის ორივე წევრი და ასევე შინამეურნეობის მესამე სრულწლოვანი წევრი, რომელიც შინამეურნეობის სიიდან შეირჩა შემთხვევით. ინტერვიუები ტარდებოდა ცალ-ცალკე და შეძლებისდაგვარად ერთდროულად;
- b. შინამეურნეობაში ძირითადი წყვილის გარეშე, გამოკითხა ძირითადი რესპონდენტი. გამოკითხვისთვის დამატებით შეირჩა შინამეურნეობის ორი სრულწლოვანი წევრი შემთხვევითი წესით.

¹⁴ ამ მეთოდის მიხედვით ირჩევა კვლევის პერიოდში უახლოესი დაბადების დღის მქონე შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრი (შესაბამისი სრულწლოვანი წევრებიდან), თვის ჩაუთვლელად (წინ დათვლით). მაგალითად, კვლევის თარიღი არის 15 სექტემბერი და შინამეურნეობაში ძირითადი წყვილის გარდა კიდევ სამი სრულწლოვანი წევრია. მათი დაბადების თარიღებია 31 სექტემბერი, 18 ივლისი, და 22 თებერვალი. წინ დათვლით, სრულწლოვანი წევრი, რომელსაც ყველაზე ახლოს აქვს დაბადების დღე არის 18 ივლისს დაბადებული პირი. იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის წევრებს აქვს დაბადების ერთიდაიგივე თარიღი, მაშინ ყველაზე ახლო თვე განიხილება.

მდს-2: შინამეურნეობა სამზე ნაკლებ სრულწლოვანი წევრით. ამ შემთხვევაში, გამოიკითხა¹⁵ ყველა სრულწლოვანი წევრი (ორი ან მხოლოდ ერთი სრულწლოვანი).

პილოტურ კვლევებში ყურადღება მიექცა გენდერულ თანხვედრას (რესპონდენტის გამოკითხვის უზრუნველყოფას იმავე სქესის ინტერვიუერის მიერ), თუმცა აღნიშნული ასპექტი ზედმიწევნით დაცული არ იყო.

2.3. კითხვარის დიზაინი და გაზომვის მეთოდები

2.3.1 კვლევის ინსტრუმენტარი

კითხვარი გაყოფილი იყო ორ ნაწილად: შინამეურნეობის კითხვარი და ინდივიდუალური კითხვარი. **შინამეურნეობის კითხვარი** მოიცავდა ინფორმაციას შინამეურნეობების შესახებ, მისი წევრების, შესაბამის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ინფორმაციას და საცხოვრისის მახასიათებლების შესახებ (ცხრილი 2.2ა).

ცხრილი 2.2ა: შინამეურნეობის კითხვარის მოდულები

1ა	ინფორმაცია შინამეურნეობის შესახებ	მოიცავდა ინფორმაციას, რომელიც საჭირო იყო გამოკითხული შინამეურნეობის იდენტიფიცირებისთვის, როგორცაა სტრატის სახელი, რაიონი, და სააღწერო უბანი.
1ბ	კვლევის პერსონალის დეტალები	მოიცავდა ინფორმაციას ინტერვიუერსა და დანიშნულ ზედამხედველზე, აგრეთვე ინფორმაციას ინტერვიუს დეტალებზე, როგორცაა დაწყების დრო და ინტერვიუს თარიღი.
2ა	შინამეურნეობის წევრების სია	შინამეურნეობების წევრების ჩამონათვალი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას თითოეული წევრის შესახებ, როგორცაა ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, ურთიერთობა შინამეურნეობის უფროსთან, რელიგია და სქესი.
2ბ	შინამეურნეობის საცხოვრისის მახასიათებლები	მოიცავდა ინფორმაციას შინამეურნეობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, როგორცაა გამოყენებული მასალები. აგრეთვე მოიცავდა ზოგიერთ ინდიკატორს სანიტარული და წყლის მომარაგების შესახებ.

ინდივიდუალური კითხვარი მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას არჩეული სრულწლოვანი პირის მიერ განცხადებულ აქტივებზე, რომელთაც იგი ფლობს ინდივიდუალურად ან შინამეურნეობის სხვა წევრ ან არაწევრებთან ერთად, ასევე აქტივებზე, რომელთაც ფლობს შინამეურნეობის სხვა სრულწლოვანი წევრი. გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია შეიცავს დეტალებს იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს აქტივებს; ვის აქვს მათი გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის

¹⁵ თუ შინამეურნეობაში არ ცხოვრობდა სრულწლოვანი პირი, გამოკითხული იყო შინამეურნეობის ყველაზე მეტად ინფორმირებული წევრი.

უფლება; რა არის აქტივის ღირებულება; როგორ მოხდა მათი მიღება; და თუ შესაძლებელია, არის თუ არა რაიმე აქტივი დაფარული. თითოეული აქტივი დაიყო მოდულებად, რომლებიც ქვევითაა მოცემული (ცხრილი 2.2ბ):

ცხრილი 2.2ბ: აქტივების მოდულები ინდივიდუალურ კითხვარში

3	საცხოვრისი	მოიცავდა კითხვებს მიწის ნაკვეთისა და საცხოვრისის შესახებ, რომელშიც ცხოვრობს ეს შინამეურნეობა. მოდული მოიცავდა ინფორმაციას მხოლოდ ძირითად საცხოვრისზე.
4	სასოფლო-სამეურნეო მიწა	განსაზღვრავდა, ფლობდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს, ერთპიროვნულად ან ერთობლივად ვინმესთან ერთად. კითხვები ასევე ეხებოდა ნაკვეთის ფართობს, ძირითად გამოყენებას და საკუთრების სტატუსს.
5	შინაური საქონელი	მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, ფლობს თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრი შინაურ საქონელს ერთპიროვნულად ან ერთობლივად ვინმესთან ერთად. შინაური საქონლის ჩამონათვალი მორგებული იყო ქვეყნის მახასიათებლებზე.
6	სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები (მსხვილი და წვრილი)	მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, ფლობდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრი რაიმე მსხვილ ან წვრილ სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობას ერთპიროვნულად ან ერთობლივად ვინმესთან ერთად. ორივესთვის გაკეთდა ჩამონათვალი, რომელიც გააჩნეს რესპონდენტს.
7	არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები	მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას კვლევის პერიოდისთვის შინამეურნეობის ნებისმიერი წევრის მფლობელობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესახებ, რომლებიც ფუნქციონირებენ, დროებით შეჩერებულია ან ფუნქციონირებენ სეზონურად.
8	სხვა უძრავი ქონება	მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, ფლობს თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრი სხვა უძრავ ქონებას ერთპიროვნულად ან ერთობლივად ვინმესთან ერთად. ჩამოთვლილი იყო სხვა უძრავი ქონების კატეგორიები.
9	ხანგრძლივი მოხმარების საგნები	მოიცავდა ინფორმაციას შინამეურნეობის მფლობელობაში არსებულ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე. აქ არ შედის ის საგნები, რომლებიც არ მუშაობს, არც ფუნქციონირებს და რომელთა შეკეთებასაც არ არის დაგეგმილი.
10	ფინანსური აქტივები	მოიცავდა ინფორმაციას ფინანსური აქტივების ფლობაზე ერთპიროვნულად ან ერთობლივად ვინმესთან ერთად. გარდა რომელიმე საფინანსო ინსტიტუტში არსებული ფინანსური აქტივისა, რესპონდენტის ან შინამეურნეობის ნებისმიერი სხვა სრულწლოვანი წევრის მიწერ გაცემული სესხი, აგრეთვე ითვლება ფინანსურ აქტივად.
11	ვალდებულებები	მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, აქვს თუ არა რესპონდენტს ან შინამეურნეობის რომელიმე წევრს ვალი არსებული ან კერძო პირისგან ან საფინანსო ინსტიტუტიდან.
12	ძვირფასეულობა	მოიცავდა ინფორმაციას იმის შესახებ, ფლობდნენ თუ არა შინამეურნეობის წევრები ძვირფასეულობას. კითხვარში მოცემული ძვირფასეულობის სია მორგებული იყო ქვეყნის სპეციფიკას.
13	კითხვარის დასასრული	მოიცავდა ინფორმაციას დასრულების სტატუსის, დასრულების დროისა და ინტერვიუს თარიღის შესახებ, აგრეთვე სხვა შესაბამის კომენტარებს.

კვლევის კითხვარი მორგებული იყო ქვეყნის სპეციფიკაზე და ინსტრუქციების სახელმძღვანელო შემუშავდა აზიის განვითარების ბანკის და EDGE კვლევის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით სამი ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების თანამშრომლების მიერ. აზიის განვითარების ბანკის EDGE გუნდი დაეხმარა ქვეყნებს კვლევის ინსტრუმენტების დახვეწის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს უწევდა აგრეთვე გაერო-ს სტატისტიკის განყოფილება. მომზადებული კვლევის ინსტრუმენტარის თარგმნა მოხდა ძირითადად სტატისტიკური სამსახურების თანამშრომლების მიერ. გარკვეულ შემთხვევებში, კონსულტაციები გაიმართა აზიის განვითარების ბანკთან ან ქვეყნის სხვა უწყებებთან.

პილოტურ კვლევაში გამოყენებამდე, მოხდა კითხვარების წინასწარი ტესტირება იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა ყოფილიყო კითხვები ჩამოყალიბებული, რომელი ცნებები იქნებოდა რთულად გასაგები და რა იყო საჭირო ამგვარი კითხვების სწორად გაგების გაადვილებისათვის. აღნიშნული პროცესი სასარგებლო აღმოჩნდა არა მხოლოდ კითხვარის დახვეწაში, არამედ კვლევის სახელმძღვანელოს ჩამოყალიბებაში. მაგალითად, წინასწარმა ტესტირებამ გამოავლინა, რომ ყველა რესპონდენტს და აღმწერს ადვილად არ შეეძლო განესაზღვრა, რა იყო მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები იმის მიუხედავად, რომ მათი განმარტება მოცემული იყო. ამიტომ, სახელმძღვანელოს დაემატა ზოგიერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობის ფოტო რესპონდენტებისა და აღმწერების დასახმარებლად.

მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა კითხვარების ქვეყნის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობდა კითხვარების კონტექსტუალიზაციას. კითხვარები ითარგმნა შესაბამის ენებზე, ამასთან შეიცვალა რამდენიმე კითხვა ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე. ეს მოიცავდა კითხვების შესწორებას ან წაშლას, ან პასუხების ცვლილებებს ისეთ კითხვებში, რომლებსაც სავარაუდო პასუხები აქვთ. მაგალითად, საქართველომ კითხვარიდან ამოიღო მოდული წვრილი სასოფლო-სამეურნეო საგნების შესახებ, აგრეთვე კითხვები საცხოვრისისა და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის მფლობელობის სტატუსზე.

2.3.2 ძირითადი ცნებების ჩამოყალიბება კითხვარში

კვლევიდან მიღებული ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია გაზომვის ინსტრუმენტის ხარისხზე. ამ თვალსაზრისით საჭირო იყო კვლევაში არსებული ძირითადი ცნებების მარტივად გასაგებ კითხვებად ჩამოყალიბება. ცხრილში 2.3 შეჯამებულია მნიშვნელოვანი ცნებების კითხვარში ჩამოყალიბების გზები შესაბამის აქტივებთან მიმართებაში.

ცხრილი 2.3: ძირითადი ცნებები და შესაბამისი აქტივები

მფლობელობის უფლებათა კრებული	შესაბამისი აქტივები	კითხვები
განცხადებული მფლობელობა	ყველა აქტივი	თქვენი აზრით ვინ ფლობს ამ [აქტივს]? არსებობს თუ არა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ამ [აქტივისთვის]? (თუ არსებობს), ვისი სახელგებია ჩამოთვლილი, როგორც მესაკუთრეების, ამ [აქტივის] საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში?
დოკუმენტირებული მფლობელობა	საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, სხვა უძრავი ქონება	ეს [აქტივი] რომ გაყიდულიყო, შინამეურნეობის რომელი წევრ(ებ)ი იქნებოდა(ნენ) ჩართული გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში?
აქტივების გაყიდვის უფლება	საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა უძრავი ქონება	ვინ იქნებოდა(ნენ) ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში, ანდერძით რომ გადაცემოდა ვინმეს ეს [აქტივი]?
აქტივების ანდერძით გადაცემის უფლება	საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა უძრავი ქონება	როგორ მიიღო მფლობელ(ებ)მა ეს [აქტივი]? (თუ მემკვიდრეობით არის მიღებული/გადაცემულია ოჯახის წევრის მიერ ან ნაჩუქარია ოჯახის არაწევრი პირის მიერ), ვისგან მიიღეს მფლობელებმა [აქტივი]?
მიღების მეთოდი	საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა უძრავი ქონება	ეს [აქტივი] დღეს რომ გაყიდულიყო, რა თანხის მიღება იქნებოდა შესაძლებელი?
აქტივის ღირებულება	საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სხვა უძრავი ქონება და ფინანსური აქტივი	არა თუ არა შინამეურნეობაში 18 წლის და უფროსი ასაკის წევრები, რომლებმაც არ იციან თქვენ მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ? შინამეურნეობის 18 წლის და უფროსი ასაკის რომელმა წევრმა არ იცის თქვენ მიერ ამ [აქტივის] ფლობის შესახებ?
გაუმჟღავნებელი აქტივები	სასოფლო-სამეურნეო მიწა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სხვა უძრავი ქონება, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	

წყარო: აზიის განვითარების ბანკი. (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია

ცხრილი 2.3-ში მოყვანილი მფლობელობის უფლებების გარდა, პილოტური კვლევიდან აგრეთვე მიღებულ იქნა ეკონომიკური მფლობელობისა და ეკონომიკური უფლებების შესახებ ინფორმაცია. ჩანართ 2.2-ში მოყვანილია ეკონომიკური მფლობელობისა და უფლებების შესახებ მონაცემთა შეგროვების დეტალები.

ჩანართი 2.2: ეკონომიკური მფლობელობა და უფლებები EDGE პილოტურ კვლევაში

ეკონომიკური მფლობელები არიან პირები, რომლებსაც აქვთ უფლება მოითხოვონ ან მიიღონ ეკონომიკური სარგებელი — ფულადი ან ნატურალური სახით — აქტივის გამოყენების ან გაყიდვის შედეგად, აქტივთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით. EDGE პილოტურ კვლევაში ეკონომიკური მფლობელობა განხილულია, როგორც უფლება — აქტივიდან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელზე — რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების უფლებას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ეკონომიკური სარგებელი (ფულადი ან ნატურალური სახით) აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან.

გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის უფლებების მსგავსად, EDGE პილოტურ კვლევაში მოხდა მონაცემების შეგროვება ეკონომიკურ სარგებელზე უფლებების შესახებაც. კითხვარში ეკონომიკურ სარგებელზე უფლებასთან დაკავშირებით შემდეგი კითხვა დაისვა:

ეს [აქტივები] დღეს რომ გაყიდულიყო, შინამეურნეობის რომელი წევრ(ებ)ი გადაწყვეტ(ნენ)და, როგორ გამოეყენებინა(თ) მიღებული თანხა?

ეს კითხვა შეტანილია საცხოვრისის, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სხვა უძრავი ქონების მოდულებში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვის მეშვეობით ვადგენთ, ვინ განკარგავს აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, მიღებული ინფორმაცია მაინც შეზღუდულია, ვინაიდან ის მხოლოდ ერთ ეკონომიკურ ოპერაციას მოიცავს (აქტივის გაყიდვას). შესაბამისად, გარკვეული უძრავი ქონების გაქირავების ან საწარმოდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე, ეს კითხვა მხოლოდ იმის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას ეკონომიკური სარგებლის, კონკრეტულად კი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულის გამოყენებაზე. შინამეურნეობის წევრები, რომლებიც ფაქტიურად იყენებენ ამგვარ სარგებელს, კვლევაში გამოვლენილი არ იყო.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი. (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია

2.3.3 მონაცემთა ანალიზის მეთოდები

2.3.3.1 გაზომვის მიდგომები: ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობა და თვით-განცხადებული მფლობელობა

თითოეულ შერჩეულ რესპონდენტს სთხოვეს, მოეწოდებინა ინფორმაცია თავიანთი აქტივების შესახებ, რომლებსაც ისინი ფლობენ ერთპიროვნულად ან ერთობლივად სხვებთან ერთად, და

ასევე იმ აქტივებზე, რომლებსაც შინამეურნეობის სხვა წევრები ფლობენ. ამ თავში განხილულია ორი მიდგომა კვლევიდან მიღებული მონაცემების შესამოწმებლად, კერძოდ, ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობას და თვით-განცხადებული მფლობელობა.

ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობა (OAAR). ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომა აერთიანებს ყველა რესპონდენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, შინამეურნეობის შესახებ ერთიანი სურათის ჩამოყალიბებისათვის ისეთი პარამეტრებით, როგორცაა, მაგალითად, სხვადასხვა აქტივის ფლობის წილი. სტატისტიკურად, ეს არის ორი ან სამი ინფორმაციული ველის გაერთიანებას. თეორიულად, იგი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ რესპონდენტებს მეტ-ნაკლებად კეთილსინდისიერად აქვთ მოწოდებული ინფორმაცია და განსხვავება ინფორმაციის სხვადასხვა ველს შორის განპირობებულია გახსენების პრობლემით. ამგვარი მიდგომა გამიზნულია ინფორმაციის მაქსიმუმის მიღწევაზე. ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მეთოდს ასევე უწოდებენ „მაქსიმალურად ინკლუზიურს“ იმ აზრით, რომ იგი ითვალისწინებს შინამეურნეობის ყველა შესაფერისი წევრისაგან მოწოდებულ ინფორმაციას შინამეურნეობის ყველა სრულწლოვანი წევრის მიერ აქტივების ფლობის შესახებ. სიტყვა „ინკლუზიური“ შეესაბამება მფლობელობის ყველაზე ფართო განმარტებას, ე.ი. თუ პირი რომელიმე უფლებამოსილი რესპონდენტის მიერ დასახელებულია მესაკუთრედ, ის მესაკუთრედ არის მიჩნეული, განურჩევლად იმისა, რას განაცხადებენ შინამეურნეობის სხვა წევრები.

თვით-განცხადებული მფლობელობა (SAO). თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომა მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ ისეთი აქტივების ფლობაზე, რომლებზეც რესპონდენტი საკუთარ თავს ასახელებს მესაკუთრედ, რომელიც ფლობს აქტივს ერთპიროვნულად ან ერთობლივად სხვებთან ერთად. ეს მიდგომა არ ითვალისწინებს ისეთ ინფორმაციას (სხვა პირზე განცხადებული ინფორმაცია), რომელიც მოწოდებულია სხვა რესპონდენტის მიერ აქტივების ფლობის შესახებ, თუ მფლობელობა არ არის დაკავშირებული რესპონდენტთან. ეს მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ თავად რესპონდენტი არის საუკეთესო წყარო ზუსტი ინფორმაციის მოწოდებისათვის ისეთ აქტივებზე, რომლებსაც იგი ფლობს ერთპიროვნულად ან ერთობლივად სხვასთან ერთად.

ამ ორმა მიდგომამ, შესაძლოა, ვერ მოგვაწოდოს პარამეტრის ერთგვაროვანი შეფასება თავიანთი მახასიათებელი თვისებების გამო. ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ითვალისწინებს მრავალი რესპონდენტისაგან შესაბამისი ინდიკატორების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის გაერთიანებას. შესაბამისად, ამ მიდგომის ნაკლოვანება მდგომარეობს რესპონდენტის ინფორმირებულობის ნაკლებობაში შინამეურნეობის სხვა წევრების მიერ აქტივების (მათ შორის დაფარული აქტივების) ფლობის შესახებ. თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომა, რომელიც ეფუძნება თვით-განცხადებულ მონაცემებს, თეორიულად მიჩნეულია უფრო მართებულიად, ვიდრე დამატებითი მონაცემები. რამდენიმე კვლევაში სისტემატური შეფასებები

გაკეთდა თვით-განცხადებული მონაცემების ნაცვლად სხვა პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებასთან მიმართებაში; ემპირიული შედეგების უმეტესი ნაწილი სამუშაო ძალის სტატისტიკის სფეროს ეხება¹⁶.

ორ მიდგომას შორის განსხვავებების საილუსტრაციოდ შევხედოთ ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულ ჰიპოთეზურ პასუხებს აქტივის განცხადებული მფლობელობის შესახებ. ამ მაგალითში, შინამეურნეობას ჰყავს ხუთი სრულწლოვანი წევრი (1-დან 5-მდე დანომრილი სვეტები, სქესით მითითებით ფრჩხილებში), რომელთაგან სამი რესპონდენტებად შეარჩიეს (1-დან 3-მდე დანომრილი სტრიქონები, სქესით მითითებით ფრჩხილებში).

ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომით, თუ ერთი რესპონდენტი დაასახელებს სრულწლოვან წევრს მესაკუთრედ, იგი მესაკუთრედ ჩაითვლება. შინამეურნეობის მე-4 და მე-5 სრულწლოვანი წევრები ითვლებიან მესაკუთრეებად, რადგან მე-2 რესპონდენტმა ისინი მესაკუთრეებად დაასახელა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ინტერვიუში მონაწილეობა არ მიუღიათ. თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომის ფარგლებში კი მესაკუთრეებად მხოლოდ ის პირები ითვლებიან, რომელთაც საკუთარი თავი დაასახელეს მესაკუთრეებად. სწორედ ამიტომ, ცხრილი 2.4-ის მაგალითზე მხოლოდ პირველი ორი სრულწლოვანი წევრი არიან მიჩნეულნი მესაკუთრეებად. როგორია ამ მეთოდების შედეგები უთანაბრობის გაზომვის მიზნებისათვის? ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომა აჩვენებს მფლობელობის უფრო მაღალ წილს ინდივიდუალურ დონეზე, როგორც ქალის, ისე მამაკაცის შეთხვევაში, რაც ამცირებს მოსახლეობის უთანასწორობას აქტივების ფლობის კუთხით. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ რამდენად ექნება მას გავლენა გენდერულ უთანაბრობაზე.

ცხრილი 2.4: ცხრილის სახით მოცემული პასუხების მაგალითი

შინამეურნეობის რომელი წევრ(ებ)ი ფლობენ ამ <აქტივს>?

რესპონდენტი	შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრები				
	1 (მამაკაცი)	2 (ქალი)	3 (ქალი)	4 (ქალი)	5 (მამაკაცი)
1 (მამაკაცი)	მფლობელი				
2 (ქალი)	მფლობელი	მფლობელი		მფლობელი	მფლობელი
3 (ქალი)	მფლობელი	მფლობელი			
OAAR	მფლობელი	მფლობელი		მფლობელი	მფლობელი
SAO	მფლობელი	მფლობელი			

OAAR - ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობა, SAO - თვით-განცხადებული მფლობელობა.

¹⁶ სამუშაო ძალის კვლევებში სხვა პირების მიერ მოწოდებული მონაცემები მისაღებია შინამეურნეობის ისეთი წევრების შესახებ, რომლებიც არ არიან ხელმისაწვდომი ინტერვიუსთვის. ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიური მითითებები ამგვარი მონაცემების გამოყენებისას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან სხვა რესპონდენტებისაგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება არაზუსტი აღმოჩნდეს და სამუშაო ძალის სტატისტიკაში არაობიექტური შედეგები გამოიწვიოს (Hussmanns et al. 2011).

2.3.3.2 გენდერული უთანაბრობის მაჩვენებლები

მამაკაცთა და ქალთა შორის აქტივების მფლობელობაში განსხვავებების დასადგენად, განისაზღვრა მაჩვენებლების სამი ტიპი: (i) მფლობელობის წილი, (ii) მფლობელობის განაწილება და (iii) გენდერული განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში. აღნიშნული მაჩვენებლები გაანგარიშებულია 18 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის ყველა აქტივზე, რომლებიც შედიოდა პილოტურ კვლევაში, გარდა მატერიალური კეთილდღეობაში განსხვავების მაჩვენებლისათვის, რომლისთვის მხოლოდ საცხოვრისი იქნა გამოყენებული. ეს გამოწვეულია სხვადასხვა შინამეურნეობის წევრებისგან აქტივებზე მიღებული მონაცემების შეზღუდულობით, რაც ასევე საჭიროებს დამატებით ანალიზს. ამასთანავე, შეფასებები გაკეთდა იმ მაჩვენებლებისათვის, რომლებიც უკავშირდება მფლობელობის ტიპებს (განცხადებული და დოკუმენტირებული) და ფორმებს (ერთობლივი და ერთპიროვნული), ასევე, გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის უფლებს.

მფლობელობის წილის მაჩვენებლები გამოიყენება სრულწლოვანი მესაკუთრე მამაკაცის პროცენტული წილის ყველა სრულწლოვან მამაკაცში, და სრულწლოვანი მესაკუთრე ქალის პროცენტული წილის ყველა სრულწლოვან ქალში, შესაფასებლად აქტივების თითოეული კლასისათვის; მფლობელობის განაწილების მაჩვენებლები ითვალისწინებს აქტივების მფლობელებს სქესის მიხედვით აქტივების თითოეული კლასისათვის. გენდერული განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში გაანგარიშებულია იმის დასადგენად, თუ რამდენად არსებობს რაიმე სახის უთანასწორობა ქალისა და მამაკაცის მფლობელობაში აქტივების ღირებულების მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებლები აღწერილია ჩანართში 2.3.

სიხშირისა და განაწილების მაჩვენებლები გაანგარიშებულია და შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის, ასევე თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომის გამოყენებით. მაშინ როდესაც მე-3 თავში წარმოდგენილი ძირითადი შედეგები ეფუძნება თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომას, წინამდებარე თავში ასევე წარმოდგენილია შეფასებების შედარება ზოგიერთი ინდიკატორისათვის ორი მიდგომის გამოყენებით.

საცხოვრისების ღირებულება გაანგარიშებული იყო თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომით. იმ შემთხვევებისათვის, სადაც აქტივი ერთობლივ მფლობელობაშია, აქტივის ღირებულება თანაბრად იქნა განაწილებული მესაკუთრეებს შორის. აღსანიშნავია, რომ მესაკუთრეების რაოდენობა, რომლებიც არ არიან შინამეურნეობის წევრები, ერთად არის ჩათვლილი, რადგან კვლევა არ ითვალისწინებდა მონაცემების შეგროვებას შინამეურნეობის არაწევრი მესაკუთრეების რაოდენობასა და სქესზე.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელთაც არ ჰქონდათ მითითებული ინფორმაცია საცხოვრისის ფასზე (ე.ი. მონიშნული იყო პასუხები "არ ვიცი", "უარი პასუხზე", ან ცარიელი სივრცე), შეფასებებში არ იქნა ჩართული.

ჩანართი 2.3: გენდერული განსხვავებების გაზომვა აქტივების ფლობაში

საკუთრების სტრუქტურისა და გენდერული უთანასწორობის გამოსავლენად EDGE პილოტურ კვლევაში გამოყენებული იყო მაჩვენებლების სამი ტიპი. ესენია: აქტივების ფლობის წილი, აქტივების ფლობის განაწილება და გენდერული განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში. სამივე მიდგომა გაანგარიშებული იყო 18 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის სქესის მიხედვით.

აქტივების ფლობის წილი სქესის მიხედვით

აქტივების ფლობის წილი ზომავს, რამდენი პროცენტი სრულწლოვან ქალებსა და მამაკაცებში არის მფლობელი. ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს როგორც ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული, ისე თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომების მიხედვით. მაგალითად:

$$\text{მფლობელობის წილი} = \frac{\langle \text{აქტივის} \rangle \text{ სრულწლოვანი მამაკაცი (ქალი) მფლობელები}}{\text{შინამეურნეობის წევრ მამაკაცთა (ქალთა) მთლიანი რიცხოვნობა}}$$

მფლობელობის წილი გაანგარიშებულია კვლევაში შემავალი თითოეული აქტივისთვის, მფლობელობის ტიპის (განცხადებული და დოკუმენტირებული) და ფორმის (ერთობლივი და ერთპიროვნული), გაყიდვის და ანდერძით გადაცემის უფლებისა და მიღების მეთოდის მიხედვით.

აქტივების მფლობელების განაწილება სქესის მიხედვით

აქტივების მფლობელების განაწილება სქესის მიხედვით, საშუალებას გვაძლევს შევადაროთ მამაკაცი აქტივების მფლობელების წილი აქტივების მფლობელ ქალთა წილს. ეს განაწილება განისაზღვრა 18 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის.

მესაკუთრეთა განაწილება შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ სქესის მიხედვით, არამედ მფლობელობის ფორმისა და საკუთრების ფლობის უფლების ფორმის (ერთპიროვნული ან ერთობლივი უფლება გაყიდვის ან აქტივის ანდერძით გადაცემის) მიხედვით. მაგალითისთვის იხილეთ ფორმულა:

$$\text{განაწილება} = \frac{\text{აქტივის სრულწლოვანი მამაკაცი (ქალი) მფლობელები}}{\text{აქტივის მამაკაცი და ქალი მფლობელების ჯამური რიცხოვნობა}}$$

გენდერული განსხვავება მატერიალურ კეთილდღეობაში

საცხოვრისების ღირებულება გაანგარიშებულია შერჩევაში მოხვედრილი პირების მფლობელობაში არსებული საცხოვრისების მიმდინარე საბაზრო ფასების მიხედვით. ქალებისა და მამაკაცების აქტივების წილი გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\frac{\text{მამაკაცების(ქალების) მფლობელობაში არსებული საცხოვრისების ღირებულება}}{\text{საცხოვრისების ჯამური ღირებულება}}$$

2.4 მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები

მონაცემთა შეგროვების შესახებ ახალი სახელმძღვანელოს დანერგვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, რომლებიც გამოვლინდა კვლევის მოსამზადებელ და ძირითად ეტაპებზე.

მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება წამოიჭრას გარკვეული მიზეზების გამო და უკავშირდებოდეს მეთოდოლოგიური ცნებების გამოყენებას ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე. მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემების დროული გამოვლენა უმნიშვნელოვანესია, რადგან გაუგებარმა ფორმულირებამ, სენსიტიურმა კითხვებმა ან არარეალურმა მოლოდინებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ მონაცემების ხარისხზე, არამედ უარყოფითად იმოქმედოს მთლიან კვლევაზე (მაგალითად, გამოიწვიოს რესპონდენტების უარყოფითი დამოკიდებულება).

საქართველოში, მონაცემებთან დაკავშირებული შესაძლო გართულებები გამოვლინდა მოსამზადებელი სამუშაოების დროს და მხედველობაში იქნა მიღებული წინასწარი ტესტირების ეტაპზე. ეს საკითხები მოიცავდა კითხვებს, რომლებზეც: ა) რესპონდენტებს შესაძლოა ვერ გაეცათ პასუხი (მაგ. ნიადაგის ტიპი) ან ბ) არ იყო რელევანტური ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე და შეეძლო გაეღიზიანებინა რესპონდენტი (მაგ. კითხვები წვრილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების ფლობაზე). წინასწარი ტესტირებით გამოვლენილი მსგავსი მოლოდინების შედეგად, შესაბამისი კითხვები შესწორდა ან ამოღებულ იქნა კითხვარიდან.

ამის მიუხედავად, შეუძლებელია ყველა შესაძლო პრობლემის წინასწარ განსაზღვრა და შესაბამისად, მონაცემთა შეგროვების დროს რიგი გამოწვევები წამოიჭრა. ყველაზე რთულ საკითხად გამოვლინდა კითხვარის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ფინანსური აქტივებისა და ძვირფასეულობის ფლობას. რესპონდენტებს არ სურდათ ეპასუხათ ისეთი კითხვებისთვის, რომლებიც ეხებოდა საბანკო ანგარიშზე თუ სახლში არსებული ფულის ზუსტ რაოდენობას ან ძვირფასეულობის ჩამონათვალს. საცდელი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების მხრიდან ხდებოდა ასეთი აქტივების არსებითად დაბალი შეფასება, რამაც კითხვების მოდიფიკაციის საჭიროება გამოავლინა (მაგალითად, ღირებულების ზუსტი რაოდენობის ნაცვლად მისი დასახელება მოცემული ინტერვალების ფარგლებში).

მონაცემებთან დაკავშირებული სირთულეების მეორე ასპექტი უკავშირდება ცნებების კომპლექსურობას, რომელთა პრაქტიკული დანერგვა ხორციელდება კვლევის კითხვარში. რესპონდენტებს უჭირდათ დეკლარირებული მფლობელობის, საწარმოს (არარეგისტრირებული საწარმოების, თვითდასაქმებულთა ხშირი შემთხვევების პირობებში), საწარმოსთან დაკავშირებული ცნებების (შემოსავლები, დანახარჯები და სხვ.) მნიშვნელობის გაგება.

ამასთან, ზოგიერთმა კითხვამ - რაც ნაწილობრივ დაკავშირებული იყო ქვეყნის სპეციფიკასთან - გამოიწვია რესპონდენტთა უკმაყოფილება (როგორც, მაგალითად, ზემოაღნიშნულმა კითხვებმა ფინანსური აქტივების შესახებ), ან არ იქნა აღქმული სერიოზულად (მაგ. შინაური ცხოველებისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების ფლობასთან დაკავშირებით). ერთ-ერთ რეგიონში

ეთნიკური უმცირესობები განსაკუთრებით გააღიზიანა კითხვებმა აქტივების ფლობისა და მათი გასაყიდი ღირებულების შესახებ.

საბოლოოდ, შინამეურნეობები უბრალოდ არ შეეძლოთ, ეპასუხათ გარკვეულ შეკითხვებზე: გარდა ყველაზე გავრცელებული მაგალითისა უძრავ ქონებაზე და მიწის შეფასებაზე (სადაც პასუხების აბსოლუტური უმრავლესობა იყო გამოტოვებული), ასეთი კითხვები აგრეთვე მოიცავდა უძრავი აქტივების მიღების თარიღს (განსაკუთრებით ისეთი აქტივები, რომლებიც ოფიციალურად არ იყო დარეგისტრირებული, უმეტესწილად მიწა) ან გვერდიგვერდ მდებარე მიწის ნაკვეთების განცალკევებას.

ამგვარად, მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებს ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია კვლევის ხარისხზე. მონაცემთა წარმატებული შეგროვებისა და ანალიზისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამ საკითხების საგულდაგულო მონიტორინგს.

თავი 3: შედეგების ანალიზი

წინამდებარე თავი აღწერს საქართველოში ჩატარებული კვლევის „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის“ (EDGE) მიგნებებს შემდეგი ტიპის აქტივებზე: საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმო, სხვა უძრავი ქონება და ხანგრძლივი მოხმარების საგნები. ამ თავში გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების გარდა, ასევე მოცემულია განზოგადებული ინდივიდუალური მონაცემები ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. წარმოდგენილი შედეგები ეფუძნება, თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომის მონაცემებს ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომასთან შედარებით. ორი მიდგომის შედეგად მიღებული შეფასებების შედარება შერჩეულ ინდიკატორებზე მოცემულია ქვეთავში 3.6.

3.1 რესპონდენტების მახასიათებლები

კვლევის დროს გამოკითხულ იქნა ოჯახის მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი (ძირითადი რესპონდენტის ჩათვლით). მოსალოდნელი იყო, რომ კვლევის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებული იქნებოდა რესპონდენტის ინფორმირებულობაზე, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ისეთი მახასიათებლებით როგორცაა: ასაკი, განათლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, დასაქმების სტატუსი, და სხვა ფაქტორებთან ერთად, ასევე, ინტერვიუს ხანგრძლივობა.

2015 წლის EDGE პილოტურ კვლევაში, გამოიკითხა 2,783 შინამეურნეობა (1,497 ქალაქად და 1,288 სოფლად) და 5,937 ინდივიდუალური რესპონდენტი (3,182 ქალაქად და 2,755 სოფლად). შინამეურნეობის კითხვარის ინტერვიუსთვის საშუალო დრო დაახლოებით 13 წუთს შეადგენდა, ხოლო მონაცემების შეგროვებისთვის საშუალო ხანგრძლივობა შინამეურნეობაში სოფლად მცირედით მეტი (14 წუთი) იყო, ვიდრე ქალაქად (12 წუთი). შინამეურნეობების 59%-ში სოფლად და 53%-ში ქალაქად გამოიკითხა ძირითადი წყვილის ერთი წევრი მაინც და როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, შინამეურნეობის თითქმის მეოთხედში გამოიკითხა მხოლოდ ერთი სრულწლოვანი წევრი.

ცხრილი 3.1: გამოკვლეული შინამეურნეობების განაწილება რესპონდენტის ტიპის მიხედვით

შინამეურნეობები რესპონდენტების ტიპების მიხედვით	საცხოვრებელი ადგილი (%)	
	ქალაქი	სოფელი
მხოლოდ ძირითადი წყვილი	22.1	25.2
სამი სრულწლოვანი ძირითადი წყვილის ჩათვლით	25.6	30.4
სამი სრულწლოვანი ძირითადი წყვილის ერთ-ერთი წევრის ჩათვლით	2.2	1.5
სამი სრულწლოვანი ძირითადი წყვილის გარეშე	9.8	6.4
ორი რესპონდენტი ძირითადი წყვილის გარეშე	12.4	10.0
ორი რესპონდენტი ძირითადი წყვილის ერთ-ერთი წევრის ჩათვლით	3.1	2.3
ერთი რესპონდენტი	24.7	24.3
სულ	100.0	100.0
შინამეურნეობის საერთო რაოდენობა	1,495	1,288
რესპონდენტთა საერთო რაოდენობა	3,182	2,755
შინამეურნეობებზე ინტერვიუს საშუალო დრო (წუთი)	11.8	14.0

როგორც ცხრილი 3.2-დან ჩანს, ძირითადი რესპონდენტი ქალების რაოდენობა აღემატება ძირითადი რესპონდენტი მამაკაცების რიცხვს ქალაქად და უმნიშვნელოდ ნაკლებია მასზე სოფლად. ქალი რესპონდენტების რიცხვი აღემატებოდა მამაკაცი რესპონდენტების რიცხვს, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. რესპონდენტების საშუალო ასაკი სოფლად (52 წელი ქალებისთვის და 51 წელი მამაკაცებისთვის) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქად (49 წელი ქალებისთვის და 47 წელი მამაკაცებისთვის). ძირითადი რესპონდენტის საშუალო ასაკი უფრო მაღალი იყო ძირითადი რესპონდენტის მეუღლეებისა და სხვა რესპონდენტების საშუალო ასაკზე. აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ უმეტეს შემთხვევაში ძირითადი რესპონდენტი შინამეურნეობის უფროსი იყო¹⁷.

ცხრილი 3.2: რესპონდენტების რაოდენობა მახასიათებლების მიხედვით

რესპონდენტების მახასიათებლები	ძირითადი რესპონდენტი				ძირითადი რესპონდენტის მეუღლე				სხვა რესპონდენტები			
	ქალაქი		სოფელი		ქალაქი		სოფელი		ქალაქი		სოფელი	
	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ
რესპონდენტების საერთო რაოდენობა	544	948	656	629	342	372	222	496	393	583	342	410
საშუალო ასაკი	53	53	56	57	51	49	55	51	34	42	36	45

მ = მამაკაცი, ქ = ქალი.

¹⁷ დამატებითი ინფორმაციისთვის - იმის გათვალისწინებით, რომ მეთოდოლოგიაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სამიზნეს წარმოდგენს ძირითადი რესპონდენტი შინამეურნეობის უფროსი ნაცვლად.

ცხრილი 3.3: რესპონდენტების პროცენტული განაწილება ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით

მახასიათებლები	მამაკაცი	ქალი	სულ
საშუალო ასაკი	48	50	49
ოჯახური მდგომარეობა (%)			
დაოჯახებული	72.3	61.5	66.1
ქვრივი, გაშორებული, განქორწინებული	7.6	27.8	19.3
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	20.0	10.7	14.6
განათლების დონე (%)			
დაწყებითი და დაბალი	2.8	3.4	3.2
საშუალო	46.3	41.3	43.4
საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი	22.9	25.6	24.5
უმაღლესი ან უფრო მაღალი	27.9	29.7	29.0
დასაქმების სტატუსი (%)			
დასაქმებული	66.8	49.9	57.0
არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში	33.2	50.1	43.0

ცხრილი 3.3 ასახავს რესპონდენტების განაწილებას სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ რესპონდენტების უმეტესობა არის დაქორწინებული (გამოკითხული მამაკაცების 72% და ქალების 62%). ქალი რესპონდენტების მეოთხედზე მეტი ქვრივი, გაშორებული ან განქორწინებულია. მამაკაცი რესპონდენტების 20% და ქალი რესპონდენტების 11% არასდროს ყოფილა ქორწინებაში.

განათლების მიღწეული დონის მიხედვით რესპონდენტების პროცენტული განაწილება (ცხრილი 3.3) გვიჩვენებს, რომ დაწყებითი განათლების და განათლების გარეშე რესპონდენტთა წილი დაბალია და 3.0%-ს შეადგენს. რესპონდენტთა დაახლოებით 43%-მა მიიღო საშუალო¹⁸ განათლება, ხოლო 25%-ს საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი განათლება აქვს. რესპონდენტების საერთო რაოდენობიდან 29%-მა მიიღო უმაღლესი ან უმაღლესის შემდგომი განათლება.

დასაქმების სტატუსის შესახებ ინფორმაცია შეგროვდა შინამეურნეობის 18 წლის და უფროსი ასაკის წევრებზე. ცხრილი 3.3 ასახავს მონაცემებს, სადაც რესპონდენტები დაჯგუფებულია ორ კატეგორიად: დასაქმებული და დაუსაქმებელი (არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში). დასაქმებული მოიცავს მათ, ვინც არის დაქირავებული ან დამქირავებელი (ფერმერი დაქირავებული მუშაკებით ან მეწარმე არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დაქირავებული მუშაკებით, დამოუკიდებელი მუშაკი, რომელიც ფლობს გლეხურ მეურნეობას, დამოუკიდებელი მუშაკი (საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში დასაქმებულის გარდა), მწარმოებელთა

¹⁸ ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და სრული ზოგადი განათლება (საშუალო სკოლა).


კოოპერატივის წევრი ან ოჯახურ საწარმოში დამხმარე წევრი. დაუსაქმებელი მოიცავს უმუშევარ ან სამუშაო ძალი გარეთ მყოფ ადამიანებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 57% დასაქმებულია (მ. შ. მამაკაცების 67% და ქალების 50%), ხოლო 43% არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში (მ. შ. მამაკაცების 33% და ქალების 50%).

3.2 მფლობელობის გავრცელების მაჩვენებლები

თვით-განცხადებულ მფლობელობასთან დაკავშირებით ორი არსებითი მახასიათებელი გამოიკვეთა. პირველი, მთლიანობაში დაფიქსირდა თვალსაჩინო განსხვავება გენდერულ ჭრილში - თითქმის ყველა აქტივთან მიმართებაში მამაკაცების მფლობელობის წილი უფრო მაღალია, ვიდრე ქალების. მეორე, გავრცელების მაჩვენებელი განცხადებული მფლობელობის შემთხვევაში გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში.

შემდეგ ქვეთავებში მოცემულია მფლობელობის ანალიზი და კონკრეტული აქტივების გავრცელების მაჩვენებლების შედარება. გავრცელების მაჩვენებლები ასევე განხილულია შემდეგი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით: მფლობელების ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლების დონე და დასაქმების სტატუსი.

გრაფიკი 3.1: მფლობელების წილი უძრავი ქონების ტიპების მიხედვით (%)



გრაფიკზე 3.1 წარმოდგენილია უძრავი ქონების დოკუმენტირებული და განცხადებული მფლობელების წილი, სქესის მიხედვით. უძრავი ქონება წამოადგენს ძვირადღირებულ და შემოსავლის მომტან აქტივებს. მფლობელობის გავრცელების მაჩვენებელი გვიჩვენებს იმ სრულწლოვან მამაკაცთა და ქალთა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც არიან აქტივების მფლობელები. გრაფიკი 3.1-ის მიხედვით, განცხადებული მფლობელობის წილი უფრო მაღალია,

ვიდრე დოკუმენტირებული მფლობელობის წილი. განსხვავება განსაკუთრებით აშკარაა საცხოვრისის მფლობელობის შემთხვევაში, სადაც დოკუმენტირებული მფლობელობის წილი განცხადებული მფლობელობის წილის თითქმის ნახევარია.

უძრავ ქონებაში მფლობელობის ყველაზე მაღალი წილი უკავია საცხოვრისს. 80%-მდე მამაკაცი და 76%-მდე ქალი არის საცხოვრისის განცხადებული მფლობელი, ხოლო 46% მამაკაცი და 33% ქალი - დოკუმენტირებული მფლობელი. როგორც განცხადებული, ასევე დოკუმენტირებული მფლობელობის წილი გვიჩვენებს, რომ მამაკაცები უფრო ხშირად ფლობენ ძირითად საცხოვრისს, ვიდრე ქალები. უთანასწორობა უფრო ნათლად ჩანს დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში, სადაც იგი თითქმის 13 პროცენტულ პუნქტს შეადგენს (5 პროცენტული პუნქტი განცხადებული მფლობელობის შემთხვევაში).

გენდერული განსხვავება ყველაზე მაღალია სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში, სადაც დოკუმენტირებული მფლობელი მამაკაცების რაოდენობა ორჯერ აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. განცხადებული მფლობელობის შემთხვევაში, გენდერული განსხვავება 14 პროცენტულ პუნქტს უტოლდება.

სხვა უძრავი ქონება მოიცავს საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებს (გარდა საცხოვრისისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა). სხვა უძრავი ქონების მფლობელობა, სასოფლო-სამეურნეო მიწასა და საცხოვრისთან შედარებით საკმაოდ დაბალია. განცხადებული მფლობელობის წილი მამაკაცებში 16%-ს უტოლდება, ხოლო ქალებში - 10%-ს. გაცილებით დაბალია დოკუმენტირებული მფლობელობის მაჩვენებელი - 11% მამაკაცებისთვის და 6% ქალებისთვის. სხვა უძრავი ქონების მსგავსად, გენდერული განსხვავება მამაკაცების სასარგებლოდ იხრება.

ცხრილი 3.4: უძრავი ქონების მფლობელობის წილი, თვით-განცხადებული მფლობელობა (%)

სქესი	დოკუმენტირებული			განცხადებული		
	სოფელი	ქალაქი	სულ	სოფელი	ქალაქი	სულ
საცხოვრისი						
მამაკაცი	48.5	44.4	46.3	83.0	78.2	80.4
ქალი	29.0	36.6	33.4	77.7	74.6	75.9
სასოფლო-სამეურნეო მიწა						
მამაკაცი	45.2	18.2	30.6	72.4	26.8	47.7
ქალი	20.3	6.9	12.6	57.0	17.2	34.1
სხვა უძრავი ქონება						
მამაკაცი	8.3	12.6	10.6	11.3	19.5	15.7
ქალი	3.7	7.5	5.9	6.5	12.7	10.1

ცხრილში 3.4 უძრავი ქონების მფლობელობის წილის შედარება, სოფლად და ქალაქად ცხადყოფს, რომ სოფლისა და ქალაქის მიხედვით საცხოვრისის მფლობელობაში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას სხვა უძრავი ქონების მფლობელობაზეც. როგორც მოსალოდნელი იყო, სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის მაჩვენებელი უფრო მაღალია სოფლად, სადაც სოფლის მეურნეობა არსებობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. საერთო ჯამში, გენდერული უთანასწორობა უფრო მეტად გამოხატულია სოფლად.

ცხრილი 3.5: განცხადებულ მფლობელთა განაწილება სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	საცხოვრისი			სასოფლო-სამეურნეო მიწა			სხვა უძრავი ქონება		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
ოჯახური მდგომარეობა									
დაოჯახებული	71.8	63.0	67.1	75.5	64.6	70.5	72.9	72.6	72.8
ქვრივი, გაშორებული, განქორწინებული	7.6	27.8	18.3	8.0	27.4	16.9	6.3	17.0	10.9
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	20.7	9.2	14.6	16.5	8.1	12.6	20.8	10.4	16.3
განათლების დონე									
დაწყებითი ან უფრო დაბალი	2.2	3.4	2.8	3.2	4.0	3.6	0.7	0.4	0.6
საშუალო	42.8	38.4	40.5	44.1	42.8	43.5	26.2	22.9	24.8
საშუალოს შემდგომი, არა-უმადლესი	23.0	25.4	24.3	24.6	26.0	25.2	18.8	19.3	19.1
უმადლესი ან უფრო მაღალი	32.0	32.8	32.4	28.1	27.2	27.7	54.2	57.3	55.6
დასაქმების სტატუსი									
დასაქმებული	66.2	47.9	56.5	76.8	61.7	69.9	71.1	51.1	62.5
არ არის ჩართული ეკონომიკურ აქტივობაში	33.8	52.1	43.5	23.2	38.3	30.1	28.9	48.9	37.5
ასაკობრივი ჯგუფი									
18–29	17.4	13.6	15.4	13.4	9.8	11.8	19.2	16.3	18.0
30–49	31.7	32.9	32.3	30.8	31.3	31.0	36.1	36.1	36.1
50–59	20.9	19.3	20.1	23.4	21.7	22.6	19.5	22.3	20.7
60 წლის და უფროსი ასაკის	29.9	34.2	32.2	32.4	37.2	34.6	25.2	25.3	25.2

განცხადებული მფლობელების განაწილება სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გვიჩვენებს, რომ უძრავი ქონების მფლობელების თითქმის 70% დაქორწინებულია. ზემოთ მოყვანილი აქტივების მფლობელი ქალების დიდი წილი (17%-28%) არის ქვრივი, გამორეული ან განქორწინებული. მესაკუთრე მამაკაცთა თითქმის 20% არასდროს ყოფილა დაქორწინებული. აღნიშნული მიუთითებს კორელაციის არსებობაზე აქტივების ფლობასა და ქორწინებას შორის ქალებში, მაგრამ არა მამაკაცებში.

განცხადებული მფლობელების უმეტესობა ამჟამად დასაქმებულია. ქალი მფლობელების დაახლოებით ნახევარი არ არის ჩართული ეკონომიკურ აქტივობაში. განათლების დონის მიხედვით, საცხოვრისისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელთა უმეტესობას მიღებული აქვს საშუალო განათლება, ხოლო სხვა უძრავი ქონების მფლობელების უმეტესობას - უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი განათლება. განათლების მიხედვით, ქალსა და მამაკაცს შორის მნიშვნელოვანი უთანასწორობა არ გამოიკვეთა. უძრავი ქონების უმეტესი განცხადებული მფლობელი არის 30-49 ან 60 წლის და უფროსი ასაკის (ცხრილი 3.5).


ცხრილი 3.6: უძრავი ქონების თვით-განცხადებული მფლობელობის წილი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები	საცხოვრისი		სასოფლო-სამეურნეო მიწა		სხვა უძრავი ქონება	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
ოჯახური მდგომარეობა						
დაოჯახებული	82.9	75.5	51.7	34.8	16.5	11.6
ქვრივი, გამორეული, განქორწინებული	81.8	82.3	50.9	36.4	13.2	6.7
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	72.6	63.3	34.4	25.0	14.3	9.5
განათლების დონე						
დაწყებითი და დაბალი	72.2	83	63	43.9	4.8	1.4
საშუალო	76.6	73.1	46.8	36.6	9.2	5.8
საშუალოს შემდგომი, არაუმაღლესი	87.6	79.1	55.5	36.4	14	8
უმაღლესი და უფრო მაღალი	81.7	76.2	42.5	28.4	27.1	17.7
დასაქმების სტატუსი						
დასაქმებული	81.1	78.2	55.8	45.2	16.9	11.1
არ არის ჩართული ეკონომიკურ აქტივობაში	79.3	73.9	32.2	24.5	13.2	9.2

ცხრილში 3.5 ასახულია უძრავი ქონების განცხადებული მფლობელების განაწილება სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, ხოლო ცხრილი 3.6 გვაწვდის ინფორმაციას უძრავი ქონების თვით-განცხადებული მფლობელობის წილის შესახებ სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების თითოეული ტიპისთვის. უთანასწორობა აქტივების მფლობელობაში, მამაკაცების უპირატესობით, აღინიშნება ყველა აქტივისთვის და

განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში. კვლევის შედეგიდან გამომდინარე, ერთი და იმავე განათლების დონის მქონე ქალებსა და მამაკაცებს მფლობელობის უთანაბრო (და უთანასწორო) სტატუსი დაუფიქსირდათ, როგორც ზოგადად, ისე დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში.

გრაფიკი 3.2: სხვა აქტივების თვით-განცხადებული მფლობელების წილი, სქესის მიხედვით (%)



შენიშვნა: კითხვარში არ იქნა შეტანილი წვრილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მოდული ქვეყნის სპეციფიკასთან შეუსაბამობის გამო.

პირუტყვისა და ფრინველის მფლობელების წილი მამაკაცებში 41.6%-ია, ხოლო ქალებში - 38.6%. აქ გენდერული განსხვავება შედარებით ზომიერია, რადგან შინამეურნეობებში პირუტყვი და ფრინველი უმეტესად ოჯახის (და არა პირადი) საკუთრებაა.

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მფლობელობის წილი საკმაოდ დაბალია და მამაკაცებისთვის 6%-ს, ხოლო ქალებისთვის 1%-ს უტოლდება. შესაბამისად, აქაც დაფიქსირდა გენდერული განსხვავება მამაკაცების უპირატესობით.

სხვა აქტივებს შორის ყველაზე დიდი მფლობელების წილი დაფიქსირდა ხანგრძლივი მოხმარების საგნებისთვის. ქალებსა და მამაკაცებში მფლობელობის წილი თითქმის თანაბარია (98.3% მამაკაცებში და 98.4% ქალებში). მფლობელობის მიხედვით, ძირითადი ხანგრძლივი მოხმარების საგნებია: ტელევიზორი, მობილური ტელეფონი და მაცივარი. ქალებთან შედარებით მამაკაცების დიდი ნაწილი ფლობს სატრანსპორტო საშუალებებს (მოტოციკლები, ავტომობილები და სატვირთო მანქანები), ხოლო ქალები მეტად ფლობენ ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, როგორებიცაა მაცივარი, ელექტრო- ან გაზის ღუმელი და სარეცხი მანქანა.

ყველა აქტივებს შორის, ყველაზე დაბალი ფინანსური აქტივების მფლობელობის წილი აღმოჩნდა, რაც განპირობებულია იმით, რომ რესპონდენტებისთვის ფინანსურ აქტივებზე საუბარი უსიამოვნო იყო. სრულწლოვან მოსახლეობაში მხოლოდ 2%-მა დააფიქსირა ფინანსური აქტივების ფლობა. არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების მფლობელობის წილი მამაკაცებისთვის 10%, ხოლო ქალებისთვის 6% შეადგინა.

ცხრილი 3.7 გვიჩვენებს სხვა აქტივების განაწილებას ქალაქად და სოფლად. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობებისა და პირუტყვის მფლობელების წილი, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში, მაღალია სოფლად. მეორეს მხრივ, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ფინანსური აქტივების მფლობელობა ქალაქში უფრო მაღალია. უძრავი ქონების მსგავსად, გენდერული განსხვავება სოფლად მეტად აშკარაა.

ცხრილი 3.7: სხვა აქტივების თვით-განცხადებული მფლობელების წილი, სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად (%)

სქესი	განცხადებული მფლობელობა		
	სოფლად	ქალაქად	სულ
პირუტყვი			
მამაკაცი	73.5	14.5	41.6
ქალი	71.1	14.5	38.6
მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები			
მამაკაცი	11.1	2.4	6.4
ქალი	1.9	0.4	1.0
ხანგრძლივი მოხმარების საგნები			
მამაკაცი	99.1	97.7	98.3
ქალი	98.5	98.3	98.4
ფინანსური აქტივები			
მამაკაცი	1.0	2.5	1.8
ქალი	1.0	2.0	1.6
არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები			
მამაკაცი	9.6	11.6	10.7
ქალი	6.5	5.6	6.0

შენიშვნა: სოფლად გამოკითხულთაგან ფინანსური აქტივების განცხადებული მფლობელების რაოდენობა 25-ზე ნაკლებია. დაბალი სიხშირის გათვალისწინებით, მონაცემების ინტერპრეტაცია საჭიროებს სიფრთხილეს.

ცხრილი 3.8: სხვა აქტივების განაწილება თვით-განცხადებული მფლობელების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი	პირუტყვი			მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები			ხანგრძლივი მოხმარების საგნები		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
ოჯახური მდგომარეობა									
დაქორწინებული	75.6	69.5	72.4	79.9	60.3	76.7	70.1	63.2	66.4
ქვრივი, გამორებული ან განქორწინებული	6.4	23.1	15.2	4.6	32.9	9.1	7.3	25.6	17.2
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	18.0	7.4	12.4	15.5	6.8	14.1	22.6	11.1	16.4
განათლების დონე									
დაწყებითი ან უფრო ნაკლები	4.5	5.4	5.0	1.5	0.0	1.3	2.4	3.0	2.7
საშუალო	51.5	49.2	50.3	39.5	32.9	38.4	44.9	39.9	42.2
საშუალოს შემდგომი არაუმაღლესი	23.7	26.0	24.9	19.1	34.5	21.6	20.9	24.2	22.7
უმაღლესი ან უფრო მაღალი	20.3	19.3	19.8	39.9	32.5	38.7	31.8	32.9	32.4
დასაქმების სტატუსი									
დასაქმებული	78.1	62.6	70.0	90.0	83.6	88.9	66.0	46.9	55.6
არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში	21.9	37.4	30.0	10.0	16.4	11.1	34.0	53.1	44.4
ასაკობრივი ჯგუფი									
18–29	16.5	12.1	14.2	15.4	9.3	14.4	20.7	18.5	19.5
30–49	31.3	33.5	32.4	33.3	33.8	33.4	34.0	33.0	33.5
50–59	21.8	20.1	20.9	24.9	25.9	25.1	18.7	18.8	18.8
60 და უფროსი ასაკის	30.4	34.3	32.5	26.4	31.0	27.2	26.5	29.7	28.2

ცხრილი 3.9: ფინანსური აქტივებისა და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების განაწილება თვით-განცხადებული მფლობელების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (%)

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი	ფინანსური აქტივები			არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები		
	მამაკაცი	ქალი	სულ	მამაკაცი	ქალი	სულ
ოჯახური მდგომარეობა						
დაქორწინებული	61.5	52.7	57.0	82.8	68.2	77.0
ქვრივი, გამორებული ან განქორწინებული	6.0	20.7	13.5	3.0	24.7	11.7
არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	32.4	26.6	29.5	14.1	7.1	11.3
განათლების დონე						
დაწყებითი ან უფრო ნაკლები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშუალო	19.3	10.1	14.6	36.0	34.7	35.5
საშუალოს შემდგომი არაუმადლესი	12.0	14.5	13.3	21.0	34.8	26.5
უმაღლესი ან უფრო მაღალი	68.7	75.3	72.1	43	30.5	38.0
დასაქმების სტატუსი						
დასაქმებული	85.4	62.7	87.7	92.9	80.6	87.7
არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში	14.6	37.3	12.3	7.1	19.4	12.3
ასაკობრივი ჯგუფი						
18–29	9.9	26.1	18.1	9.9	9.0	9.6
30–49	46.9	37.9	42.3	47.0	35.9	42.5
50–59	17.1	5.3	11.1	27.6	29.7	28.5
60 და უფროსი ასაკის	26.2	30.7	28.5	15.5	25.4	19.4


როგორც ნაჩვენებია ცხრილებში 3.8 და 3.9 სხვა აქტივების თვით-განცხადებულ მფლობელთა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების განაწილების შესახებ, მფლობელების უმრავლესობა ქორწინებაში იმყოფება. ამასთან, ქორწინებაში მყოფ მესაკუთრე მამაკაცთა წილი უფრო მაღალია ქორწინებაში მყოფ მესაკუთრე ქალებთან შედარებით. ქვრივი, გამორებული ან განქორწინებული ქალი მფლობელები ჭარბობენ შესაბამისი სტატუსის მამაკაცებს. მსგავსი სურათი იკვეთება დასაქმების სტატუსის მიუხედავად იმისა, რომ მფლობელების უმრავლესობა დასაქმებულია, მათ შორის მამაკაცთა რაოდენობა ქალთა რაოდენობას აღემატება. რაც შეეხება განათლების დონეს, აქტივების მფლობელების უმეტესობამ მიაღწია საშუალო განათლების დონეს, თუმცა მესაკუთრეთა მნიშვნელოვან ნაწილს ასევე მიღებული აქვს უმაღლესი ან უმაღლესის შემდგომი განათლება. სხვა აქტივების განცხადებულ მფლობელთა უმეტესობა 30-49 წლის ან 60 წელზე უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ხვდება.

3.3 მფლობელობის ფორმები

ქალი ან მამაკაცი შეიძლება ფლობდეს აქტივს ერთპიროვნულად ან ვინმესთან ერთობლივად. აქტივის თანამფლობელებს შესაძლოა წარმოადგენდნენ ძირითადი წყვილის წევრები, სხვა შინამეურნეობის წევრები ან შინამეურნეობის წევრი და არაწევრი პირები. ამ ნაწილში განხილულია კონკრეტული აქტივის მფლობელების განაწილება მფლობელობის ტიპის მიხედვით.


უძრავი ქონების მნიშვნელობისა და მიღებული პასუხების სიხშირის გათვალისწინებით, მფლობელობის ფორმების ანალიზში ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტივებზე, როგორცაა საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა და სხვა უძრავი ქონება. გრაფიკზე 3.3 ნაჩვენებია მფლობელობის ფორმების პროცენტული წილი შინამეურნეობების სხვადასხვა წევრებს შორის. განცხადებულ მფლობელთა შორის, თანამფლობელობა შინამეურნეობების ყველა წევრის შორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა (55%-ს საცხოვრისის შემთხვევაში), თუმცა დოკუმენტირებული მფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა მამაკაცის ერთპიროვნული მფლობელობაა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მფლობელობის აღქმა უფრო ფართოა, ვიდრე დოკუმენტირებული რეალობა. მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება გამოიკვეთა მამაკაცების უპირატესობით, კერძოდ დოკუმენტირებულ მფლობელობაში.

გრაფიკი 3.3: აქტივების მფლობელთა განაწილება, უძრავი ქონების მფლობელობის ტიპის მიხედვით (%)



გრაფიკი 3.4 გვიჩვენებს მფლობელობის ფორმების განაწილებას ყველა სხვა აქტივისთვის, როგორცაა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, პირუტყვი, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ხანგრძლივი მოხმარების საგნები. მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ პირუტყვი და ხანგრძლივი მოხმარების საგნები შინამეურნეობის ყველა წევრის საკუთრებად აღიქმება, მაშინ როდესაც მამაკაცები არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების ერთპიროვნული მფლობელები არიან.

გრაფიკი 3.4: აქტივების მფლობელთა განაწილება აქტივების მფლობელობის ტიპის მიხედვით (%)




3.4 გასხვისების უფლება

ან ნაწილში განხილულია მფლობელთა უფლებები ძირითადი აქტივების გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის უფლება. ძირითად აქტივები მოიცავს ძირითად საცხოვრისს, სასოფლო-სამეურნეო მიწას, მსხვილ სასოფლო სამეურნეო მოწყობილობებს და სხვა უძრავ ქონებას. თავის მხრივ, გასხვისების უფლება იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ერთპიროვნული უფლება, ერთობლივი უფლება და უფლების არქონა.


გრაფიკები 3.5 და 3.6 გვიჩვენებს, რომ, ზოგადად, აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის გადაწყვეტილება სხვასთან შეთანხმების ხასიათს ატარებს. ეს აისახება მფლობელობის ფორმებზე, რაც განხილულია წინა ნაწილში, სადაც თანამფლობელობა უფრო გავრცელებულია.

თუმცა აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის ერთპიროვნული უფლება აქტივების ყველა კატეგორიაში უფრო მაღალია მამაკაც მფლობელებში. გენდერული განსხვავება მამაკაცების უპირატესობით, ძირითადად შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო მიწის, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების და სხვა უძრავი ქონების აქტივებში, სადაც განსხვავება 10 პროცენტულ პუნქტს აღარაა. უფრო მეტიც, მამაკაცებთან შედარებით, მეტმა ქალმა განაცხადა, რომ არ გააჩნია კუთვნილი აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის უფლება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მართალია, ქალი ითვლება მფლობელად, მაგრამ აქტივის გაყიდვის ან ანდერძით გადაცემის გადაწყვეტილების მიღების დროს მისი უფლებები მაინც შეზღუდულია.

გრაფიკი 3.5: გაყიდვის უფლება სქესის მიხედვით (%)



გრაფიკი 3.6: ანდერძით გადაცემის უფლება სქესის მიხედვით (%)




- ერთპიროვნული უფლება
- ერთობლივი უფლება (მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში)
- არ აქვს უფლება

3.5 მიღების მეთოდი

ამ ნაწილში განხილულია აქტივების მიღების სხვადასხვა მეთოდი, რომელთა შესახებ ინფორმაცია კვლევის დროს შეგროვდა. კერძოდ, აქტივების მიღება დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: აქტივების ბაზარზე შესყიდვა, მემკვიდრეობით მიღება სისხლით ნათესავი ოჯახის წევრის ან ქორწინებით ოჯახის წევრის გარდაცვალების შემდეგ, საქორწინო კანონის/ჩვეულების თანახმად, საჩუქრის სახით და სამთავრობო პროგრამით მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები შეგროვდა ყველა ტიპის აქტივზე, ამ ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ საცხოვრისის, სასოფლო-სამეურნეო მიწის, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სხვა უძრავი ქონების ანალიზი.

გრაფიკი 3.7: აქტივების ფლობის განაწილება მიღების ფორმების მიხედვით (%)



შენიშვნა: „მემკვიდრეობით მიღებული“ მოიცავს სისხლით ნათესავ ან არანათესავ ოჯახის წევრებს; „გადაცემული“ მოიცავს შინამეურნეობის წევრ და არაწევრ პირებს; და „სხვა“ აერთიანებს „შეჭრას/მითვისებას“, „არ ვიცი“ და სხვა პასუხებს.

გრაფიკი 3.7 გვიჩვენებს, რომ ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობით მოხდა მამაკაცი და ქალი მფლობელების მიერ აქტივების მიღება, არის ყიდვა; გამონაკლისს წარმოადგენს არასასოფლო-


სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ძირითადად დაარსებულია.¹⁹ მფლობელთა რიცხვი, რომელთაც მიიღეს აქტივები სამთავრობო პროგრამით, საკმაოდ უმნიშვნელოა. მამაკაცი მფლობელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, აქტივები მიიღო შინამეურნეობის წევრისგან, არაწევრისგან ან საჩუქრის სახით, მაშინ როდესაც ქალების უმეტესობამ აქტივები მიიღო საქორწინო კანონის/ჩვეულების თანახმად. შედეგები გვიჩვენებს მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობის დონეს. მემკვიდრეობით ან საჩუქრის სახით გადაცემის ფორმების შემთხვევაში მამაკაცების უპირატესობა ვლინდება. აღნიშნული უპირატესობა განსაკუთრებით დიდია საცხოვრისის მემკვიდრეობით ან საჩუქრად მიღების მეთოდებისთვის, სადაც მამაკაცების წილი ორჯერ აღემატება ქალების წილს. ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ტრადიციული აღქმით, რომ მამაკაცები პრივილეგირებული არიან მემკვიდრეობის მიღების დროს. მეორეს მხრივ, ქალი მფლობელების 20%-ზე მეტი ფლობს უძრავ აქტივებს ქორწინების გზით (საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა და სხვა უძრავი ქონება), მაშინ როდესაც მამაკაცებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3%-ს უტოლდება.

3.6 ნებისმიერი რესპონდენტის მიერ თვით-განცხადებული და ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მეთოდების შედარება

გრაფიკზე 3.8 წარმოდგენილია მფლობელობის წილის შედარება თვით-განცხადებულ მფლობელობასა (SAO) და ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებულ მფლობელობას (OAR) შორის საცხოვრისსა და სასოფლო სამეურნეო მიწაზე. კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ განცხადებული და დოკუმენტირებულ მფლობელობის წილი უფრო მაღალია OAR მეთოდის მიხედვით, ვიდრე თვით-განცხადებული მეთოდის მიხედვით. გენდერული განსხვავების კუთხით ტენდენცია მსგავსია ორივე (და შემთხვევაში, სადაც ქალებთან შედარებით, მეტი მამაკაცი ფლობს საცხოვრისსა და სასოფლო-სამეურნეო მიწას).

¹⁹ კატეგორია "დაარსებული" დამატებულ იქნა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოდულში.


გრაფიკი 3.8: გარკვეული აქტივებისთვის, ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მეთოდის შედარება თვით-განცხადებული მფლობელობის მეთოდთან (%)



3.7 მატერიალური კეთილდღეობის განაწილება: საცხოვრისი

ქალისა და მამაკაცის მფლობელობაში არსებული აქტივების რაოდენობა არ არის საკმარისი აქტივების ფლობაში გენდერული უთანასწორობის სრულად განსაზღვრისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე მამაკაცისა და ქალის მატერიალური კეთილდღეობის განაწილების გააზრება შინამეურნეობაში მამაკაცისა და ქალის მიერ აქტივების ფლობის შედარებითი მასშტაბების გამოსავლენად. EDGE პილოტურ კვლევაში შეგროვდა მონაცემები საცხოვრისების ფლობისა და მათი საბაზრო ღირებულების შესახებ. ამ ნაწილში წარმოდგენილია მატერიალური კეთილდღეობის გენდერულად დიფერენცირებული ანალიზი.

გრაფიკი 3.9: მატერიალური კეთილდღეობის განაწილება ქალაქად და სოფლად: საცხოვრისი (%)



შენიშვნა: გამოყენებულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდეს მფლობელებმა საცხოვრისის ღირებულების შესახებ. შინამეურნეობის არაწევრები არ არის გათვალისწინებული.

ქალებთან შედარებით, მამაკაცები ფლობენ მატერიალური კეთილდღეობის უფრო დიდ წილს საცხოვრისის სახით. ამ მხრივ განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის უფრო დიდია დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში. განცხადებული მფლობელობის მიხედვით, მატერიალური კეთილდღეობის 51.5%-ს ფლობენ მამაკაცები (ქალები კი - 48.5%-ს), ხოლო დოკუმენტირებული მფლობელობის მიხედვით, მამაკაცებს ეკუთვნის 65%. მატერიალური კეთილდღეობის განაწილების თვალსაზრისით, განსხვავება უფრო შესამჩნევია სოფლად, სადაც განცხადებული საკუთრების მიხედვით მამაკაცებს ეკუთვნის მატერიალური კეთილდღეობის 59.1%, ხოლო დოკუმენტირებული მფლობელობის მიხედვით გენდერული განსხვავება კიდევ უფრო დიდია და მამაკაცების წილი 73.9%-ს შეადგენს.


3.8 საწარმოები

წინა ნაწილებში უკვე განვიხილეთ არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მფლობელობის წილი და მიღების მეთოდები. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია საწარმოთა მართვისა და სტრუქტურის შესახებ, რაც გულისხმობს ინფორმაციას საწარმოების ძირითადი ან დამატებითი საქმიანობის, ზომის, დაფინანსების წყაროსა და მეწარმეების მიერ საწარმოს მართვასთან

დაკავშირებული რჩევების წყაროს შესახებ. მონაცემები, ასევე, ეფუძნება თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომას.

ძირითადი და დამატებითი საქმიანობა. მეწარმეობა ძირითადი საქმიანობა იყო მფლობელი მამაკაცების 6.5%-სა და მფლობელი ქალების 2.6%-სათვის. მფლობელ მამაკაცთა 1.2%-თვის და მფლობელ ქალთა 0.7%-თვის იგი დამატებით საქმიანობას წარმოადგენდა. ქალაქად შედარებით მეტმა სრულწლოვანმა განაცხადა, რომ საწარმოები, რომლებსაც ისინი ფლობენ, მათთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა (ქალაქად მამაკაცების 9.3%-მა და ქალთა 3.8%-მა, ხოლო სოფლად მამაკაცების 3.4%-მა და ქალთა 0.9%-მა). ამავე დროს, სოფლად უფრო მეტმა სრულწლოვანმა განაცხადა, რომ მათთვის საწარმოები მეორადი საქმიანობა იყო (სოფლად მამაკაცების 1.6%-მა და ქალთა 1.2%, ხოლო ქალაქად მამაკაცების 0.8%-მა და ქალთა 0.4%) (გრაფიკი 3.10).

გრაფიკი 3.10: საწარმოების მფლობელთა წილი სქესისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით ქალაქად და სოფლად (%)




შენიშვნა: საწარმოების მფლობელთა წილი ძირითადი და დამატებითი საქმიანობის მიხედვით, გაანგარიშებულია სრულწლოვანი მამაკაცი (ან ქალი) მეწარმეების რაოდენობიდან, იმის მიუხედავად წარმოადგენდა თუ არა მეწარმეობა ძირითად ან დამატებით საქმიანობს.

საწარმოთა ზომა. როგორც მონაცემებმა აჩვენა, საწარმოთა უმრავლესობა ფუნქციონირებს დაქირავებული თანამშრომლების გარეშე. ასეთ საწარმოებს მამაკაცებზე (82.9%) მეტად ქალები (89.5%) ხელმძღვანელობდნენ. ინდივიდუალური საწარმოს მსგავსი სტრუქტურა ქალაქადაც დაფიქსირდა, სადაც მესაკუთრე ქალების 86.2% და მესაკუთრე მამაკაცების 73.5% მუშაობდა

ინდივიდუალურ მეწარმეებად. ამავე დროს, სოფლად საწარმოთა თითქმის ყველა მესაკუთრე, ანუ მამაკაცების 96.2% და ქალების 93.2%, დამოუკიდებლად მუშაობს (გრაფიკი 3.11).


გრაფიკი 3.11: საწარმოების მფლობელთა წილი სქესისა და საწარმოს ზომის მიხედვით ქალაქად და სოფლად (%)



შენიშვნა: საწარმოს მფლობელობის წილი კონკრეტულ (საწარმოს ზომის) კატეგორიაში წამოადგენს მეწარმეების (ვინც მინიმუმ ერთი საწარმოს მფლობელია) პროცენტულ წილს ამავე კატეგორიაში. ვინაიდან მეწარმე შესაძლოა ფლობდეს რამდენიმე საწარმოს, მონაცემები თითოეული ზომის კატეგორიის მიხედვით შესაძლოა ჯამში 100%-ზე მეტი იყოს.


მეუღლესთან ან პარტნიორთან ერთობლივი მფლობელობა. საშუალოდ, მფლობელების 3.4% ერთობლივად ფლობდა საკუთარ საწარმოს მეუღლესთან ან პარტნიორთან ერთად. გენდერული განსხვავებები დაკვირვებების არასაკმარისი რაოდენობის გამო ჩაითვალა უმნიშვნელოდ.

გრაფიკი 3.12: მეუღლესთან ან პარტნიორთან საწარმოების ერთობლივი მფლობელების წილი სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად (%)




დაფინანსების წყარო. კვლევის ფარგლებში, საწარმოთა მფლობელები პასუხობდნენ კითხვას დაფინანსების წყაროს შესახებ, საწარმოს გაფართოების და/ან კაპიტალის გაუმჯობესებისათვის. თუმცა საწარმოების უმრავლესობის მფლობელები აცხადებდნენ, რომ მათ არც თავიანთი საწარმოები გაუფართოებიათ და არც კაპიტალის გაუმჯობესებაზე უმუშავიათ, რაც საწარმოთა მფლობელ ქალებში უფრო ხშირია (86.3%), ვიდრე მამაკაცებში (79.3%). მათთვის, ვინც საწარმოს გაუმჯობესებას ირჩევს, დაფინანსების მთავარი წყაროს პირადი ან შინამეურნეობის დანაზოგები წარმოადგენდა, რის შესახებაც მამაკაცების 12.9%-მა და ქალების 8.7%-მა განაცხადა (გრაფიკი 3.13).

გრაფიკი 3.13: საწარმოების მფლობელთა წილი სქესისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით (%)



სესხი საწარმოსთვის. საწარმოების მამაკაცი მფლობელების 21.8%-მა და ქალი მფლობელების 18.6%-მა შეავსეს სესხის განაცხადები საწარმოთა გაუმჯობესების დასაფინანსებლად. ქალი და მამაკაცი მფლობელების უმრავლესობას განაცხადები დაუკმაყოფილეს. მთლიანობაში, სოფლად მამაკაცი მფლობელების 16.1%-მა და ქალი მფლობელების 16.5%-მა, ხოლო ქალაქად, მამაკაცი მფლობელების 25.9%-მა და ქალი მფლობელების 20.3%-მა შეავსო სესხის განაცხადი საწარმოებისთვის (გრაფიკი 3.14).


გრაფიკი 3.14: საწარმოების მფლობელთა წილი სესხის განაცხადის სტატუსისა და სქესის მიხედვით, სოფლად და ქალაქად (%)



მართვასთან დაკავშირებული რჩევები. საწარმოების მფლობელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, კითხვაზე, რეგულარულად (თვეში ერთხელ ან ორჯერ) თუ იღებდა რჩევებს საწარმოს მართვის საკითხებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ არავისგან იღებდა ასეთ რჩევებს. ეს მაჩვენებელი მამაკაცებში (46.5%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებში (35.2%). ქალაქად უფრო მაღალი იყო ისეთი მფლობელების წილი (მამაკაცთა 52.0% და ქალები 42.0%), ვისაც მსგავსი ხასიათის რჩევები არ მიუღია, ვიდრე სოფლად (მამაკაცთა 38.7% და ქალები 27.3%).

მეწარმეებს (საწარმოს მფლობელებს), ვისაც ესაჭიროებოდა საწარმოს მართვასთან დაკავშირებული რჩევა, მისი მიღება სხვადასხვა წყაროებიდან შეეძლოთ. ძირითადად, მეწარმეები ასეთ რჩევებს იღებდნენ ოჯახის წევრების ან სხვა ნათესავებისგან (მამაკაცი მეწარმეების 24.9% და ქალი მეწარმეების 34.9%) და მეუღლეების ან პარტნიორებისგან (მამაკაცი მეწარმეების 24.4% და ქალი მეწარმეების 34.1%) (გრაფიკი 3.15).

გრაფიკი 3.15: საწარმოების მფლობელთა წილი, სქესისა და იმის მიხედვით, ვისგან/საიდან იღებდნენ რეგულარულ რჩევებს საწარმოს მართვასთან დაკავშირებით, სოფლად და ქალაქად (%)



თავი 4: პილოტური კვლევის მონაცემთა ხარისხის ანალიზი

მესამე თავში განხილულია აქტივების ფლობის მოდელები პილოტური კვლევიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. პილოტური კვლევის მონაცემების ვალიდურობის დადგენის მიზნით, ამ თავში მოცემულია ანალიზი იმისა თუ რა ნაბიჯები იქნა გადადგმული მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფის მიზნით - სავსე სამუშაოების დაწყებამდე, მათი მიმდინარეობისას და დასრულების შემდგომ ეტაპებზე. წინამდებარე თავის მეორე ნაწილში მოცემულია კვლევიდან მიღებული მონაცემების რელევანტურობისა და სიზუსტის რაოდენობრივი შეფასება. როგორც რელევანტურობისა და სიზუსტის საზომი ერთეული, განსხვავება რესპონდენტების შეწონილ განაწილებასა და ადმინისტრაციულ ან სხვა (გარე) წყაროებიდან მიღებულ განაწილებას შორის გამოყენებულ იქნა კვლევის რეპრეზენტატულობის და მონაცემების ნდობის ინტერვალის შეფასებისთვის.

მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ მამაკაცების 80% და ქალების 76% ფლობს საცხოვრის. სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის წილი მამაკაცებში 48%-ს უდრის, ხოლო ქალებში 34%-ს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემებს შერჩევითი ცდომილების დასაშვები სიდიდე გააჩნია, მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის განხორციელებული სამუშაოების ხარისხის დეტალური შეფასება.

4.1 ხარისხის კონტროლი კვლევის სავსე სამუშაოების დაწყებამდე

4.1.1 კითხვარის დიზაინი

კვლევის კითხვარების მორგება ქვეყნის სპეციფიკაზე და კითხვარის შევსების სახელმძღვანელო დაფუძნებული იყო აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და პილოტური კვლევის “მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის” სტანდარტულ ინსტრუმენტარზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მუშაობდა კვლევის ინსტრუმენტარის მოდიფიცირებაზე, აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს სტატისტიკის განყოფილების (UNSD) დახმარებით და მათთან თანამშრომლობის გზით. მუშაობის პროცესში, სტანდარტული კითხვარიდან ამოღებული იქნა ქვეყნის სპეციფიკისთვის შეუსაბამო ზოგიერთი კითხვა და მოდული. მაგალითად, მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მოდული და კითხვები საცხოვრისისა და მიწის ნაკვეთის მფლობელობის სტატუსის შესახებ.

კითხვარები ითარგმნა ქართულ ენაზე. თარგმნის პროცესმა არ გამოავლინა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებსაც შეეძლო მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გაუგებრობა გამოწვია სავსე სამუშაოების დროს.

კვლევის სანდოობა დამოკიდებულია კითხვარის შინაარსის და გამოკითხვის ხარისხზე. EDGE კვლევის მიმდინარეობისას, მონაცემთა შეგროვება განხორციელდა კვლევის სტანდარტული დოკუმენტების შესაბამისად. გაეროს სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების შესაბამისად და აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით, საველე პერსონალისათვის მომზადდა კითხვარის სამუშაო ვერსია და შესაბამისი ინსტრუქციები. ზემოაღნიშნული კითხვარი და ინსტრუქციები (ინტერვიუერებისთვის, საველე ზედამხედველებისა და მონაცემთა დამუშავების ჯგუფისთვის) გადაიხედა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა კვლევის ტესტირების შედეგების და საქსტატის ანალიტიკოსების გამოცდილების გათვალისწინებით. საველე პერსონალის სახელმძღვანელოსთან ერთად მომზადდა მონაცემთა ლოგიკური კონტროლების ნუსხა, რომლიც გამოყენებულ იქნა მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერის, ლოგიკური შემოწმების და გაწმენდის პროცესში.

შინამეურნეობის წევრთა დემოგრაფიული მახასიათებლები, ისევე როგორც სრულწლოვან წევრთა მიერ სხვადასხვა აქტივის ერთპიროვნული ან ერთობლივად (სხვასთან ერთად) მფლობელობის შესახებ მონაცემების შეგროვება, მოხდა შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარების მეშვეობით. შინამეურნეობის კითხვარის დანიშნულებას წარმოადგენდა შინამეურნეობის ყველა წევრის დემოგრაფიული და ეკონომიკური მაჩვენებლის შეგროვება. ინდივიდუალური კითხვარი მომზადდა შინამეურნეობის ყველა წევრის (მათ შორის რესპონდენტის) მფლობელობაში არსებული ფიზიკური და ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. აქტივებს ფლობა შესაძლებელი იყო, როგორც ერთპიროვნულად, ისე ერთობლივად (სხვასთან ერთად). ინდივიდუალურ კითხვარში შემავალი მოდულების გამოყენებით მოხდა ინფორმაციის შეგროვება ისეთი აქტივების შესახებ, როგორცაა: ძირითადი საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები, სხვა უძრავი ქონება, ხანგრძლივი მოხმარების საგნები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებები და ძვირფასეულობა.

კითხვარის და ინსტრუქციის ტესტირება მოხდა 2015 წლის აგვისტოში. ტესტირებაში მონაწილე ჯგუფი დაკომპლექტებული იყო საქსტატის თანამშრომლების, საველე ზედამხედველების, აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს სტატისტიკის განყოფილების წარმომადგენლებით. ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, ქვეყნის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კითხვარმა განიცადა გარკვეული ცვლილებები.

კერძოდ, დადგინდა, რომ მცირე სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების მოდული და კითხვები საცხოვრისის და ნაკვეთის მფლობელობის სტატუსის შესახებ შეუსაბამო იყო ქართულ რეალობასთან. ამასთან, საგრძნობლად შეიცვალა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების სია. ზოგიერთ კითხვას დაემატა პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“. უმეტესწილად ეს ვარიანტი დაემატა კითხვებს, სადაც რესპონდენტს უნდა მიეთითებინა კონკრეტული აქტივის მიღების ან შესყიდვის წელი. პასუხის ვარიანტები „დამსაქმებელი“ და „ინდივიდუალური

მუშაკი“ გაიყო სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებად. ასევე, დადგინდა, რომ კითხვა ნიადაგის ტიპის შესახებ საკმაოდ რთული იყო რესპონდენტებისთვის და სანდო მონაცემების მიღების საშუალებას არ იძლეოდა. ფინანსური აქტივების სია უფრო ზუსტად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ქართული რეალობის შესაბამისად. ასევე, ამოღებულ იქნა კითხვა სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის ტიპს შესახებ, რადგან მხოლოდ ერთპიროვნულ და ერთობლივ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები უნდა ყოფილიყო შეტანილი კითხვარში (იჯარით აღებული მიწის ასახვა არ უნდა მომხდარიყო). ამასთან, კერძო საკუთრების გარდა, მიწის სხვა მფლობელობის ფორმები (მაგალითად, იჯარით ფლობის უფლება) საქართველოში არ არსებობს.

4.1.2 ტრენინგი და საველე სამუშაოები

ტრენინგი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი საორიენტაციო ეტაპი განკუთვნილი იყო ტრენერებისათვის, ხოლო მეორე - ინტერვიუერებისა და ზედამხედველებისთვის. საქსტატმა მოამზადა ტრენინგის პროგრამა აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს სტატისტიკის განყოფილების ექსპერტების დახმარებით.

აზიის განვითარების ბანკისა და გაეროს სტატისტიკის განყოფილების ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენერების ტრენინგი საქსტატის პერსონალისათვის. შემდეგ, განხორციელდა ტრენინგის მეორე ეტაპი, რომელიც შედგებოდა ლექციების, საცდელი და პრაქტიკული საველე ინტერვიუებისგან. ტრენინგის ჩატარების პროცესში აზიის განვითარების ბანკის ექსპერტი მონაწილეობდა და საჭიროების შემთხვევაში იძლეოდა შესაბამის განმარტებებს ტრენინგის მსვლელობისას. ზოგიერთი მოდულისთვის ჩატარდა როლური თამაშების სესიები, სადაც ინტერვიუერები ერთმანეთს უტარებდნენ ინტერვიუს. ასეთი სესიების დროს შევსებულ კითხვარებში დაშვებული შეცდომების განხილვა სასარგებლო აღმოჩნდა.

ტრენერთა 5-დღიანი ტრენინგი და პილოტური კვლევა 2015 წლის აგვისტოში ჩატარდა საგულდაგულოდ შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში, თბილისთან ახლოს. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 30 ადამიანი.

EDGE პროექტის ფარგლებში, შერჩეული ზედამხედველებისა და ინტერვიუერისთვის ტრენინგები ჩატარდა რვა რეგიონულ ცენტრში, სადაც ორი ტრენერისგან შემდგარი თითოეული გუნდი ატარებდა ოთხდღიან ტრენინგებს.

ცხრილი 4.1: ზედამხედველების და ინტერვიუების ტრენინგის ადგილი, თარიღი და მონაწილეების რაოდენობა

რეგიონი	ქალაქი	თარიღი	ზედამხედველების რაოდენობა	ინტერვიუთა რაოდენობა
მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	26–29 სექტემბერი 2015	2	13
კახეთი	თელავი	26–29 სექტემბერი 2015	3	18
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ქუთაისი	26–29 სექტემბერი 2015	2	22
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	26–29 სექტემბერი 2015	3	16
თბილისი	თბილისი	26–29 სექტემბერი 2015	4	31
აჭარის ა. რ. და გურია	ბათუმი	30 სექტემბერი – 3 ოქტომბერი 2015	5	28
შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	გორი	30 სექტემბერი – 3 ოქტომბერი 2015	5	27
ქვემო ქართლი	რუსთავი	30 სექტემბერი – 3 ოქტომბერი 2015	3	18

4.2 ხარისხის კონტროლი კვლევის საველე სამუშაოების მსვლელობის დროს

4.2.1 საველე სამუშაოები

EDGE კვლევის საბოლოო შედეგის სიზუსტე დამოკიდებული იყო შინამეურნეობების კვლევისას მონაცემთა შეგროვების ხარისხზე. ინტერვიუების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის და დაუყოვნებელი ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად, კვლევის საველე სამუშაოების დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში ტრენინგები ესტუმრნენ ყველა რეგიონს. ვიზიტების მსვლელობისას ტრენინგებმა შეამოწმეს შევსებული კითხვარები, განიხილეს გამოვლენილი ხარვეზები ინტერვიუებთან და რეგიონულ ზედამხედველებთან ერთად და მისცეს შესაბამისი მითითებები.

EDGE კვლევის ზედამხედველებისთვის საქსტატმა მოამზადა სია, რომელშიც მოყვანილი იყო ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვადასხვა აქტივობები და პროცედურები იმისთვის,

რომ მონაცემთა შეგროვების ხარვეზების გამოვლენა მომხდარიყო სავსე სამუშაოების ადრეულ ეტაპზე.

სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქსტატის სათაო ოფისის მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა თითოეული ინტერვიუერი. მათ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეამოწმეს ერთი ინტერვიუერის მიერ გამოკითხული მინიმუმ ორი შინამეურნეობა, მცირე ზომის კითხვარების გამოყენებით. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების შედარებამ კვლევის მონაცემებთან მნიშვნელოვანი პრობლემები არ გამოავლინა.

პილოტურმა კვლევამ გამოაშკარავა რამდენიმე დამატებითი საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო კვლევის პრაქტიკულ ასპექტებთან და კითხვარის დიზაინთან. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ინტერვიუს ჩატარება რთული იყო მაშინ, როდესაც ყველა შერჩეული რესპონდენტი სახლში იმყოფებოდა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გამოკითხვის დროს შინამეურნეობის მხოლოდ ერთი სრულწლოვანი წევრი იყო სახლში. ამის მთავარი მიზეზი სავსე სამუშაოების პერიოდი - გვიანი ზაფხული და შემოდგომა - იყო, რომელიც სოფლად ყველაზე აქტიურ პერიოდს წარმოადგენს.

ამასთან, როგორც ძირითადად სტატისტიკური კვლევების დროს ხდება, რესპონდენტებს ინტერვიუერები სოციალური აგენტები ეგონათ. ამის გამო, მათ უწევდათ კვლევის მიზნების დეტალური განმარტება, რათა შეცდომაში არ შეეყვანათ რესპონდენტი.

4.2.2 შერჩევის დიზაინი

შერჩევის პირველადი ერთეული (შპე) წარმოადგენდა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის სააღწერო უბანს, ხოლო შერჩევის მეორადი ერთეული (შმე) იყო შინამეურნეობის მისამართი შერჩეულ შპე-ებში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

გარკვეული მნიშვნელოვანი ინდიკატორების გათვალისწინებით, რომლებიც კვლევის საგანს წარმოადგენდა და შერჩევის ზომის განსაზღვრისთვის საჭირო სხვა პარამეტრების გამოყენებით, ასევე, კვლევის რესურსებზე დაყრდნობით, განისაზღვრა კვლევის შერჩევის ზომა - 2,528 შინამეურნეობის მისამართი 158 შპე-ში. თითო უბანში მოხდა 16 შინამეურნეობის მისამართის შერჩევა.

ქვეყანა დაყოფილია 10 რეგიონად. შემდგომში თითოეული რეგიონი დაიყო სამ ჯგუფად, დასახლების ტიპების მიხედვით (დიდი ქალაქი, საშუალო/მცირე ზომის ქალაქი და სოფელი). სტრატეგი განისაზღვრა რეგიონისა და დასახლებების ტიპის ცვლადების კომბინაციით და მათი რაოდენობა 25-ს შეადგენდა. დიდი, საშუალო და მცირე ზომის ქალაქები წარმოადგენდნენ ქალაქის ტიპის დასახლებებს, ხოლო სოფლები - სოფლის ტიპის დასახლებებს.

ქვეყნის მოსახლეობის 56.8% ცხოვრობს ქალაქად. მოსახლეობის თითქმის მესამედი ცხოვრობს დედაქალაქში, თბილისი.

აქვე უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი საკითხი:

- i. ემპირიული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების ცვალებადობა მეტწილად უფრო მაღალია ქალაქად, ვიდრე სოფლად. ეს ეხება რაოდენობრივი ცვლადების უმეტესობას, როგორცაა, მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯები, დამატებული ღირებულება, დაწესებულების შემოსავალი, კაპიტალის ფორმირება და სხვა. ამის გათვალისწინებით, შპე-ების სოფლად და ქალაქად განაწილებისას, თითოეულ რეგიონში ქალაქის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების რიცხვი (დიდი, საშუალო და მცირე ზომის ქალაქები) გაიზარდა 25 პროცენტით. შესაბამისად, კვლევისთვის შეირჩა 86 საქალაქო და 72 სასოფლო შპე.

ცხრილი 4.2: შერჩევის პირველადი ერთეულების შერჩევა რეგიონების მიხედვით

რეგიონები	დიდი ქალაქი	საშუალო და მცირე ზომის ქალაქი	სოფელი	სულ
თბილისი (დედაქალაქი)	28	0	2	30
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	8	2	8	18
გურია	0	2	6	8
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6	6	10	22
კახეთი	0	6	10	16
მცხეთა-მთიანეთი	0	2	6	8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	4	8	16
სამცხე-ჯავახეთი	0	4	6	10
ქვემო ქართლი	6	2	8	16
შიდა ქართლი	4	2	8	14
საქართველო, სულ	56	30	72	158

- ii. მომდევნო საკითხს წარმოადგენდა თითოეულ შპე-ში შესარჩევი შინამეურნეობების რაოდენობა. თითოეულ შპე-ში გამოსაკვლევი შინამეურნეობების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა განპირობებული იყო საშუალო ხარჯებით ერთ შპე-ზე და ერთ შინამეურნეობაზე, იმავდროულად კლასში არსებული კორელაციის, დიზაინ ეფექტის და მაჩვენებლების სასურველი სიზუსტის გათვალისწინებით. მრავალი მიზეზის გამო, ყველა ეს მონაცემი ხშირად არაა ხელმისაწვდომი. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება ქვეყანაში ან მეზობელ ქვეყნებში ჩატარებული სხვა კვლევების გამოცდილება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კვლევების უმრავლესობაში, თითოეულ შპე-ში შინამეურნეობების ოპტიმალური რაოდენობა იყო 8-16. ზემოაღნიშნულისა და კვლევის რესურსების გათვალისწინებით, თითოეულ შპე-ში შეირჩა 16 შინამეურნეობა. თითოეულ შპე-ში, შემთხვევითი შერჩევის

მეთოდის გამოყენებით 8 შინამეურნეობა შეირჩა მეორე დონის სტრატეგიიდან 1 (მდს-1), ხოლო დანარჩენი 8 - მეორე დონის სტრატეგიიდან 2 (მდს-2).²⁰

პირველ საფეხურზე, შპე-ების (სააღწერო უბნების) შერჩევა თითოეული სტრატეგიიდან განხორციელდა ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდის გამოყენებით, სადაც ზომა არის შინამეურნეობების რაოდენობა შპე-ში. შინამეურნეობების შერჩევა განხორციელდა სისტემატური შერჩევის გზით. შერჩევის საწყის წერტილს წარმოადგენდა შემთხვევითი სიდიდე თითოეულ მდს-ში.

სხვა კვლევების გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი გამოუპასუხებლობის დონე 20%-ის დონეზე დადგინდა. საბოლოოდ, შპე-ში 16 შევსებული კითხვარის უზრუნველყოფის მიზნით, მდს-1-ში და მდს-2-ში დამატებით შეირჩა 20%, რაც თითოეულ მეორე დონის სტრატეგიაში 10 შინამეურნეობას უდრის.

4.3 ხარისხის კონტროლი კვლევის სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ

4.3.1 მონაცემთა დამუშავება

მას შემდეგ, რაც ინტერვიუებმა დაასრულეს კვლევის მონაცემების შეგროვება (ქალაქის კითხვარების გამოყენებით), ზედამხედველებმა განხორციელეს მონაცემების პირველადი ლოგიკური კონტროლი და კითხვარების საქსტატის ცენტრალურ ოფისში მიწოდება შემდგომი დამუშავებისთვის.

ჯამში 10 რეგიონში (თბილისის ჩათვლით) ინტერვიუების სამუშაოს ზედამხედველობას უწევდა 27 რეგიონული ზედამხედველი: თბილისში - 4, ხუთ რეგიონში - 3 და ოთხ რეგიონში - 2 ზედამხედველი.²¹

რეგიონულმა ზედამხედველებმა განახორციელეს მონაცემების პირველადი ლოგიკური კონტროლი შემდეგი მონაცემების სისწორის უზრუნველყოფის მიზნით: იდენტიფიკაციის ნაწილი, ინტერვიუების რაოდენობა, ინტერვიუებისა და რესპონდენტების კოდები, თარიღები და ა.შ. ასევე, მათ ფუნქციაში შედიოდა შევსებული კითხვარების მიწოდება საქსტატის ცენტრალურ ოფისში. რეგიონულმა ზედამხედველებმა მოამზადეს დოკუმენტები შევსებული კითხვარების ან რესპონდენტების რაოდენობის მითითებით და გადააგზავნეს შევსებულ კითხვარებთან ერთად თბილისის ცენტრალურ ოფისში.

მონაცემთა კომპიუტერში ჩაწერამდე, ოთხი კაცისგან შემდგარმა ლოგიკური კონტროლის ჯგუფმა (ლკჯ) განახორციელა ინფორმაციის ლოგიკური კონტროლი და კოდირება. პირველადი ლოგიკური კონტროლის შემდეგ, რვაკაციანმა ოპერატორების ჯგუფმა (DEOG) განახორციელა

²⁰ მდს-1 შეიცავდა შინამეურნეობებს სამი ან მეტი სრულწლოვანი წევრით, ხოლო მდს-2 - შინამეურნეობებს ორი ან ნაკლები სრულწლოვანი წევრით.

²¹ იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი გაერთიანებული იყო ერთ რეგიონად.


მონაცემთა პირველი ჩაწერა კომპიუტერში. მონაცემთა ჩაწერის პროგრამა მოიცავდა კითხვარის გადასვლებსაც, რაც ასევე უზრუნველყოფდა კითხვარის სხვადასხვა ნაწილების შესაბამისობას ერთმანეთთან და მათ ლოგიკურ სისწორეს. მონაცემების პირველადი ჩაწერის შემდეგ, განხორციელდა მეორადი ჩაწერა განსხვავებულ მონაცემთა ბაზაში და პროგრამამ ერთმანეთს შეადარა ორი მონაცემთა ბაზა. როდესაც ორ ბაზას შორის ფიქსირდებოდა განსხვავება, ოპერატორი ამოწმებდა შესაბამის კითხვარს და აფიქსირებდა სწორ მონაცემს.

აღსანიშნავია, რომ ორმაგი ჩაწერის დროს, მონაცემების კორექტირება ხდებოდა „რეალურ დროში“, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც პროგრამა ახდენდა განსხვავებული მონაცემის იდენტიფიცირებას, ოპერატორს ჯერ არ ჰქონდა დასრულებული მუშაობა ამ კონკრეტული კითხვარის ჩაწერაზე. შესაბამისად, ორი მონაცემთა ბაზის შედარება და მონაცემების ჩასწორება არ საჭიროებდა შესაბამისი კითხვარის მოძიებას. ორმაგი ჩაწერის პროგრამა ამოწმებდა განსხვავებებს ჩანაწერების რაოდენობაში (მაგ. შინამეურნეობის წევრების ან აქტივების შესაბამისი ჩანაწერების რაოდენობა), ისევე როგორც ცვლადის მნიშვნელობებში (ტექსტური, მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის შემცველ და დროის ფორმატის მქონე ველების გარდა). ორმაგი ჩაწერის შედეგად მიღებულ იქნა ორი იდენტური მონაცემთა ბაზა და შეცდომებისა და შესწორებების ნუსხა (რაც თავდაპირველი მონაცემების აღდგენის შესაძლებლობას იძლეოდა). ორმაგი ჩაწერის საშუალებით თითოეული კითხვარის გადამოწმების შემდეგ, შესაბამისი მონაცემები ავტომატურად ჩაიწერა ცალკე მონაცემთა ბაზაში.

მას შემდეგ, რაც კითხვარების შესაბამისი (ჩაწერისა და ორმაგი ჩაწერის გამოყენებით დაზუსტებული) მონაცემების ფორმირება დასრულდა, ლგჯ-მა სპეციალური პროგრამის გამოყენებით განახორციელა ლოგიკური კონტროლი, რომელიც მოიცავდა კითხვარის გადასვლების შემოწმებასაც. მონაცემთა ბაზაში აისახა ინფორმაცია ლოგიკური შეცდომების შესახებ, რომელიც შეიცავდა კონკრეტული შეცდომის/უზუსტობის შინაარსს, ცვლადის იდენტიფიკატორს, შეცდომის გასწორების თარიღისა და დროის შესახებ მონაცემებს. ლგჯ-ის წევრები, შეცდომების გასწორებისას ვალდებულნი იყვნენ მიეთითებინათ შეცდომის მიზეზი (წყარო). ლოგიკური კონტროლის დასრულების შემდეგ, ხუთკაციანმა მონაცემთა გაწმენდის ჯგუფმა განახორციელა დარჩენილი უზუსტობების კომპიუტერული კორექტირება წინასწარ განსაზღვრული კონტროლებისა და პროცედურების გამოყენებით.

გრაფიკში 4.1 მოყვანილია მონაცემთა დამუშავების პროცესის სტრუქტურა, ცალკეული აქტივობების მიხედვით.

გრაფიკი 4.1: მონაცემთა დამუშავების საფეხურები



4. 3.2 წონების გაანგარიშება

შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იყო 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგებოდა არაინსტიტუციონალური შინამეურნეობებისგან და მოიცავდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს.

შერჩევის ჩარჩოსა და შპე-ის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებში სხვაობები არ დაფიქსირებულა. თუმცა, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ შინამეურნეობების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილების გამო, გამოვლინდა შინამეურნეობები განსხვავებული სრულწლოვანთა რაოდენობით. შედეგად, 184 შემთხვევაში შინამეურნეობებმა მდს-1-დან (შინამეურნეობა სამი ან მეტი სრულწლოვანი წევრით) გადაინაცვლეს მდს-2-ში (დანარჩენი შინამეურნეობები) და 143 შემთხვევაში - პირიქით (მდს-2-დან მდს-1-ში).

მთლიანობაში, 88 შპე შეირჩა სოფლად და 70 შპე ქალაქად. თითოეულ შპე-ში შეირჩა 20 შინამეურნეობა, რომელთა ნახევარი იყო (10) მდს-1-დან და დარჩენილი 10 - მდს-2-დან. გამოკვლევა ჩატარდა ყველა მდს-ში.

საერთო ჯამში 1,760 შპე შეირჩა ქალაქად და მათ შორის გამოიკითხა 1,495 (84.9%). ხოლო სოფლად 1,400 შპე-ს შერჩევა მოხდა, რომელთაგან გამოიკითხა 1,288 (92%).

სტატისტიკურ კვლევებში წონა ასახავს სამიზნე ერთობლიობაში არსებული ერთეულების ჯამს, რომელსაც წარმოადგენს თითოეული შერჩეული ერთეული. ამ შემთხვევაში სამიზნე ერთობლიობა შეესაბამება შინამეურნეობის ყველა სრულწლოვან წევრს ქვეყანაში ან ცალკეულ გეოგრაფიულ არეალში.

სტატისტიკური წონები ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომისთვის

ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომით, რესპონდენტების მიერ თვით-განცხადებული და სხვა რესპონდენტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის ერთობლიობა წარმოადგენს ინფორმაციას შინამეურნეობის დონეზე. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს მფლობელობის ყველაზე ფართო განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც თუ პირი იდენტიფიცირებულია როგორც მფლობელი მინიმუმ ერთი რესპონდენტის მიერ, იგი მფლობელად ჩაითვლება.

ამგვარად, ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომის შემთხვევაში სტატისტიკური წონების გაანგარიშება გენერალური ერთობლიობის პარამეტრების შეფასებისათვის ტიპური შინამეურნეობის კვლევების შეწონვის მსგავსია.

წონების გაანგარიშებისას შემდეგი აღნიშვნები იქნა შემოღებული:

i = სტრატა,

j = შერჩევის პირველადი ერთეული (შპე),

k = მეორე დონის სტრატა 1 ან 2 (მდს-1 ან მდს-2),

H_{ij} = შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობა i -ური სტრატის j -ურ შპე-ში,

H_{ijk} = შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობა i -ური სტრატის, j -ური შპე-ს k -ურ მდს-ში,

h_{ijk} = გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა i -ური სტრატის, j -ური შპე-ს k -ურ მდს-ში,

n_i = შერჩეულ შპე-თა რაოდენობა i -ურ სტრატაში,

$H_i = \sum_j H_{ij}$ = შინამეურნეობების ჯამური რაოდენობა i -ურ სტრატაში (აღწერის მონაცემთა ბაზიდან).

წონების გაანგარიშება მოხდა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

განტოლება 1: ზომის პროპორციული აღბათობის ორსაფეხურიანი დიზაინი

წონები
$\frac{H_i}{n_i} \times \frac{1}{H_{ij}} \times \frac{H_{ijk}}{h_{ijk}}$

სტატისტიკური წონები თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომისთვის

თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომაში გათვალისწინებული იყო მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემები, სადაც ანალიზისთვის გამოყენებული იყო ინფორმაცია რესპონდენტის მფლობელობაში არსებული აქტივების შესახებ. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული რესპონდენტის მფლობელობის შესახებ სხვა რესპონდენტის მიერ მოწოდებული (დამხმარე) ინფორმაცია გათვალისწინებული არ იყო. ამრიგად, თუ შერჩევის დიზაინი მოგვცემდა საშუალებას, თვით-განცხადებული მფლობელობის მონაცემთა შესაგროვებლად გამოგვეკითხა შინამეურნეობის ყველა სრულწლოვანი წევრი (თითოეული წევრის შერჩევის 100%-იანი ალბათობით), მაშინ წონების გაანგარიშება მოხდებოდა იმავე მეთოდით, როგორც ეს შინამეურნეობების კვლევებში ხდება, რაც მოგვცემდა ნებისმიერი პარამეტრის შეფასების საშუალებას. თუმცა, EDGE კვლევაში თითოეული შინამეურნეობიდან შეირჩა მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი. ამან გამოიწვია შერჩევის პროცესში დამატებითი ეტაპის საჭიროება, რაც გულისხმობს სამი სრულწლოვანის შერჩევას ისეთ შინამეურნეობებში, სადაც იყო სამზე მეტი სრულწლოვანი წევრი. აქედან გამომდინარე, მონაცემების გაანგარიშების და შეწონვის პროცედურა განსხვავებული უნდა ყოფილიყო ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომაში გამოყენებული პროცედურისგან. შესაბამისად, ინდივიდუალური წონის მისაღებად, შინამეურნეობის ყოველ წევრს მიენიჭა დამატებითი წონა და გამრავლდა შინამეურნეობის ჩვეულებრივ წონაზე.

კვლევის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა შემთხვევები იქნა განხილული ფაქტიურად ჩატარებულ გამოკითხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ ჩატარდა გამოკითხვა თავდაპირველად შერჩეულ სრულწლოვან წევრთან ან თუ მოხდა რესპონდენტის ჩანაცვლება მისი არყოფნის (ან უარის) გამო. ყოველი ასეთი შემთხვევისათვის გაანგარიშების პროცედურა მიზნად ისახავდა სამიზნე პარამეტრების დიზაინზე დაფუძნებული წაუნაცვლებელი შეფასებების მიღებას, თუმცა ადგილი ჰქონდა დიზაინზე დაფუძნებული შეფასებებიდან მცირე გადახვევებს ინდივიდუალურ დონეზე გამოუპასუხებლობის გათვალისწინებით სამიზნე პარამეტრების რეალისტური შეფასებების მისაღებად. ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი ინდივიდუალურ დონეზე დამატებითი წონების მინიჭების პროცედურა სხვადასხვა შემთხვევებისათვის.

A. შინამეურნეობები სამი ან ნაკლები სრულწლოვანი წევრით

შინამეურნეობაში სამი ან ნაკლები სრულწლოვანი წევრის არსებობის შემთხვევაში, ყველა სრულწლოვანი შეირჩა ინტერვიუსთვის (ე. ი. შერჩევის ალბათობით ერთი) და შესაბამისად, თითოეულ მათგანს მიენიჭა წონა 1.

B. შინამეურნეობა სამზე მეტი სრულწლოვანი წევრით

შინამეურნეობაში ოთხი ან მეტი სრულწლოვანი წევრის არსებობის შემთხვევაში (რაოდენობა აღნიშნოთ M-ით), გამოიკითხა მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სამი რესპონდენტი შერჩეულ იქნა ზოგადი წესის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა

ძირითადი წყვილის ორივე წევრის ან ძირითადი რესპონდენტის (შინამეურნეობებში ძირითადი წყვილის გარეშე) შერჩევას ერთის ტოლი ალბათობით, ხოლო მესამე რესპონდენტის (ან მეორე და მესამე რესპონდენტის შინამეურნეობებში ძირითადი წყვილის გარეშე) შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩევას, ქვემოთ მოცემულია ინდივიდუალურ დონეზე წონების მინიჭების პროცედურები სხვადასხვა შემთხვევისათვის.

(i) შინამეურნეობები ძირითადი წყვილით:

- (a) თუ შინამეურნეობაში ცხოვრობდა ძირითადი წყვილი, ორივე შეირჩა ინტერვიუსთვის ერთის ტოლი შერჩევის ალბათობით, ხოლო მესამე სრულწლოვანი შეირჩა შემთხვევითი პრინციპით დანარჩენი სრულწლოვანი წევრებისგან (ე. ი. (M-2) სრულწლოვანიდან). აქედან გამომდინარე, წონა „1“ მიენიჭა ძირითადი წყვილის თითოეულ წევრს, ხოლო წონა (M-2) მიენიჭა მესამე სრულწლოვან წევრს.
- (b) თუ ძირითადი წყვილიდან ვერ მოხერხდა ერთ-ერთის გამოკითხვა და მის მაგივრად არ გამოიკითხა სხვა დამატებითი სრულწლოვანი წევრი გამოუპასუხებლობის/არყოფნის გამო, მაშინ გამოკითხული წევრი ძირითადი წყვილიდან განისაზღვრა, როგორც შემთხვევით შერჩეული ორიდან $\frac{1}{2}$ ალბათობით და მიენიჭა წონა 2. გამოკითხული მესამე სრულწლოვანი შეირჩა $\frac{1}{M-2}$ ალბათობით და მიენიჭა წონა (M-2). თუმცა, თუ ძირითადი წყვილის ის წევრი, რომლის გამოკითხვა ვერ მოხერხდა ჩანაცვლდა დამატებითი, შემთხვევითად შერჩეული სრულწლოვანით, და მივიღეთ 1 ძირითადი და 2 შემთხვევითად შერჩეული სრულწლოვანი, გამოყენებულ იქნა (a) პუნქტში აღწერილი პროცედურა.
- (c) თუ გამოიკითხა მხოლოდ მესამე შერჩეული სრულწლოვანი, ხოლო ძირითადი წყვილიდან - არცერთი, მაშინ შერჩეული სრულწლოვანი განისაზღვრა როგორც შინამეურნეობის ყველა სრულწლოვანი წევრის წარმომადგენელი. ამგვარად, მისი შერჩევის ალბათობა იყო $\frac{1}{M}$ და მიენიჭა წონა M. თუმცა, თუ დამატებითი სრულწლოვანი შეირჩა შემთხვევითი პრინციპით დარჩენილი სრულწლოვანი წევრებისგან გამოუპასუხებლობის ასანაზღაურებლად, მაშინ შინამეურნეობის ყველა გამოკითხული სრულწლოვანი წევრი (მაქსიმუმ 3) შეიწონა, როგორც შემთხვევითად შერჩეული შინამეურნეობის M სრულწლოვანი წევრები. ამგვარად, გამოკითხულ წევრებს მიენიჭა წონა - M/გამოკითხული სრულწლოვანი წევრების რაოდენობა.
- (d) თუ ძირითადი წყვილის ორივე წევრი გამოიკითხა, მაგრამ ვერ მოხერხდა მესამე შერჩეული რესპონდენტის გამოკითხვა (მისი სხვა, შემთხვევით შერჩეული, სრულწლოვანით ჩანაცვლების მცდელობის მიუხედავად) გამოუპასუხებლობის/არყოფნის გამო, მაშინ ძირითადი წყვილის წევრები შეიწონა როგორც 2 შემთხვევით შერჩეული წევრი, რომლებიც წარმოადგენდნენ

შინამეურნეობის ყველა (M) სრულწლოვან წევრს შერჩევის ალბათობით $2/M$ და თითოეულ მათგანს მიენიჭა წონა $M/2$.

- (e) თუ გამოიკითხა ძირითადი წევლის მხოლოდ ერთი წევრი და ვერ მოხერხდა მეორე და მესამე სრულწლოვანი რესპონდენტის გამოკითხვა (მათი სხვა წევრებით ჩანაცვლების მცდელობის მიუხედავად), მაშინ ძირითადი წევლის ერთადერთ გამოკითხულ წევრს მიენიჭა წონა M.

ცხრილი 4.3: სტატისტიკური წონები შინამეურნეობებისთვის ძირითადი წევლით

გამოკითხული			შერჩევის ალბათობა			წონა		
ძირითადი წევლი		მესამე რესპონდენტი	ძირითადი წევლი		მესამე რესპონდენტი	ძირითადი წევლი		მესამე რესპონდენტი
ძირითადი რესპონდენტი	მეუღლე		ძირითადი რესპონდენტი	მეუღლე		ძირითადი რესპონდენტი	მეუღლე	
დიახ	დიახ	დიახ	1	1	$1/(M-2)$	1	1	$(M-2)$
დიახ	არა	დიახ	$1/2$	0	$1/(M-2)$	2	0	$(M-2)$
არა	დიახ	დიახ	0	$1/2$	$1/(M-2)$	0	2	$(M-2)$
დიახ	დიახ	არა	$2/M$	$2/M$	0	$M/2$	$M/2$	0
არა	არა	დიახ	0	0	$1/M$	0	0	M
არა	დიახ	არა	0	$1/M$	0	0	$M/2$	0
დიახ	არა	არა	$1/M$	0	0	M	0	0

- აღნიშვნები:
1. "დიახ" - შერჩეული რესპონდენტი გამოიკითხა
 2. "არა" - ვერ მოხერხდა შერჩეული რესპონდენტის გამოკითხვა გამოუპასუხებლობის გამო
 3. "M" - სრულწლოვანი წევრების მთლიანი რაოდენობა შინამეურნეობაში

წყარო: აზიის განვითარების ბანკი. (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია

(ii) შინამეურნეობები „ძირითადი წევლის“ გარეშე (ე. ი. შინამეურნეობაში არის ძირითადი რესპონდენტი, თუმცა მეუღლე/პარტნიორი არ ცხოვრობს იმავე შინამეურნეობაში)

- a) თუ შინამეურნეობაში ძირითადი წევლი არ არსებობს, მაგრამ არის ძირითადი რესპონდენტი, მისი შერჩევა მოხდა ერთის ტოლი ალბათობით. დანარჩენი 2 სრულწლოვანი შეირჩა შემთხვევითი შერჩევით $(M-1)$ სრულწლოვანიდან. ამგვარად, ძირითად რესპონდენტს მიენიჭა წონა 1 და შემთხვევითად შერჩეულ ორ რესპონდენტს - $(M-1)/2$.
- b) თუ ვერ მოხერხდა ძირითადი რესპონდენტის გამოკითხვა გამოუპასუხებლობის/არყოფნის გამო, მაშინ 2 შემთხვევით შერჩეული სრულწლოვანი განისაზღვრა, როგორც შემთხვევით შერჩეული ყველა M

სრულწლოვანიდან და მიენიჭათ შერჩევის ალბათობა $2/M$ და წონა $M/2$. თუმცა, თუ ძირითადი რესპონდენტი ჩანაცვლდა შინამეურნეობის სხვა სრულწლოვანი წევრით, მაშინ სამ შემთხვევითად შერჩეულ სრულწლოვანს მიენიჭა თანაბარი წონა - $M/3$.

- c) თუ გამოიკითხა მხოლოდ ძირითადი რესპონდენტი და ვერ მოხერხდა ორი შემთხვევითად შერჩეული სრულწლოვანის გამოკითხვა (მისი სხვა სრულწლოვანით ჩანაცვლების მცდელობის მიუხედავად) გამოუპასუხებლობის/არყოფნის გამო, მაშინ ძირითადი რესპონდენტის შერჩევის განისაზღვრა როგორც $1/M$ და მიენიჭა წონა M .

ცხრილი 4.4 სტატისტიკური წონები შინამეურნეობებისთვის ძირითადი წევრის გარეშე

გამოკითხული			შერჩევის ალბათობა			წონა		
ძირითადი რესპონდენტი	მეორე რესპონდენტი	მესამე რესპონდენტი	ძირითადი რესპონდენტი	მეორე რესპონდენტი	მესამე რესპონდენტი	ძირითადი რესპონდენტი	მეორე რესპონდენტი	მესამე რესპონდენტი
დიახ	დიახ	დიახ	1	$2/(M-1)$	$2/(M-1)$	1	$(M-1)/2$	$(M-1)/2$
დიახ	დიახ	არა	1	$1/(M-1)$	0	1	$(M-1)$	0
დიახ	დიახ	დიახ	0	$2/M$	$2/M$	0	$M/2$	$M/2$
დიახ	არა	დიახ	1	0	$1/(M-1)$	1	0	$(M-1)$
არა	არა	დიახ	0	0	$1/M$	0	0	M
არა	დიახ	არა	0	$1/M$	0	0	M	0
დიახ	არა	არა	$1/M$	0	0	M	0	0

- აღნიშვნები:
1. "დიახ" - შერჩეული რესპონდენტი გამოიკითხა
 2. "არა" - ვერ მოხერხდა შერჩეული რესპონდენტის გამოკითხვა გამოუპასუხებლობის გამო
 3. "M" - სრულწლოვანი წევრების მთლიანი რაოდენობა შინამეურნეობაში

წყარო: აზიის განვითარების ბანკი. (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია

ინდივიდუალურ დონეზე მიღებული წონები გაერთიანდა ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის მიდგომისთვის გამოთვლილ წონებთან, რის შედეგადაც შეფასდა კვლევის პარამეტრები თვით-განცხადებული მფლობელობის მიდგომის მიხედვით. ამგვარი მეთოდი ითვალისწინებს ინდივიდუალურ დონეზე გამოუპასუხებლობის დონეს, რაც მოსახერხებელია გაანგარიშების მხრივ და გამოიყენება ფართომასშტაბიან კვლევებში. ნებისმიერი რესპონდენტის მიერ განცხადებული მფლობელობის თუ თვით-განცხადებული

მფლობელობის მიდგომის გამოყენების დროს, წონების გამოთვლამდე აუცილებელია გამოუქასუხებლობის შემთხვევების გამიჯვნა მთლიანი შემთხვევებიდან (ჩანართი 4.1).

გამოუქასუხებლობის შემთხვევებისთვის, EDGE პილოტური კვლევის ფარგლებში მოხდა მხოლოდ გენდერული წანაცვლების ანალიზი, რომელიც გამოწვეული იყო გამოუქასუხებლობით სრულწლოვანების მხრიდან. შესაბამისად, წონების სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირება განხორციელდა მხოლოდ სრულწლოვანთა სქესის მიხედვით. მონაცემების ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების, ოჯახური მდგომარეობის და განათლების დონის მიხედვით, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიცირების შემდგომი წონების კორექტირებისთვის, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირებისთვის დიდი რაოდენობის ცვლადების დამატებამ შესაძლებელია გაზარდოს შერჩევის ცდომილება.

ჩანართი 4.1: გამოუქასუხებლობის შემთხვევების გამიჯვნა მთლიანი შემთხვევებიდან

სიების დაზუსტების პროცესში, სამიზნე ერთობლიობაში შინამეურნეობათა რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებები:

- (i) სიაში გათვალისწინებული უნდა იყოს შინამეურნეობები, რომელთაც შეწყვიტეს არსებობა (ა) ყველა წევრის გარდაცვალების ან (ბ) მთლიანი შინამეურნეობის ქვეყნის გარეთ მიგრაციის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო;
- (ii) სიიდან უნდა გამოირიცხოს შინამეურნეობები, რომელთაც: (ა) უარი განაცხადეს ინფორმაციის მოწოდებაზე, (ბ) დროებით მიუწვდომელია ველის მიმდინარეობის პერიოდში, ან (გ) გადავიდნენ საცხოვრებლად სხვა შპე-ში ან სახლი დაკეტილია, თუმცა ცნობილია რომ, ცხოვრობენ ქვეყნის ფარგლებში.
- (iii) შერჩევის სიაში მითითებული სრულწლოვანი წევრების რაოდენობა შერჩეულ შინამეურნეობაში შესაძლებელია განსხვავდებოდეს სავსე სამუშაოების დროს ფაქტიურად აღრიცხული რაოდენობისაგან. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს შერჩევის ჩარჩოს ხარვეზებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, სრულიად მოსალოდნელია. თუ კონკრეტულ შინამეურნეობისთვის შერჩევის სიაში მოცემული და კვლევის დროს განსაზღვრული სრულწლოვანთა რაოდენობა განსხვავებულია, რაც არღვევს შინამეურნეობის კალასიფიცირების კრიტერიუმებს კონკრეტულ მდს-ში, შინამეურნეობა უნდა განვიხილოთ იმ მდს-ში, რომელშიც მოხდა მისი შერჩევა. რაც ნიშნავს, რომ შერჩეული შინამეურნეობის მდს-ს განსაზღვრა ხდება ერთხელ და შერჩევის ალბათობა არ იცვლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სრულწლოვანთა რაოდენობა შინამეურნეობაში განსხვავებულია თავდაპირველად არსებული ინფორმაციისგან.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი. (მუშავდება). გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე: საქართველოს, მონღოლეთისა და ფილიპინების პილოტური კვლევების შედეგები და მეთოდოლოგია

წონების სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირება

თუ გამოუპასუხებლობის დონე ნულის ტოლია ან შემთხვევითია, წინა ნაწილში მოყვანილი ფორმულით გაანგარიშებული წონების ჯამი ძალიან ახლო უნდა იყოს სრულწლოვანთა ფაქტობრივი რაოდენობის მაჩვენებელთან სამიზნე ერთობლიობაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება წონების დაჯამება სამიზნე ერთობლიობის კონკრეტული ჯგუფისათვის (მაგალითად, სქესის ან გეოგრაფიული არეალის მიხედვით), მიღებული ჯამი მაინც ახლოს უნდა იყოს სამიზნე ერთობლიობის ფაქტობრივ რაოდენობასთან.

ამასთან, როგორც ეს სხვადასხვა კვლევაში ფიქსირდება, გამოუპასუხებლობის ფაქტიური სტრუქტურა შემთხვევითი არ არის. EDGE პილოტურ კვლევაში, მნიშვნელოვნად უფრო მაღალი გამოუპასუხებლობის დონე დაფიქსირდა მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმ ფაქტით, რომ მამაკაცები უფრო მეტად იყვნენ სამუშაოზე და, შესაბამისად, ხელმიუწვდომელი ინტერვიუსთვის. ამის შედეგად, კვლევის წონების ჯამის მიხედვით გაანგარიშებული სრულწლოვანთა განაწილება ქალებისკენ იყო წანაცვლებული. ამგვარი წანაცვლება განაპირობებს ინდივიდუალური წონების სტრატეგიცირების შემდგომ კორექტირებას.

პოსტ-სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირების მაგალითისთვის განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, სადაც მოცემულია მამაკაცთა და ქალები (შეწონილი) მთლიანი რაოდენობის ამსახველი ჰიპოთეზური მონაცემები, რომელიც ეფუძნება როგორც კვლევიდან, ისე ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

ცხრილი 4.5-ის A სვეტში მოცემულია წონების მინიჭების შედეგად მიღებული მამაკაცებისა და ქალების ჯამური რაოდენობა, ხოლო B სვეტში - მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა აღწერის მონაცემებით. ცხრილში ცალსახად ფიქსირდება არსებითი განსხვავება ფიქსირდება კვლევისა და აღწერის განაწილებებს შორის.

ცხრილი 4.5: სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირება

<i>სქესი</i>	<i>კვლევა (A)</i>	<i>ადმინისტრაციული მონაცემები (მაგალითად, აღწერა) (B)</i>	<i>სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირების კოეფიციენტი (B/A)</i>
მამაკაცი	895,672	1,032,451	1.15
ქალი	1,049,530	987,956	0.94

EDGE კვლევიდან მიღებული სრულწლოვანთა რიცხოვნობისა და სქესთა თანაფარდობის შეფასებები ეროვნულ დონეზე შინამეურნეობების წონების გამოყენებით ძალიან ახლოს აღმოჩნდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებთან. შესაბამისად, შინამეურნეობების დონის წონებისთვის სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირების

საჭიროება არ წარმოქმნილა. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური წონების მიხედვით მიღებული სრულწლოვანთა რაოდენობა მიახლოებული იყო 2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან, სქესთა თანაფარდობა განსხვავებული აღმოჩნდა. შესაბამისად, სტრატეგიცირების შემდგომი კორექტირება განხორციელდა ინდივიდუალური წონების დონეზე.

რადგან EDGE კვლევა ჩატარდა 2015 წელს, ხოლო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქსტატმა ჩატარა 2014 წელს, გადაწყდა, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო ზრდასრული მამაკაცების (ქალების) შესახებ მონაცემების გამოყენება სტრატეგების მიხედვით, კვლევის ინდივიდუალურ წონებზე დაყრდნობით, რაც პოსტ-სტრატეგიცირებისათვის დამხმარე ინფორმაციის წყაროდ გამოყენების საშუალებას იძლეოდა. კორექტირების კოეფიციენტები გაანგარიშებული იქნა EDGE კვლევის შინამეურნეობების წონებზე დაფუძნებული მამრობითი (მდედრობითი) სქესის სრულწლოვანთა შეფარდებით ინდივიდუალური წონების მიხედვით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელთან, სტრატეგების მიხედვით. სტრატეგიცირების შემდგომი ინდივიდუალური წონების გაანგარიშება მოხდა მიღებული კორექტირების კოეფიციენტების გამრავლების გზით შესაბამის პირველად ინდივიდუალურ წონებზე, სქესისა და სტრატის გათვალისწინებით. კორექტირების შემდეგ, შინამეურნეობის წონების და ინდივიდუალური წონების მიხედვით გაანგარიშებული სრულწლოვანთა რაოდენობა და სქესთა თანაფარდობა გაუტოლდა ერთმანეთს.

4.4 მონაცემების სისწორე და სიზუსტე

მონაცემთა სისწორის შესაფასებლად, არსებობს შემოწმების ორი მეთოდი. პირველი არის შიდა შემოწმება, რომელიც ეფუძნება კვლევის დროს შეგროვებული მონაცემების მოდულებს-შიდა და მოდულებს-შორის არსებული მონაცემების ლოგიკურ შესაბამისობას. შემოწმების მეორე მეთოდი ეფუძნება გარე წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან შესაბამისობას. ამ ნაწილში მოცემული მონაცემების შიდა შემოწმება ორიენტირებულია არაშერჩევით ცდომილებასა და გამოუპასუხებლობაზე. ამასთან ერთად, განხილულია გარე მონაცემთა შემოწმებაც, რომლის მიზანია კვლევის მონაცემების სისწორის შემოწმება ალტერნატიული წყაროებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებით. გარე შემოწმების ძირითადი დაშვება ის არის, რომ თუ კვლევაში შეგროვებული ინფორმაცია სწორია და კარგად აღწერს სამიზნე ერთობლიობას, მაშინ შესაბამისი მონაცემები უნდა ემთხვეოდეს გარე წყაროებიდან მიღებულ დამხმარე ინფორმაციას.

არაშერჩევითი ცდომილება


არაშერჩევითი ცდომილება წარმოადგენს, შერჩევისგან განსხვავებული ფაქტორებით გამოწვეულ ხარვეზებს და მათი შეფასება ხდება გარკვეული პარამეტრები გამოყენებით, რომლებიც მოიცავს მონაცემთა წყაროს ხარისხის შეფასებას, და ასევე გამოუპასუხებლობისა და იმპუტაციის ანალიზს.

გამოყენებული მონაცემების ხარისხი

პირველადი მონაცემები. სხვადასხვა ტიპის მონაცემების რედაქტირების სიხშირე, რომელიც განპირობებულია არათანმიმდევრული ჩანაწერებით, გამოუპასუხებლობით ან იმპუტაციით, შეიძლება დადგინდეს მონაცემების ტიპის დონეზე მიღებული ინფორმაციის შედარებით პირველად ბაზაში (რედაქტირებამდე) და რედაქტირების შემდგომ (საბოლოო) ბაზაში.

გრაფიკში 4.2 წარმოდგენილია ინფორმაცია წაშლილი ან კორექტირებული ჩანაწერების შესახებ. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ჩანაწერების დაახლოებით 40%-ისთვის კორექტირების მაჩვენებელი მინიმალურია, ხოლო კორექტირებული ჩანაწერების საერთო დონე დასაშვებ ზღვარს არ აღემატება.

გრაფიკი 4.2: წაშლილი ან კორექტირებული ჩანაწერების პროცენტული მაჩვენებელი, ერთი აქტივისთვის ასეთი ჩანაწერების რაოდენობის მიხედვით (%)



გამოუპასუხებლობით გამოწვეული ცდომილება

გამოუპასუხებლობა


არსებობს გამოუპასუხებლობის ორი ტიპი. პირველის შემთხვევაში ვერ ხერხდება შერჩეული შპე-ის ან შინამეურნეობის გამოკითხვა, ხოლო მეორეს დროს რესპონდენტის მხრიდან ხდება ინფორმაციის დიდი ნაწილის მოწოდება რამდენიმე გამონაკლისის გარდა. შედეგად, ასეთი შინამეურნეობებისთვის, ზოგიერთი კითხვის შესაბამისი მონაცემი დაფიქსირებული არ არის. ამგვარი კითხვები განიხილება როგორც გამოუპასუხებლობა, ხოლო შპე-ს ან შინამეურნეობის დონის გამოუპასუხებლობის შემთხვევაში, უმეტეს შემთხვევაში, ხდება ფაქტიურად გამოკითხული შპე-ების ან შინამეურნეობების რაოდენობისა და შესაბამისი წონების კორექტირება. ცხრილი 4.6 (და გრაფიკი 4.3) ასახავს გამოუპასუხებლობის სტრუქტურას სტრატის, შპე-ების რაოდენობის, შინამეურნეობებისა და რესპონდენტების მიხედვით. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ კვლევაში დაფიქსირდა შინამეურნეობების გამოუპასუხებლობის საშუალო მაჩვენებლის დაბალი დონე (11.9%), მაშინ როდესაც საქართველოში შინამეურნეობების კვლევებში გამოუპასუხებლობის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 15%-დან 20%-მდე.

ცხრილი 4.6: შპე-ების, შინამეურნეობების და რესპონდენტების შერჩევის ზომა და გამოკითხულთა რაოდენობა, სტრატების მიხედვით

სტრატის ID	შერჩევის ზომა					გამოკითხულთა რაოდენობა (მდს-ს ცვლილების გარეშე)			
	შპე-ების რაოდენობა	შინამეურნეობები		რესპონდენტები		შინამეურნეობები		რესპონდენტები	
		მდს-1	მდს-2	მდს-1	მდს--2	მდს-1	მდს-2	მდს-1	მდს-2
2	6	60	60	180	99	59	52	153	82
3	10	100	100	300	155	96	94	262	148
11	28	280	280	840	469	226	225	568	386
13	2	20	20	60	36	20	20	55	38
21	4	40	40	120	64	33	32	79	57
22	4	40	40	120	65	39	38	101	62
23	6	60	60	180	98	58	56	151	94
31	8	80	80	240	137	70	60	179	103
32	2	20	20	60	33	19	18	55	31
33	8	80	80	240	138	78	66	210	114
52	4	40	40	120	67	39	34	109	56
53	6	60	60	180	105	57	56	166	91
71	8	80	80	240	134	70	58	173	111
72	2	20	20	60	32	19	17	54	30
73	6	60	60	180	104	57	52	143	91
82	2	20	20	60	33	19	18	50	28
83	8	80	80	240	120	72	73	192	109
91	4	40	40	120	63	36	23	87	31
92	4	40	40	120	69	39	33	92	52
93	8	80	80	240	131	76	69	187	107
101	6	60	60	180	90	57	51	133	89
102	4	40	40	120	59	36	36	93	48
103	8	80	80	240	122	73	73	191	118
112	2	20	20	60	34	20	19	57	33
113	8	80	80	240	128	72	70	185	103
სულ	158	1,580	1,580	4,740	2,585	1,440	1,343	3,725	2,212

გრაფიკი 4.3: შინამეურნეობების შერჩევა სტრატეგის მიხედვით



მდს-1 - მეორე დონის სტრატა-1; მდს-2 - მეორე დონის სტრატა-2.

გამოუპასუხებლობა კონკრეტული აქტივისთვის და იმპუტაცია

გამოუპასუხებლობის მეორე ტიპი ძირითადად იმპუტირების მეშვეობით კორექტირდება, სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით. ჩვეულებრივ, გამოტოვებული მონაცემების შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდს ადგილობრივი დონის იმპუტაცია წარმოადგენს, რაც ითვალისწინებს მსგავსი საცხოვრისების საშუალო ფასის აღებას, მაგალითად, იმავე ან მომიჯნავე მდს-ში მდებარე საცხოვრისების ღირებულებისათვის. გარკვეულ შემთხვევებში, იმპუტაციის არეალი იზრდება სტრატის დონემდე იმ შემთხვევაში, თუ ცვლადი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივების შეფასებისას დაფიქსირდა გამოუპასუხებლობის მაღალი დონე, EDGE პილოტურ კვლევაში იმპუტაცია არ იქნა გამოყენებული. აქტივების ღირებულების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია ბუნდოვანი გამოდგა; რთული დასადგენი აღმოჩნდა, საუბრობდნენ თუ არა რესპონდენტები ერთსა იმავე აქტივზე. ამის გათვალისწინებით, მონაცემთა კორექტირება მოხდა მონაცემთა გაწმენდის პროცესში. ცხრილი 4.7 ასახავს მეტისმეტად მცირე ან მაღალ მნიშვნელობებს, რომელთა კორექტირებაც მოხდა მონაცემთა ბაზის გაწმენდისას, ლოგიკური კონტროლების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში რედაქტირებული ჩანაწერების სიხშირე 5%-ზე დაბალია.

ცხრილი 4.7: მეტისმეტად დაბალი ან მაღალი ღირებულებების რედაქტირებული ჩანაწერების სიხშირე

მოდული	აქტივის შესაბამისი კითხვის და პასუხის N კითხვარში		აქტივის შეფასებასთან დაკავშირებული კითხვის N კითხვარში	საბოლოო მონაცემთა ბაზა (ლოგიკური შემოწმების შემდეგ)		ჩანაწერების მთლიანი რაოდენობა	რედაქტირებული ჩანაწერების რაოდენობა მეტისმეტად მცირე ან მაღალი მნიშვნელობების გამო
	კითხვის N	პასუხის N		მონაცემების ქვედა ზღვარი	მონაცემების ზედა ზღვარი		
3	301	1	312	1,000.00	2,500,000	1,008	2
3	301	2	312	1,000.00	800,000	668	2
3	301	1	313	2,000.00	500,000	327	5
4	418	100	800,000	1,238	21
6	602	1	610	200	9,000	72	4
6	602	2	610	500	8,000	22	1
6	602	96	610	100	15,000	50	5
10	1,009	2	1,011	50	65,000	183	1
11	1,102	5	1,106	18	325,000	1,935	1
11	1,102	6	1,106	10.4	45,000	440	1

მონაცემთა ვალიდაცია გარე წყაროებზე დაყრდნობით

არსებობს მონაცემთა ვალიდაციის ორი ასპექტი: (i) შიდა შემოწმება, რომელიც გულისხმობს კვლევის დროს შეგროვებული მონაცემების მოდულების შიგნით და მოდულებს შორის ლოგიკურ შესაბამისობას და (ii) შეგროვებული მონაცემების შემოწმება გარე წყაროებზე დაყრდნობით. შიდა შემოწმების პროცესის გარკვეული დეტალები არის აღწერილი წინა ნაწილებში. ეს არის წინასწარ განსაზღვრული პროცესი, დაწყებული კვლევის დოკუმენტაციით და დამთავრებული საბოლოო ცხრილების შედგენით.

გარე შემოწმების პროცესში, მონაცემთა შემდეგ მახასიათებლები იქნა შედარებული:

- მოცვა,
- გამოყენებული ცნებები და განმარტებები,
- მონაცემთა მიღების ან შეგროვების მეთოდი, სახელმძღვანელო ინსტრუქციების ჩათვლით (კითხვარები, მონაცემთა შემოწმება, შევსებული კითხვარის თანამიმდევრულობა, მონაცემთა დამუშავება და სხვა),
- შერჩევითი ცდომილება, და
- არაშერჩევითი ცდომილება.

ამასთან, თუ ანალოგიური მონაცემები ხელმისაწვდომია სხვა წყაროებიდან, მსგავსი შედარება უნდა განხორციელდეს ყველა ზემოთ მოყვანილი ასპექტის გათვალისწინებით.

გარე წყაროებთან შედარების ინდიკატორები. ინფორმაციის შემოწმება ისეთი ინდიკატორებისათვის, როგორებიცაა მოსახლეობა, შინამეურნეობების რაოდენობა, შინამეურნეობის ზომა, სრულწლოვანთა წილი მოსახლეობაში, სქესთა თანაფარდობა, დასაქმებული მოსახლეობის წილი, შინამეურნეობის სასმელ წყალთან წვდომის დონე, საპირფარეშოს ტიპი, ელექტროენერგია, შინამეურნეობის საცხოვრისის მფლობელობის ფორმები, შინამეურნეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობა და ა.შ., შესაძლებელია EDGE პილოტური კვლევებიდან და სხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებული მონაცემების შედარებით.

ცხრილში 4.8 ნაჩვენებია EDGE კვლევიდან მიღებული მონაცემების შედარება გარე წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან. როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება, რაც განპირობებულია იმით, რომ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა - შემოწმების მთავარი გარე წყარო ინდიკატორების უმრავლესობისთვის - ჩატარდა EDGE კვლევის სავსე სამუშაოებამდე მხოლოდ ერთი წლით ადრე.

ცხრილი 4.8: „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისათვის“ პილოტური კვლევის და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების შედარება

ცვლადი	EDGE პილოტური კვლევის მონაცემები (2015) (a)	გარე მონაცემთა წყარო		%-განსხვავება $\left(\frac{a-b}{b}\right) \times 100$	შენიშვნა ²
		წყაროს დასახელება (პერიოდი)	ინდიკატორი (b)		
1. შინამეურნეობათა რაოდენობა	1,097,890.00 (31,651.29)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	1,109,130	-1	კერძო შინამეურნეობები
1.1 შინამეურნეობა: სოფლად	473,786.00 (35,858.30)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	461,740	3	კერძო შინამეურნეობები
1.2 შინამეურნეობა: ქალაქად	624,104.00 (39,916.67)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	647,390	-4	კერძო შინამეურნეობები
2. მოსახლეობა	3,734,787.00 (116,847.50)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	3,702,130	1	კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა
2.1 მოსახლეობა: სოფლად	1,607,752.00 (129,217.70)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	1,586,881	1	კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა
2.2 სრულწლოვანი მოსახლეობა: სოფლად	1,283,972.00 (102,249.60)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	1,247,177	3	კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 18 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა
2.3 მოსახლეობა: ქალაქად	2,127,034.00 (142,944.10)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	2,115,249	1	კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა
2.4 სრულწლოვანი მოსახლეობა ქალაქად	1,631,096.00 (110,155.50)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	1,629,873	0	კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 18 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა
3. შინამეურნეობის საშუალო ზომა	3.40 (0.05)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	3.3	3	კერძო შინამეურნეობა
3.1 შინამეურნეობის საშუალო ზომა: სოფლად	3.40 (0.11)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	3.4	0	კერძო შინამეურნეობა
3.2 შინამეურნეობის საშუალო ზომა: ქალაქად	3.40 (0.08)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	3.3	3	კერძო შინამეურნეობა
4. სექსთა თანაფარდობა	111.00 (0.02)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	104.0	7	სექსთა თანაფარდობა დაზადებისას


ცვლადი	EDGE პილოტური კვლევის მონაცემები (2015) (a)	გარე მონაცემთა წყარო		%- განსხვავება $\left(\frac{a-b}{b}\right) \times 100$	შენიშვნა 2
		წყაროს დასახელება (პერიოდი)	ინდეკატორი (b)		
4.1 სექსთა თანაფარდობა: სოფლად	104.70 (0.02)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	107.6	-3	სექსთა თანაფარდობა დაზადებისას
4.2 სექსთა თანაფარდობა: ქალაქად	116.00 (0.02)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	102	14	სექსთა თანაფარდობა დაზადებისას
5. ქორწინებაში მყოფი მანაკაცების წილი (%)	66.70 (1.15)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	65.8	0	15 წლისა და უფროსი ასაკის
6. ქორწინებაში მყოფი ქალების წილი (%)	57.80 (0.95)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	58.6	-2	15 წლისა და უფროსი ასაკის
7. დაწესებით განათლებაზე დაბალი განათლების მქონე პირების წილი (%)	2.30 (0.23)	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	3.6	-36	10 წლისა და უფროსი ასაკის
8. დასაქმებული მოსახლეობის წილი (WPR) (%)	53.60 (1.15)	2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	59.7	-10	15 წლისა და უფროსი ასაკის
8.1 WPR, მამაკაცები	62.70 (1.27)	2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	67.6	-7	15 წლისა და უფროსი ასაკის
8.2 WPR, ქალები	45.90 (1.31)	2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	52.9	-13	15 წლისა და უფროსი ასაკის
8.3 თვითდასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმებულებიდან (%)	47.10	2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	57.2	-18	15 წლისა და უფროსი ასაკის
8.4 დაქირავებით დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმებულებიდან (%)	52.90	2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	42.3	25	15 წლისა და უფროსი ასაკის
11. ელექტროენერჯის მქონე შინამეურნეობების პროცენტული წილი	100.00	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	98.5	2	
12. შინამეურნეობების პროცენტული წილი, ვინც ფლობს სცხოვრის	90.30	2014 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	86.4	5	
13. შინამეურნეობების პროცენტული წილი, ვინც ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას	53.40	2014 სასოფლო სამეურნეო აღწერა	51.8	3	

() = EDGE ინდეკატორების სტანდარტული ცდომილება

კვლევის მონაცემების სიზუსტე

კვლევის მონაცემების სიზუსტის შეფასება შესაძლებელია შერჩევითი ცდომილების მაჩვენებლების მეშვეობით. პრაქტიკაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლადი გამოიყენება შერჩევის სტრატეგიის და შერჩევის ზომის განსაზღვრისათვის და ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მდგრადი მონაცემების მისაღებად. შერჩევითი ცდომილების სიდიდის შესაფასებლად განისაზღვრა რამდენიმე ძირითადი ცვლადი. კვლევის მონაცემების საფუძველზე მიღებული იქნა სტანდარტული ცდომილების, ვარიაციის კოეფიციენტის და ნდობის ინტერვალის შეფასებები შინამეურნეობების მახასიათებლების, რესპონდენტის დემოგრაფიული პროფილისა და აქტივების თვით-განცხადებული მფლობელობისთვის.

გრაფიკი 4.4 განცხადებული მფლობელობის ვარიაციის კოეფიციენტი აქტივების მიხედვით



მთლიანობაში, ვარიაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა საკმაოდ დაბალი აქტივების უმრავლესობისთვის, რომლებიც წარმოდგენილია გრაფიკზე 4.4. ცალკეული აქტივების ფლობის ცვალებადობის დონე დაახლოებით 10%-ს შეადგენდა. ფინანსური აქტივების ინდიკატორების ვარიაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალ დონეზე დაფიქსირდა (20%-ზე მეტი), როგორც ქალების, ასევე მამაკაცების შემთხვევაში.

„გენდერული თანასწორობის მტკიცებულებებისა და მონაცემების“ (EDGE) კვლევის ზოგადი შეფასება

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან და მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთლიანობაში EDGE პილოტური კვლევის მონაცემთა ხარისხი შესაბამისობაშია კვლევის მოცვასთან, გარე წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან და ქვეყნის დონეზე ხასიათდება შიდა თანამიმდევრულობითა და მაღალი სანდოობით სტატისტიკური თვალსაზრისით. ამასთან, კვლევა უზრუნველყოფს არაშერჩევითი ცდომილების ეფექტურ კონტროლს სხვადასხვა ეტაპზე და, კერძოდ, მონაცემთა შეგროვების სავსე სამუშაოების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ EDGE კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები და კვლევის უშუალო ჩატარება განხორციელდა რაიმე ეტაპზე მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე. შერჩევის დიზაინი რეპრეზენტატული იყო ეროვნულ დონეზე, ხოლო გამოპასუხების დონე როგორც ქალაქად, ისე სოფლად უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყანაში ჩატარებული შინამეურნეობათა კვლევების უმრავლესობაში.

ექსპერტების დიდი მხარდაჭერის და კითხვარის ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, მოხდა კითხვარის მორგება საქართველოს სპეციფიკაზე, ხოლო სავსე სამუშაოების დროს არ გამოვლენილა კითხვების ფორმულირებასა და გარკვეული ცნებების აღქმადობასთან დაკავშირებული არსებითი სირთულეები. ინფორმაციის გარე წყაროებთან შედარებამ აჩვენა, რომ კვლევიდან მიღებული მონაცემები არის თანამიმდევრული და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ქვეყნის დონეზე. შერჩევითი და არაშერჩევითი ცდომილებების ანალიზმა აჩვენა, რომ მიღებული მონაცემები არის მდგრადი, რაც, მაგალითად, იმაში ვლინდება, რომ კვლევის ინდიკატორების თითქმის 75%-ისთვის ვარიაციის კოეფიციენტები არ აღემატებოდა 10%-ს.

თავი 5: კვლევის შეფასება, გამოცდილება და სამომავლო გეგმები

როგორც წინა თავებში აღინიშნა, EDGE პილოტური კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გაეროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით აქტივების ფლობისა და მეწარმეობის სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში. EDGE კვლევის ჩატარებამ აგრეთვე ხელი შეუწყო საქსტატის შესაძლებლობების გაძლიერებას ამგვარი მონაცემების შეგროვების კუთხით.

წინამდებარე თავში განხილულია პილოტური კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული გამოცდილება, წარმოქმნილი პრობლემები, კვლევის სხვა შესაბამისი მახასიათებლები/ შეფასებები და სამომავლო გეგმები.

5.1 კვლევის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება

ამ ნაწილში მოცემულია სავსე სამუშაოების სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილი გამოწვევები. მათგან აღსანიშნავია ძირითადი რესპონდენტების ხელმიუწვდომლობა სავსე სამუშაოების დროს, ზოგიერთი რესპონდენტის უარი განცალკევებით და ერთდროულად გამოკითხვაზე, სენსიტიურ კითხვებზე (მაგ. ფინანსური აქტივები და აქტივების შეფასება) ინფორმაციის გაზიარების სურვილის არქონა.

5.1.1 სავსე სამუშაოების დაწყებამდე მიღებული გამოცდილება და ძირითადი მიგნებები

კითხვარის დიზაინი

EDGE კვლევის ჩატარების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა დამოუკიდებელი კვლევისთვის მომზადებული კითხვარი და მათ დიზაინისა და აქტივების ფლობის შესახებ ძირითად კითხვების ტესტირება. კითხვარი, ქვეყნის სპეციფიკაზე მორგების შემდეგ, ითარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე. კვლევის ინსტრუმენტარის თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური ტერმინების შესატყვისი სიტყვების შერჩევა ქართულ ენაზე.

კვლევის ინსტრუმენტარის წინასწარი ტესტირება

კითხვარის ქვეყნის სპეციფიკაზე მორგების შემდეგ მოხდა კვლევის ინსტრუმენტარის ტესტირება, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა გარემოში კითხვარის შეფასება, გამოკითხვის ჩატარების წესების შესრულების და კვლევის კითხვების შემოწმება. ტესტირება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან კითხვების უმეტესობა ახალი იყო. ძირითადი გამოწვევებიდან აღსანიშნავი იყო, რომ შერჩეული რესპონდენტები ხშირად არ იმყოფებოდნენ სახლში, უარს აცხადებდნენ განცალკევებული ინტერვიუს ჩატარებაზე, განსაკუთრებით ქალი რესპონდენტების შემთხვევაში.

კვლევის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებს არ სურდათ ეპასუხათ სენსიტიურ კითხვებზე. ამ გამოწვევების ფონზე სავსელ პერსონალს მიეცა რეკომენდაციები, დამატებითი ძალისხმევა გამოეჩინათ შერჩეული რესპონდენტების ინტერვიუების დროს, მათთვის ხელსაყრელი დროის შერჩევის, კვლევის მიზნის ახსნის და მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების მიცემის გზით. ადგილობრივი მაცხოვრებლების დახმარება აგრეთვე მნიშვნელოვან ასპექტად განიხილებოდა რესპონდენტების თანამშრომლობის უზრუნველყოფის საქმეში.

წინასწარი ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, მოხდა კითხვარში ცვლილებების შეტანა.

ინტერვიუებისა და ზედამხედველების ტრენინგი

ინტერვიუებისა და ზედამხედველების ტრენინგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალი ხარისხის მონაცემების შეგროვებაში. ტრენინგის დროს წამოჭრილი საკითხები ძირითადად ახალ ცნებებსა და პროცედურებს ეხებოდა, როგორცაა ძირითადი რესპონდენტი და ძირითადი წყვილი, მეორე და მესამე რესპონდენტების შერჩევის მეთოდი, ერთდროული ინტერვიუების დაგეგმვა ძირითადი წყვილისთვის და ა.შ. აღნიშნული საკითხები შედარებით რთული აღსაქმელი იყო ტრენინგის მონაწილეებისთვის. ასევე, საყურადღებო იყო კითხვარში მოცემული გადასვლები, მაგალითად, როდესაც რესპონდენტი არ ფლობდა რომელიმე სახის აქტივს ან გაუმყდევნებელ აქტივებთან დაკავშირებული სენსიტიური კითხვების შემთხვევაში.

ტრენინგის მეთოდოლოგია შემუშავდა აუდიტორული და სავსელ ტრენინგებისთვის. ძირითადად ტრენინგები ჩატარდა შენობაში, რომლის დროსაც განხილულ იქნა კვლევის მიზნები, კითხვარის დიზაინი და ძირითადი ცნებები. თავდაპირველად მოხდა კითხვარის მოდულებს დეტალური განხილვა, რის შემდეგ ჩატარდა როლური თამაშები თითოეული მოდულისთვის, რომელთა მსვლელობის დროს ინტერვიუებმა ერთმანეთი გამოკითხეს. ინტერვიუებებს უნდა გამოეკითხათ ოჯახის წევრები ან/და მეზობლები და შევსებული კითხვარები წარმოედგინათ მომდევნო დღეს. შევსებულ კითხვარებში დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების განხილვა აღმოჩნდა ეფექტური.

ქვემოთ მოყვანილია ის ცნებები და კითხვები, რომელთა აღქმა შედარებით რთული აღმოჩნდა:

- (i) სავსელ სამუშაოების დროს ინტერვიუებებს სიაში შეყავდათ შინამეურნეობის ოჯახის წევრები, რომელთაც დატოვებს შინამეურნეობა და აღარ ითვლებოდნენ შინამეურნეობის წევრებად (მაგ. სხვა ადგილას მცხოვრები სტუდენტები);
- (ii) დასაქმების სტატუსი გასული 12 თვის ან 7 დღის განმავლობაში განხილულ იქნა მრავალი მაგალითის გამოყენებით, რათა მომხდარიყო სტატუსის განსაზღვრა დასაქმების სხვადასხვა ტიპისთვის..
- (iii) ინტერვიუებებს განემარტათ, რომ სასმელი წყლის ძირითადი წყაროს დაფიქსირება უნდა მოხდეს კითხვარში იმისდა მიუხედავად, შეყვანილია თუ არა წყალი საცხოვრისში. მაგალითად, წყალი შეყვანილია საცხოვრისში, მაგრამ წყლის წყაროს წარმოადგენს ჭა.

- (iv) ხშირად ინტერვიუერები არ ასახავდნენ ერთიდაიგივე ტიპის მოწყობილობას ცალ-ცალკე. მათ განუმარტეს ერთიდაიგივე ტიპის რამდენიმე მოწყობილობის ცალ-ცალკე აღრიცხვის საჭიროება (პირველ რიგში უნდა ასახულიყო ახალი შეძენილი და შემდგომ ადრეულ პერიოდში შეძენილი მოწყობილობა).
- (v) სიტყვა „საწარმო“ ინტერვიუერთა უმრავლესობისთვის აღმოჩნდა დამაბნეველი. სავლეს პერსონალს განუმარტეს, რომ "საწარმოდ" შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის მომტანი ნებისმიერი აქტივობა. საწარმო, რომელიც ეწეოდა რამდენიმე საქმიანობას, შესაძლოა კითხვარში დაფიქსირებულიყო რამდენჯერმე, მაგ. როდესაც შინამეურნეობის წევრი ეწევა სარემონტო და სამკერვალო საქმიანობას ერთდროულად.
- (vi) ინტერვიუერებს განუმარტეს, რომ თუ ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა საცხოვრისის გაქირავება, საჭირო იყო მისი შემოსავლის წყაროდ აღნიშვნა.

ოთხდღიანი ტრენინგის ხანგრძლივობა საკმარისი აღმოჩნდა. ტრენინგმა აჩვენა, რომ „საშინაო დავალების“ მეთოდი უფრო ეფექტურია, ვიდრე როლური თამაშების მეთოდი²². აღსანიშნავია, რომ როლური თამაშები ნაკლებად ეფექტურია მაშინ, როდესაც ერთი ან ორი ტრენერი 20-ზე მეტ ინტერვიუერს უწევს მეთვალყურეობას.

5.1.2 სავლეს სამუშაოების დროს და მათი დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილებები და ძირითადი მიგნებები

სავლეს სამუშაოებს დაახლოებით 1.5 თვე დაჭირდა. ამ პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა შემდეგი საკითხები:

- (i) **შინამეურნეობების იდენტიფიცირება.** მთლიანობაში შინამეურნეობების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები არ დაფიქსირებულა. მსგავსი საკითხების გადაჭრა მარტივად ხდებოდა, ვინაიდან საქსტატის მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო კურირებდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) რუკების გამოყენებასა და შინამეურნეობის იდენტიფიცირებას. იმ შემთხვევებში, რიდესაც შერჩეული შინამეურნეობა იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, ინტერვიუს ჩატარება ხდებოდა მოცემულ მისამართზე მცხოვრებ შინამეურნეობაში.
- (ii) **შინამეურნეობებთან კომუნიკაცია.** EDGE კვლევის დროს გამოპასუხების მაღალი მაჩვენებელი შინამეურნეობებთან კარგ კომუნიკაციაზე მეტყველებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოკითხვამ გამოწვევების გარეშე ჩაიარა.

შინამეურნეობები, რომლებსაც არ სურდათ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება, ხშირ შემთხვევაში ინტერვიუერებს თხოვდნენ წარმოედგინათ საქსტატში მუშაობის

²² ე.წ. „საშინაო დავალების“ მეთოდში იგულისხმება, რომ ინტერვიუერებს დაევალებათ გამოკითხვათ ოჯახის წევრები ან/და მეზობლები და შევსებული კითხვარი მიეტანათ მომდევნო დღეს

დამადასტურებელი საბუთი ან/და პირადობის მოწმობა. ზოგიერთ შემთხვევებში, ინტერვიუერები სოციალურ აგენტებში ერეოდათ და საჭირო იყო ზედამხედველების ჩარევა, რათა მიეღოთ რესპონდენტებისგან თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. ხანდახან შერჩეული შინამეურნეობების წევრებისთვის გაუგებარი იყო, რატომ შეიძლება სჭირდებოდეს ვინმეს ასეთი სახის ინფორმაცია და ექნებოდათ თუ არა რაიმე სარგებელი იმ შემთხვევაში, თუ ისინი კვლევაში მიიღებდნენ მონაწილეობას.

რეგიონების უმრავლესობაში კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა რესპონდენტების ერთდროულად გამოკითხვა, იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებული შინამეურნეობის წევრების ნახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ საღამოს საათებში. ამის გამო, ინტერვიუერებს უწევდათ შინამეურნეობაში რამდენჯერმე მისვლა შესაბამისი რაოდენობის რესპონდენტთა (არაუმეტეს სამის) გამოსაკითხად (შინამეურნეობის ზომიდან გამომდინარე). ზოგიერთი რესპონდენტის მხრიდან შეიმჩნეოდა წინააღმდეგობა ერთდროული და განცალკევებული გამოკითხვის დროს. მათი განმარტებით "მათ არ ჰქონდათ ერთმანეთისგან არაფერი დასამალი" ან უბრალოდ საცხოვრისში არ იყო საკმარისი სივრცე განცალკევებული გამოკითხვისთვის

ცალკეულ შემთხვევებში პრობლემური აღმოჩნდა ქალი რესპონდენტების გამოკითხვა. რესპონდენტ ქალებს, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებში, ეშინოდათ, რომ მათი მეუღლე გაიგებდა მათ მიერ გაცემულ პასუხებს.

რესპონდენტების უმრავლესობისთვის გამაღიზიანებელი იყო კითხვები აქტივების ღირებულების შესახებ. კერძოდ, რესპონდენტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში თვლიდნენ, რომ აქტივებზე მონაცემების შეგროვების მიზანი მათ მფლობელობაში არსებული აქტივების ღირებულების შეფასება და მათი ქვეყნიდან გაძევება იყო. ასეთ შემთხვევებში, ინტერვიუერები დამატებით ინფორმაციას აწვდიდნენ რესპონდენტებს კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

(iii) **შესაფერისი რესპონდენტების შერჩევა.** უმეტეს რეგიონში ინტერვიუერები ძნელად გებულობდნენ განსხვავებას შინამეურნეობის უფროსისა და შინამეურნეობის ყველაზე ინფორმირებულ წევრს შორის, რის გამოც ზედამხედველები დამატებით ტრენინგებს უტარებდნენ მანთ. ასევე რთული აღმოჩნდა ინდივიდუალური კითხვარის მეორე (შინამეურნეობებში ძირითადი წყვილის გარეშე) და მესამე რესპონდენტის შემთხვევითი შერჩევის პროცედურა. თუ გამოკითხული რესპონდენტი არ იყო შერჩეული შერჩევის პროცედურის შესაბამისად, ზედამხედველები ხელმეორედ (დამატებით) აგზავნიდნენ ინტერვიუერს შინამეურნეობაში შესაფერისი წევრის გამოსაკითხად.

(iv) **გუნდური მიდგომა.** ხარისხიანი და სანდო ინფორმაციის მისაღებად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპონდენტების განცალკევებით გამოკითხვას. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ კვლევის მიზნებისთვის, წარმატებული ინტერვიუს ჩასატარებლად, საკმარისი იყო ორ-კაციანი ჯგუფი.

პილოტური კვლევის გენდერული სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა რესპონდენტისა და ინტერვიუერის სქესის თანხვედრა. მაგრამ საქართველოში, სხვადასხვა

მიზეზების გამო, ინტერვიუერების უმრავლესობას ტრადიციულად ქალები წარმოადგენენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი უსაფრთხოებაა. EDGE კვლევა გამოწვევის არ ყოფილა: ინტერვიუერების უმრავლესობა (87.1%) იყო ქალი. შესაბამისად, სქესის დამთხვევის ეფექტის შესწავლა არ მომხდარა.

საველე სამუშაოების პირველი კვირის დასრულების შემდეგ, ცენტრალური ოფისის თანამშრომლებმა ჩაატარეს მონიტორინგი ყველა რეგიონში და შეამოწმეს შევსებული კითხვარები. საველე პერსონალთან შეხვედრები გაიმართა არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. მონიტორინგის დასრულების შემდგომ, მომზადდა ერთიანი ანგარიში და გადაეგზავნა ზედამხედველებს.

კვლევამ აჩვენა, რომ ა) შინამეურნეობის გამოუპასუხებლობის დონე ქალაქად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად; ბ) ინდივიდუალურ დონეზე, გამოუპასუხებლობის შემთხვევები, განსაკუთრებით მაღალია მამაკაცებში.

გამოუპასუხებლობის მაჩვენებელი შეადგენდა 11.9%-ს. შერჩეული რესპონდენტების მთლიანი რაოდენობიდან, რომელიც 6,949 ადამიანს შეადგენდა, გამოიკითხა 5,937 (85.4%). გამოუპასუხებლობის მაჩვენებელმა შეადგინა 20.6% მამაკაცებისთვის და 9.6% ქალებისთვის. გამოუპასუხებლობის მაჩვენებელში რესპონდენტის სქესის მიხედვით დიდმა განსხვავებამ გამოიწვია ის, რომ კვლევის წონების შეჯამებით ქალებისკენ წანაცვლებული მოსახლეობის რაოდენობა იქნა მიღებული. ამ წანაცვლების გასასწორებლად გამოყენებულ იქნა სტრატეგიკული შემდგომი კორექტირება ინდივიდუალური წონებისთვის.

ცხრილი 5.1: სრულწლოვანი მოსახლეობის რაოდენობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის, პირველადი წონების და სტრატეგიკული შემდგომი კორექტირების მიხედვით

სქესი	სრულწლოვანი მოსახლეობის რაოდენობა			
	მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	არა-კორექტირებული ინდივიდუალური წონებით	სტრატეგიკული შემდგომი შინამეურნეობის წონები	სტრატეგიკული შემდგომი ინდივიდუალური წონები
მამაკაცი	1,329,054	1,185,974	1,333,444	1,333,444
ქალი	1,547,996	1,729,094	1,581,624	1,581,624
სულ	2,877,050	2,915,068	2,915,068	2,915,068

5.2 კვლევასთან დაკავშირებული სხვა შეფასებები

5.2.1 კვლევის კითხვარის თვისებრივი შეფასება

კითხვარის დიზაინის შეფასება პილოტური კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიზნისათვის მომზადდა კითხვარის სტანდარტული ვერსია, კითხვების კონკრეტული ფორმულირებით და შესაბამისი ინსტრუქციებით. სტანდარტული კითხვარის რედაქტირებისას მოხდა, ინტერვიუერებისა შენიშვნების და დებრიფინგზე განხილული საკითხების გათვალისწინება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორ ნაწილად დაყოფილი კვლევის კითხვარი მოიცავდა რამდენიმე მოდულს. პირველ ნაწილში შედგებოდა შინამეურნეობების წევრების სიისგან რომელიც მოიცავდა დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს და კითხვებს ძირითადი საცხოვრისის მთავარი მახასიათებლების შესახებ. ეს კითხვების მომზადება გაეროს სტატისტიკის განყოფილების მოდულების მიხედვით, შინამეურნეობების შესაბამისი კვლევების გამოცდილების გათვალისწინებით. მეორე ნაწილი წარმოადგენს ინდივიდუალურ კითხვარს. მე-3 მოდულიდან დაწყებული, კითხვები თითოეულ აქტივზე განლაგებული იყო შესაბამისი აქტივების მოდულებში, გარდა 6B მოდულისა, „მცირე სასოფლო-სამეურნეო საგნები“, რომელიც ამოღებული იყო კვლევიდან.

EDGE კითხვარის ინდივიდუალური მოდულების ხარისხობრივი შეფასების ძირითადი საკითხებია:

მოდული 3B: საცხოვრისი.

- (i) აქტივების გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის უფლებები რესპონდენტებისათვის მარტივად გასაგები იყო (კითხვები 308, 309).
- (ii) რესპონდენტებისათვის რთული იყო დიდი ხნის წინ აშენებული საცხოვრისის აშენების ღირებულების შეფასება (კითხვები 312, 313).

მოდული 4: სასოფლო-სამეურნეო მიწა.

ძირითად სირთულეს წარმოადგენდა სახლის უკანა ეზოსა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შორის განსხვავების დადგენა. გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია სახელმწიფო პროგრამის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შინამეურნეობათა უმრავლესობას მიწები გადაეცა პრივატიზაციის გზით. ამან გამოიწვია გაუგებრობა „სახელმწიფო პროგრამით მიღებულ მიწის ნაკვეთებთან“ დაკავშირებით. ანალოგიური სურათი მივიღეთ ნაკვეთის ღირებულების შეფასების დროს. ძირითადად კითხვების ადვილად გასაგები იყო.

მოდული 5: პირუტყვი.

პირუტყვის ინდივიდუალური ფლობის შესახებ კითხვები რესპონდენტებისათვის ხშირად გაუგებარი იყო, ვინაიდან საქართველოში შინაური პირუტყვი ძირითადად მთელს შინამეურნეობას ეკუთვნის და არა ცალკეულ წევრებს.

მოდული 6A: მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები.

- (i) გარკვეულ შემთხვევებში ინტერვიუერები ერთი ტიპის რამდენიმე მოწყობილობებს ცალ-ცალკე არ ასახავდნენ კითხვარში (კითხვა 602).
- (ii) რთული აღმოჩნდა რესპონდენტებისათვის სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების შეფასება მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით (კითხვა 608).

მოდული 7: არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები და საწარმოს აქტივები.

- (i) სიტყვა „საწარმო“ რესპონდენტების უმრავლესობისთვის აღმოჩნდა დამაბნეველი (ნაწილობრივ ამ სიტყვის გამოყენების თავისებურებების გამო ქართულ ენაში). მათ განუმარტეს, რომ საწარმოდ შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის მომტანი ნებისმიერი აქტივობა.
- (ii) ტრენინგის პროცესში, რამდენიმე ინტერვიუერისთვის დამაბნეველი იყო განსხვავება მე-7 მოდულის ფილტრ-კითხვებში მოცემულ საქმიანობების რაოდენობასა და საწარმოების რაოდენობებს შორის (კითხვები 701-708).
- (iii) რესპონდენტებისთვის რთული იყო კვირის განმავლობაში საწარმოს მფლობელის მუშაობის საათების საშუალო რაოდენობის დადგენა (კითხვა 715).
- (iv) ინტერვიუერებს უძნელდებოდათ ჯამების მითითება 731-ე და 732-ე კითხვებში. მათ განემარტათ, რომ, შესაძლოა, ამ ორ კითხვარში მითითებული თანხა თანაბარი ყოფილიყო, თუ პირს საკუთარი შრომის (ენერჯის) გარდა არ დაუხარჯავს სხვა მატერიალური რესურსები. ამასთან, ზოგიერთი თვითდასაქმებულისათვის (როგორცაა რძის გადამუშავება რძის პროდუქტად) რთული იყო ბოლო სამი თვის ყველა ხარჯის დაანგარიშება (კითხვა 732).

მოდული 8: სხვა უძრავი ქონება.

- (i) სავსე პერსონალი ხშირად ყურადღებას არ ამახვილებდა მე-7 და მე-8 მოდულებს შორის კავშირზე. თუ შინამეურნეობა ფლობდა საწარმოს, რომელიც განლაგებული იყო ცალკე შენობაში, ეს შენობა უნდა ასახულიყო კითხვა 805-ში (კოდი 3 - შინამეურნეობის კომერციული გამოყენება). მაგალითად, შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული მაღაზიის შენობა უნდა ასახულიყო მე-8 მოდულში, ხოლო დაქირავებული მაღაზიის შენობა ამ მოდულში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო შეყვანილი.

- (ii) 818-ე კითხვაში რესპონდენტებს გაუჭირდათ, შეეფასებინათ სხვა უძრავი ქონების აშენების ღირებულება, განსაკუთრებით დიდი ხნის წინ აშენებული საცხოვრისის შემთხვევაში.

მოდული 10: ფინანსური აქტივები.

- (i) არასასიამოვნო აღმოჩნდა რესპონდენტებისთვის კითხვები ფინანსური აქტივების ღირებულების შესახებ. აქედან გამომდინარე, მე-10 მოდულში აისახა ფინანსური აქტივების საკმაოდ დაბალი რაოდენობა.
- (ii) რესპონდენტებს ერთმანეთში ერეოდათ საპენსიო ფონდი და სახელმწიფო პენსიების სისტემა (კითხვა 1002).

მოდული 11: ვალდებულებები

- (i) საველე სამუშაოებმა აჩვენა, რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება შინამეურნეობის საჭიროებებისთვის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოსთვის აღებულ სესხს შორის განსხვავებაზე.

მოდული 12: ძვირფასეულობა

- (i) მე-10 მოდულის მსგავსად, რესპონდენტებმა არ ისურვეს რესპონდენტებმა ძვირფასეულობაზე საუბარი. კითხვები ძვირფასეულობის შესახებ, ხშირ შემთხვევაში, ეჭვის იწვევდა რესპონდენტებში.

აქტივებთან დაკავშირებული მოდულები ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ (i) გამოვლენილიყო თითოეული აქტივის მფლობელი, მათ შორის დოკუმენტირებული მფლობელის ისეთი აქტივებისთვის როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო მიწა, საცხოვრისი და სხვა უძრავი ქონება; (ii) დადგენილიყო სასოფლო-სამეურნეო მიწის, საცხოვრისისა და სხვა უძრავი ქონების ღირებულება საბაზრო ან გასაყიდი ფასის მიხედვით; (iii) გამოვლენილიყო გაუმჟღავნებელი აქტივები, რომლებსაც ფლობდნენ რესპონდენტები და ასევე, ის წევრები რომლებმაც არ იცოდნენ ამ აქტივების შესახებ.

საველე სამუშაოების დროს ინტერვიუერების და ზედამხედველების მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი პრობლემები:

- (i) მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებისათვის აქტივების გაყიდვისა და ანდერძით გადაცემის უფლებები მარტივად გასაგები იყო, მათთვის ხშირად გაუგებარი იყო განსხვავება საცხოვრისის ოფიციალურ (დოკუმენტირებულ) და ეკონომიკურ მფლობელობას შორის.
- (ii) ზოგიერთმა რესპონდენტმა უპასუხოდ დატოვა კითხვა აქტივების გასაყიდი ფასის შესახებ. ზოგიერთ მათგანს კი, გაუჭირდა შეფასება საბაზრო ფასების არცოდნის გამო მსხვილი აქტივებისთვის, განსაკუთრებით სოფლად. რთული აღმოჩნდა აშენების ხარჯების შეფასება ძირითადი საცხოვრისისა და სხვა უძრავი ქონებისთვის. საბოლოო

ჯამში აქტივების შეფასებისთვის განკუთვნილი კითხვებისთვის უარების რაოდენობამ 60%-70% შეადგინა.

- (iii) სხვა მნიშვნელობანი პრობლემა ის იყო, რომ ერთი და იგივე აქტივი სხვადასხვა რესპონდენტმა სხვადასხვანაირად შეაფასა. შედეგებმა აჩვენა, რომ რელევანტური მონაცემების მიღება რამდენიმე რესპონდენტისგან რთულია და საბოლოო ჯამში ვიღებთ შეუსაბამო მონაცემებს.
- (iv) რესპონდენტებმა ზოგიერთი კითხვა სენსიტიურად მიიჩნიეს და მათ პირად ცხოვრებაში ჩარებად აღიქვეს. განსაკუთრებით ხანდაზმული და ავადმყოფი რესპონდენტებისთვის უსიამოვნო იყო კითხვა აქტივების ანდერძით გადაცემისა და ფინანსური აქტივების შესახებ.

5.2.2 კვლევის კითხვარის რაოდენობრივი შეფასება

შინამეურნეობების აქტუალიზაციაში არ ფიქსირდებოდა დაწყებისა და დასრულების დრო (ისევე, როგორც კითხვარის გარკვეული მოდულების დასრულებისთვის საჭირო ზუსტი დრო). ცხრილში 5.2 ასახულია შინამეურნეობების გამოკითხვაზე დახარჯული საშუალო დრო რესპონდენტების რაოდენობის მიხედვით, ხოლო ცხრილში 5.3 - რესპონდენტთა განაწილება ოჯახის უფროსთან მიმართების, სქესისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

ცხრილი 5.2: გამოკითხვაზე დახარჯული საშუალო დრო (წუთებში)

რესპონდენტების კატეგორია	შინამეურნეობის კითხვარი		ინდივიდუალური კითხვარი	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
მხოლოდ ერთი მამაკაცი	9.6	12.6	25.2	26.0
მხოლოდ ერთი ქალი	10.9	12.2	25.8	26.7
მხოლოდ ერთი ქალი და ერთი მამაკაცი	11.6	13.4	29.1	30.3
ორი რესპონდენტი – ორივე მამაკაცი	12.3	12.5	31.0	29.8
ორი რესპონდენტი - ორივე ქალი	12.3	13.3	28.3	29.6
სამი რესპონდენტი: 2 მამაკაცი და 1 ქალი	13.0	16.0	30.1	32.1
სამი რესპონდენტი: 1 მამაკაცი და 2 ქალი	12.3	15.5	29.0	30.9
სამი მამაკაცი	12.0	17.5	34.0	22.5
სამი ქალი	13.7	16.0	27.3	31.2
სულ	11.8	14.0	28.3	29.7

ქალაქთან შედარებით, რესპონდენტთა გამოკითხვაზე დახარჯული საშუალო დრო სოფლად მცირედით მეტია. ქალისა და მამაკაცის გამოკითხვაზე დახარჯულ დროს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. რესპონდენტების პროფილის მიხედვით (ცხრილი 5.3), ძირითადი რესპონდენტების თითქმის 90% შინამეურნეობის უფროსი ან მისი მეუღლეა.

ცხრილი 5.3: ძირითადი რესპონდენტების განაწილება შინამეურნეობის უფროსთან მიმართებაში (%)

მიმართება შინამეურნეობის უფროსთან	სოფელი		ქალაქი	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
შინამეურნეობის უფროსი	87.5	52.4	86.1	52.2
მეუღლე	0.2	36.5	0.2	37.1
ვაჟი/ქალიშვილი	10.9	2.7	12.1	5.2
მშობლები	0.2	0.2	0.0	0.3
შვილიშვილები	0.6	0.0	0.7	0.4
და/მმა (უფროსის ან მეუღლის)	0.3	0.5	0.6	0.4
სხვა ნათესავი	0.3	7.8	0.4	4.4
სხვა არანათესავი	0.0	0.0	0.0	0.0
სულ	100	100	100	100

ცხრილში 5.4 მოცემულია გამოკითხვების მაჩვენებლებისა და კონკრეტულ კითხვებზე უარების ანალიზი გენდერულ ჭრილში, სოფლად და ქალაქად. „ხი-კვადრატის“ ტესტის გამოყენებით, განხორციელდა გენდერული განსხვავებების თვისებრივი შეფასება ისეთ ცვლადებთან მიმართებით, როგორებიცაა ღირებულება ან აშენების ფასი: ძირითადი საცხოვრისისთვის, სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის, საწარმოს აქტივებისთვის, ფინანსური აქტივებისთვის და ასე შემდეგ.

ცხრილი 5.4: კითხვარის დიზაინის რაოდენობრივი შეფასების შეჯამება

შეფასება	დამოკიდებულება რესპონდენტების პასუხებსა და მათ სქესს შორის ^ა	სანდო განსხვავება 5%-იან დონეზე ^ბ
გამოტოვებული მნიშვნელობები საცხოვრისის ფასზე	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი) წევრის სქესი	არასანდო მხოლოდ ქალაქად
გამოტოვებული მნიშვნელობები საცხოვრისის აშენების ღირებულებაზე	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი)წევრის სქესი	სანდო
ნაკვეთების რაოდენობა, რომლის ღირებულების შესახებ ინფორმირებულია რესპონდენტი	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი)წევრის სქესი	არასანდო სოფლად და ქალაქად
გამოტოვებული მნიშვნელობები სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასზე	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის(ერთ-ერთი) წევრის სქესი	სანდო
მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების რაოდენობა, რომლის ღირებულების შესახებ ინფორმირებულია რესპონდენტი (მხოლოდ სოფლად)	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი) წევრის სქესი	სანდო
გამოტოვებული მნიშვნელობები მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების ფასზე (მხოლოდ სოფლად)	(ა) რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი)წევრის სქესი	სანდო
გამოტოვებული მნიშვნელობები საწარმოს აქტივების ფასზე (აღჭურვილობა/მანქანები/ავეჯი):	(ა)რესპონდენტის სქესი	სანდო
	(ბ)ძირითადი წყვილის წევრის სქესი	სანდო
	(გ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი)წევრის სქესი	არასანდო
გამოტოვებული მნიშვნელობები უძრავი ქონების ფასზე	რესპონდენტის სქესი	არასანდო სოფლად და ქალაქად
გამოტოვებული მნიშვნელობები ფინანსური აქტივების ღირებულებაზე	(ა) რესპონდენტის სქესი	არასანდო
	(ბ) ძირითადი წყვილის (ერთ-ერთი) წევრის სქესი	არასანდო

^ა შედეგები ეფუძნება „ხი-კვადრატის“ ტესტს, თუ სხვა არ არის მითითებული

^ბ ტესტი სანდოა - იგულისხმება, რომ კონკრეტულ აქტივზე, მამაკაცი და ქალი რესპონდენტების, ძირითადი წყვილის წევრების ან საწარმოს მფლობელების (არსებობის შემთხვევაში) მიერ მოწოდებული პასუხები დამოკიდებულია რესპონდენტის სქესზე.

წყარო: აზიის განვითარების ბანკის შეფასებები კვლევიდან „მტკიცებულებები და მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის“.

შედეგებმა აჩვენა რესპონდენტების პასუხებსა და სქესს შორის სტატისტიკურად სანდო დამოკიდებულება აქტივების უმრავლესობისთვის, რასაც ვერ ვიტყვით უარების რაოდენობაზე

ფინანსური აქტივების ღირებულებისთვის. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს დაბალი სიხშირით.

5.2.3 გაუმჟღავნებელი აქტივების შეფასება

გაუმჟღავნებელი აქტივების ანალიზი განხორციელდა შემდეგი ექვსი ტიპის აქტივისთვის: სასოფლო-სამეურნეო მიწა, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სხვა უძრავი ქონება, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

გაუმჟღავნებელი აქტივების ჯამური რაოდენობა საკმაოდ მცირე აღმოჩნდა და შეადგენდა ფიზიკური აქტივების 2%-ზე ნაკლებს და ფინანსური აქტივების დაახლოებით 12%-ს. დეტალური ანალიზი მოცემულია ცხრილში 5.5.

ცხრილი 5.5: თვით-განცხადებული გაუმჟღავნებელი აქტივების წილი სქესის მიხედვით

აქტივის ტიპი	თვით-განცხადებულ მფლობელების რაოდენობა		მფლობელების რაოდენობა, რომელთაც განაცხადეს გაუმჟღავნებელი აქტივების შესახებ		თვით-განცხადებული გაუმჟღავნებელი აქტივების წილი (%)	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სასოფლო-სამეურნეო მიწა	1,309	1,331	2	2	0.2	0.2
სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები	170	39	2	0	0.2	0.0
არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები	273	203	3	1	1.1	0.5
სხვა უძრავი ქონება	381	349	1	0	0.3	0.0
ფინანსური აქტივები	144	125	17	16	11.8	12.8
ფინანსური ვალდებულებები	776	862	30	32	3.9	3.7

5.2.4 შინამეურნეობის ინტერვიუსთვის შერჩეული წევრების გამოკითხვის შეფასება

ამ ნაწილში განხილულია შინამეურნეობისა და ინდივიდუალური კითხვარის დასრულებისთვის საჭირო საშუალო დრო. ასევე, შინამეურნეობების განაწილება სტატუსის მიხედვით, მაგალითად, შინამეურნეობა ძირითადი წყვილით ან შინამეურნეობა სამი ან მეტი სრულწლოვანით და სხვ.

ძირითადი რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა შინამეურნეობის უფროსი ან მისი მეუღლე. შინამეურნეობების 84%-ში გამოიკითხა ძირითადი წყვილის ორივე წევრი, ხოლო სოფლად დაფიქსირდა უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ვიდრე ქალაქად. არ გამოვლენილა შემთხვევა, სადაც ვერ მოხერხდა ძირითადი წყვილის ვერცერთი წევრის გამოკითხვა (ცხრილი 5.6).

ცხრილი 5.6: შერჩეული შინამეურნეობების განაწილება ძირითადი წყვილით

	გამოკითხული შინამეურნეობების ჯამური რაოდენობა	შინამეურნეობები ძირითადი წყვილით	გამოკითხული შინამეურნეობები (%)		
			ძირითადი წყვილი ორივე წევრით	ძირითადი წყვილის ერთი წევრი	ძირითადი წყვილის არცერთი წევრი
სულ	2,783	61.0	84.0	16.0	0
სოფელი	1,288	63.8	87.0	13.0	0
ქალაქი	1,495	58.6	81.3	18.7	0

5.7 ცხრილიდან ჩანს, რომ 80%-ზე მეტ შინამეურნეობაში გამოიკითხა ყველა შესაფერისი სრულწლოვანი წევრი, მათი უმეტესობა - ერთდროულად.

ცხრილი 5.7: შერჩეული გამოკითხული შინამეურნეობების განაწილება სტრატის მიხედვით

სტრატა	შერჩეული გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა	შინამეურნეობები, რომლებშიც გამოიკითხა ყველა შესაფერისი სრულწლოვანი წევრი (%)	შინამეურნეობები, რომლებშიც ყველა შესაფერისი სრულწლოვანი წევრი გამოიკითხა ერთდროულად (%)
შინამეურნეობა 3 ან მეტი სრულწლოვანით	1,399	75.3	56.5
შინამეურნეობა 2 ან ნაკლები სრულწლოვანით	1,384	89.5	47.8

5.3 სამომავლო გეგმები

ჩატარებული პილოტური კვლევის მეშვეობით მოხდა აქტივების ფლობაზე გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებისათვის განკუთვნილი დამოუკიდებელი კვლევის მეთოდოლოგიის ტესტირება. კვლევის შედეგად აგრეთვე მიღებულ იქნა არარსებული მონაცემები, რომელიც უკავშირდება აქტივების ფლობას გენდერულ ჭრილში. პილოტური კვლევიდან მიღებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გაეროს მეთოდოლოგიური მითითებების შემუშავებაში, რომელიც აქტივების ფლობის გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების წარმოებას ეხება.

გაეროს მეთოდოლოგიური მითითებები ავსებს არსებულ ხარვეზებს სტანდარტულ ცნებებში, განსაზღვრებებში, მეთოდებში და პროცესებში ზემოაღნიშნული მონაცემების წარმოებასთან მიმართებაში. იგი სთავაზობს ქვეყნებს საჭირო ინფორმაციას შინამეურნეობის კვლევის ჩასატარებლად აქტივების ფლობის გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების წარმოების მიზნით.

ბიბლიოგრაფია

- Asian Development Bank. Forthcoming. *Measuring Asset Ownership and Entrepreneurship from a Gender Perspective: Methodology and Results of Pilot Surveys in Georgia, Mongolia, and the Philippines*
- Deere, C. and C. Doss. 2006a. *Gender and the Distribution of Wealth in Developing Countries*.
- Deere, C. and C. Doss. 2006b. The Gender Asset Gap: What Do We Know and Why Does It Matter. *Feminist Economics*. 1–50.
- Doss, C. 2013. Technical Report: *Measuring Individual Level Asset Ownership and Control*.
- Kilic, T. and H. Moylan. 2016. *Methodological Experiment on Measuring Asset Ownership from a Gender Perspective Technical Report*. World Bank Group.
- Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). 2015. Georgia Country Profile. <http://www.genderindex.org/country/georgia>
- United Nations, Department of Economics and Social Affairs, Statistics Division. Forthcoming. *UN Guidelines for Producing Statistics on Asset Ownership from a Gender Perspective from Household Surveys*.

